

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ძმთაგან მიხეილის ასული საბინაშვილი

საეკლესიო სასჯელები

(მართლმადიდებლური საქართველოს მატალითზე)

- სპეციალობა 12.00.01 – სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და  
ისტორია;
- პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა  
ისტორია;
  - კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და საბაჟო  
სამართალი;
  - საერთაშორისო სამართალი.

დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი

შისავალი ..... 3

თავი I. სამკლესიო სასჯელთა საწმუხველბი, არსი, მიზანი და სამკლესიო  
სასჯელთა სისჯემის სამართო თვისებები .....11

§1. ეკლესიის დამსჯელბითი ძალაუფლებების საფუძველები .....11

§2. საეკლესიო სასჯელის არსი, მიზანი და სისტემები .....17

თავი II. სამართო და ბანსაქუთრებული სამკლესიო სასჯელბის ისტორია  
საძართველოში

§1. ანათემა ანუ შეჩვენება (დაკრულვა).....36

§2. უზიარებლობა.....81

§3. გაძევება, განკვეთა.....83

§4. ჯარიბა.....107

§5. გამაწბილებელი სასჯელები.....110

§6. ასოთდამაზიანებელი სასჯელი.....114

§7. სიკვდილით დასჯა .....120

დასკვნა .....128

დისერტაციოში ბაგოყენებული ლიტერატურის ნუსხა .....132

## შესავალი

### ნაშრომის აქტუალობა

საეკლესიო სამართალი თავის ფუნქციებს ახორციელებს მაცხოვრის სიტყვებზე დაყრდნობით: „ხოლო თუ შენი ძმა შესცოდებს, მიდი და ამხილე იგი, როცა ორიენი მარტო იყოს, თუ მოგისმენს, შეგიძენია შენი ძმა. ხოლო თუ არ მოგისმენს, წაიყვანე თან კიდევ ერთი ან ორი სხვა, რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა. თუ არც მათ მოუსმენს, ეკლესიას უთხარი; ხოლო თუ არც ეკლესიას მოუსმენს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებუჟე“.<sup>1</sup> ამ სიტყვებით მაცხოვარი ეკლესიას ანიჭებს სასამართლოს უფლებას.

საეკლესიო სამართალს გააჩნია იძულების საშუალებები, რომლებსაც იგი იყენებს თავისი ნორმების დამრღვევთა მიმართ. არ შეიძლება პიროვნება იძულების წესით გახდეს ეკლესიის წევრი, ეს ხდება ნებაყოფლობით. ასევე ნებაყოფლობით ემორჩილება იგი საეკლესიო სანქციებს და იღებს საეკლესიო სასჯელს. ამ სანქციების მთავარი მიზანი კი ადამიანის გამოსწორებაა.

საერო და საეკლესიო სამართალი დამნაშავეს სხვადასხვაგვარად უფარდებს სასჯელს. ეს განსხვავებები კარგად ჩანს სხვადასხვა წერილობითი ძეგლების საფუძველზე. თუკი სახელმწიფო მიზნად ისახავს დამნაშავეს დასჯას და ამ მეთოდით დანაშაულის აღმოფხვრას, ეკლესია ცდილობს დამნაშავეს სულიერ და ზნეობრივ გამოსწორებას. ამიტომ იგი იყენებს თავისი ნორმების დამრღვევთა მიმართ. ეკლესიას თავისი არსის მიხედვით, არ შეუძლია გამოიყენოს ფიზიკური და მატერიალური ძალა, როგორც ამას აკეთებს სახელმწიფო. არ შეიძლება პიროვნება იძულების წესით გახდეს ეკლესიის წევრი, ეს ხდება ნებაყოფლობით. ასევე ნებაყოფლობით ემორჩილება საეკლესიო სანქციებს და იღებს საეკლესიო სასჯელს. ამ სანქციების მთავარი მიზანი კი ადამიანის გამოსწორებაა. ამ ფენომენის ძირეული გამოკვლევა და ახლებური

<sup>1</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმნი, 1985 წლის გამოცემა, გვ. 45-54.

ხედვით მიდგომა, უდავოდ, საინტერესო მასალას წარმოადგენს არა მარტო იურიისტ-მეცნიერებისათვის, არამედ საზოგადოებისთვისაც.

ასევე უდავოდ საინტერესოა საეკლესიო და საერო სასჯელების შეფარდება, ვინაიდან დამნაშავის მიმართ სახელმწიფო და საეკლესიო სასჯელების შეფარდება მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს განსხვავება კარგად გამოიკვეთება წერილობითი ძეგლებში.

რაც შეეხება განსხვავებას სახელმწიფო და საეკლესიო სასჯელს შორის, ის შემდეგში მდგომარეობს: მიუხედავად იმისა, რომ ორივე იყენებს პენიტენციარულ საწყისებს, საკმარისია მოვიყვანოთ ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ დამნაშავე გამოსწორდება და საშიში აღარ იქნება საზოგადოებისთვის, ხოლო ეკლესიას მხედველობაში ჰყავს თვითონ დამნაშავის პიროვნება და იბრძვის ამ პიროვნების სულის გადარჩენისათვის. როგორც ცნობილია, ეკლესიაში არსებობს გარკვეული წესრიგი და ამ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მიმდინარეობს ეკლესიის დამსჯელობითი მოღვაწეობა, რაც დარღვეული წესრიგის აღდგენას ითვალისწინებს. სახელმწიფოც დამსჯელობით ქმედებებს ახორციელებს დარღვეული წესრიგის აღსადგენად, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ეკლესია ითვალისწინებს ცალკეულ ინდივიდს, სახელმწიფო უგულებელყოფს მას და წირავს მის ინტერესებს. ეკლესიაში თითოეული პიროვნება, არასდროს არ კარგავს თავის პიროვნულ ღირსებას. ქრისტეს მისია ყველასთვის ერთნაირია, თითოეული ადამიანი ძვირფასი უნდა იყოს ეკლესიისათვის.

ასეთია ეკლესიისა და სახელმწიფოს დამსჯელობითი მოღვაწეობა, რომელთა საფუძველს წარმოადგენს პენიტენციარული საწყისები. არ შეიძლება არ მივაღწევოთ თვალს იმ გარემოებას, რომ დამსჯელობითი საშუალებები, რომლებითაც სარგებლობენ ეკლესია და სახელმწიფო, აშკარად გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან. სახელმწიფოში მაღლის ჩამორთმევა დამნაშავისათვის

სანქცირებულია კანონით, ეკლესიაში კი იმ მაღლის ჩამორთმევა ხდება, რომელსაც იგი გასცემს.

ამგვარად, ეკლესიის დამსჯელობითი მოღვაწეობა ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დანაშაულს, მეორე მხრივ, განსხვავებას მოღვაწეობის ისეთი სფეროსაგან, როგორცაა განმანათლებლობა, ღვთისმსახურება და ა.შ.

სახელმწიფო და საეკლესიო სამართალი დანაშაულს სხვადასხვაგვარად უფარდებს იძულებით ღონისძიებებს. ეს განსხვავება ასახულია მთელ რიგ წერილობით ძეგლებში. თუ სახელმწიფო მიზნად ისახავს დამნაშავეის მკაცრი სასჯელებით დაშინებას და ამ მიზნით დანაშაულის აღმოფხვრას – ეკლესია ცდილობს დამნაშავეის გამოსწორებას.

იოანე მმარხველის ნომოკანონში, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა, მოცემულია შეხედულება სასჯელის სახეების ისტორიულ განვითარებაზე. ეს შეხედულება, რასაკვირველია, აგებულია წმინდა წერილის საფუძველზე. სასჯელის ფორმების, მისი მიზნების, დანიშნულების ისტორიული ცვალებადობა, შეფარებული ქრისტიანული ეკლესიის მსოფლმხედველობასთან, ღვთის ნებითაა ახსნილი.

ღმერთს სურს არა სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მისი მოქცევა და გამოსწორება. ამიტომ ადამს და ევას, რომლებმაც დაარღვიეს მისი მცნება, გამოსწორების მიზნით მან ექსორია დაუწესა სამოთხიდან, მაგრამ, ვინაიდან ადამიანმა დაკარგა ღვთის შიში – მან მოუვლინა წარღვნა, ხოლო როდესაც უკეთურება გამრავლდა, გადაწვა რამდენიმე ქალაქი. როცა ამ უკიდურესმა ზომებმაც ვერ შეძლეს ადამიანთა სინანული და “ცოდვისაგან დაცხრობაი”, მისცა კაცობრიობას მოსეს მიერ დაწერილი „ძველი სჯულისკანონი”.

კლასიკური პერიოდის მეორე გამოჩენილი მოღვაწის ეფრემ მცირის შეხედულება სასჯელის ისტორიულ განვითარებაზე კანონიკურ ლიტერატურაში მიღებულს არ ეთანხმება. ეფრემ მცირის აზრით, პირველ საფეხურზე დანაშაულისათვის შურისძიება სამაგიეროს მიზღვანა.

უძველეს დროში დანაშაულში იგულისხმებოდა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევდა სახალხო-საეკლესიო განხილვასა და მონანიებას, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი უარყოფილ იქნა, საეკლესიო სასჯელი ეკლესიის წევრთათვის დარჩა, როგორც საეკლესიო მადლისა და უფლებების ჩამორთმევა. საქართველოში მართლმადიდებლური აღმსარებლობა ფეოდალური საზოგადოების ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. მეცნიერთა აზრით, რელიგია არის ყოველგვარი სოციალური და ეთიკური პროგრესის ისტორიული საწყისი. გასაკვირი არც არის, რომ რელიგია დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამართლებრივი სისტემებზე. მაგალითად, "კათოლიკოსთა სამართალი" ქართული ეკლესიის ორგანალური ძეგლია, რომლის დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ყოფა-ცხოვრების სინამდვილეს ასახავდნენ. მართლია, საკანონმდებლო კრება კანონითა შედგენისას ითვალისწინებდა "დიდ სჯულისკანონს", ხელმძღვანელობდა მისი წესებით, შემდეგ კი ქართულ სინამდვილეს უფარდებდა საკანონმდებლო ნორმებს და განსაზღვრავდა სანქციებს მათი დარღვევისათვის.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიის შეხედულებით, სასჯელი არ არის კერძო შურისძიება და არც სასჯელთა სისტემა და სახეები არ ყოფილა იდენტური. აღმოსავლეთის ეკლესიის პრაქტიკაში, განსხვავებით დასავლეთისაგან, სასჯელები, ასე თუ ისე, მსუბუქი იყო. რა თქმა უნდა, სწორი არ უნდა იყოს ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომელნიც პრინციპულად ერთმანეთს უპირისპირებენ მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიის სასჯელთა სისტემებს. მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია იმ მეცნიერთა მოსაზრებანიც რომელნიც დადებითად აფასებენ აღმოსავლეთის ეკლესიის შეცოდებულთა კანონებს, მათი ჰუმანური ხასიათისა და დამნაშავეთა მიმართ ლმობიერებისათვის, რომის ეკლესიისა და მის მიერ დაწესებულ სასჯელებს კი ბარბაროსული სიმკაცრის ნიმუშად და სამარცხვინოდაც კი თვლიან. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილმა

გამოთქვა თავისი მოსაზრება და მიუთითა, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის მხრივ შეცოდებულთათვის სასჯელის შემცირება და შემსუბუქება იმდენად კაცთმოყვარობის მაღალი გრძობებით არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც ცხოვრების უკულმართობისა და პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან მძიმე სასჯელი აღმოსავლეთში დამნაშავეს ეკლესიაზე გულს უცრუებდა და ზნეობრივადაც აშორებდა. იოანე მმარხველის ნომოკანონში ხშირად ვხვდებით სასჯელთა შემსუბუქებაზე მსჯელობას.

ამ საკითხში საეკლესიო მოძღვრება ემიჯნება ადრეკლასობრივ პრიმიტიულ შეხედულებებს სასჯელზე, როგორც დაზარალებულის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სასჯელი ისეთი რელიგიურ-სოციალური ხასიათის მისაგებელია, რომლის შეფარდებაც ღმერთის საქმეა. მხოლოდ უფალს ხელეწიფება სამაგიეროს მიზლვა. ღმერთის სასჯელი ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობის ისტორიაში იგი ახორციელებს თავის უმაღლეს და მარადიულ მიზნებს.

სახელმწიფო კანონმდებლობა და სასამართლო დღესაც არ უარყოფს დაეხმაროს ეკლესიას მისი სასამართლო სასჯელების აღსრულებაში. ეს პროცესი მიმდინარეობს ყველგან, სადაც არსებობს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

სახელმწიფო ხელისუფლება აღიარებს საეკლესიო სასამართლო სასჯელებს და ამ სასჯელების დაკისრებისას მის თავისუფალ ქმედებას. საეკლესიო სასამართლო ფრთხილობს, რომ სასჯელის დადების დროს არაეინ იყოს პირადი ინტერესით განმსჭვალული და მხოლოდ მის დადგენილ კანონებს ეფუძნებოდეს, რათა არ დაირღვეს ქრისტიანობის მთავარი პრინციპი – სიყვარული მოყვასისადმი. ამიტომ სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება ეკლესიას. ზოლო ეკლესია აღჭურვილი თავისი. კანონებით ცდილობს შეინარჩუნოს ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები – სიყვარული, გულმონყალება, ადამიანური დახმარება და თავისუფლება, ძირითადად რისი

მქადაგებელიცაა ეკლესია.

## **სადისერტაციო ნაშრომის გამოკვლევის მიზანი, ამოცანა, საზანი და ობიექტი.**

შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გამოკვლეული იქნეს და შესაბამისად წარმოჩინდეს საეკლესიო სამართლის, კერძოდ კი, საეკლესიო სასჯელების როგორც ისტორიული, ასევე მოძღვრებითი და სამართლებრივი ასპექტები.

ნაშრომს “საეკლესიო სასჯელები (მართლმადიდებლური საქართველოს მაგალითზე)” საფუძვლად დაედო საეკლესიო კანონები, ცნობილ კანონისტთა და გამოჩენილ მეცნიერთა ნაშრომები.

ნაშრომის მთავარი ამოცანაა, ჩაწვდეს და გაანალიზოს თუ რას წარმოადგენს საეკლესიო სასჯელის ბუნება, როგორც სასჯელის ხასიათების ერთობლიობა. ასევე აქვს თუ არა ეკლესიას დასჯის უფლება და თუ აქვს, რის საფუძველზე ხდება ეს? და საერთოდ რა მიზანს ემსახურება საეკლესიო სასჯელის არსებობა.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საეკლესიო სასჯელები ფეოდალური საქართველოს მაგალითზე. ამ მიზნით, კვლევის ობიექტად განხილულია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა:

I. საეკლესიო სასჯელის საფუძვლები, არსი, მიზანი და სისტემები:

§1. საეკლესიო სასჯელის საფუძვლები;

§2. საეკლესიო სასჯელის არსი, მიზანი და სისტემები.

II. საერთო და განსაკუთრებული საეკლესიო სასჯელების ისტორია საქართველოში:

§1. ანათემა ანუ შეჩვენება (დაკრულვა);

§2. უზიარებლობა;

§3. გაბეჭება, განკვეთა;

§4. ჯარიმა;

§5. გამაწბილებელი სასჯელები;

§6. ასოთდამაზიანებელი სასჯელი;

§7. სიკვდილით დასჯა.

## **ნაშრომის შედეგები და მიზნობრივი სიასლა**

სადისერტაციო თემით გათვალისწინებული საკითხების კვლევის პროცესში მიღწეულია გარკვეული მეცნიერული შედეგები, რაც სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებისათვის. კერძოდ, ეს მდგომარეობს იმაში, რომ სათანადო სამეცნიერო წყაროებისა და რაც მთავარია, აქამდე გამოუკვლევ საეკლესიო სამართლის წყაროების გამოყენებით, პირველად განხორციელდა საეკლესიო სასჯელების შესწავლა.

ახლებურად იქნა გაშუქებული და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საეკლესიო არსს, მიზანს, სისტემასა და საქართველოში ამ საეკლესიო სასჯელების ისტორიას.

როგორც გამოირკვა, საერო კანონმდებლობაში დანაშაულისათვის დაწესებულია მკაცრი სასჯელები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ვარაუდობს ამა თუ იმ დანაშაულის აღმოფხვრას. მაგრამ მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სასჯელების სიმკაცრეს არ მოაქვს სასურველი შედეგი და მაინც სისტემატურად ხდება გამკაცრება წესრიგის დასაცავად. საეკლესიო კანონებიც ფაქტობრივად იგივეს იმეორებენ. იგი მიზნად ისახავს ეს კანონები შეახსენოს ყველას და ამით მოქმედებაში მოიყვანოს მათი შესრულება. საეკლესიო სამართლის შესწავლით, რაც დღემდე არ განხორციელებულა იურისტ მკვლევართა მიერ, საფუძველი უნდა დაედოს საეკლესიო სამართლის უფრო ფუნდამენტურ შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს

მის როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის ღირსეულად წარმოჩენას.

თანამედროვე მსოფლიო რელიგიებს შორის, რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას, ქრისტიანობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული რელიგიური მოძღვრებაა. ქრისტიანობა ისტორიულად იმ ქვეყნების ოფიციალურ რელიგიად გვევლინება, რომლებმაც თავიანთი საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით, მსოფლიოში შედარებით მაღალ საფეხურს ადრე მიაღწიეს.

ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის მანძილზე, ისტორიული ვითარების შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები განიცადა. მასთან ერთად იცვლებოდა საეკლესიო ხასიათის სამართალშემოქმედება და სასამართლო ორგანიზაცია, რომელსაც კათალიკოსი და იქ არსებული საეკლესიო ცხოვრების მომწესრიგებელი დიკასტერია წარმართავდა.

საეკლესიო სამართალი, როგორც იურიდიული დისციპლინა, შედის იურიდიული მეცნიერების სისტემაში. იგი მიახლოებულია რომის, სლავიანურ, გერმანულ და სხვა ქრისტიანულ სამართალთან, აგრეთვე იმ ქვეყნების მოქმედ სამართალთანაც, რომლებშიც მართლმადიდებლური ეკლესია არსებობს. უძველესი დროიდან საქართველოში მართლმადიდებლური აღმსარებლობა საზოგადოების ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. გასაკვირი არც არის, რომ ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამართლებრივ სისტემებზე, ხელმძღვანელობდნენ რა მართლმადიდებლურ სამყაროში აღიარებული საეკლესიო კანონმდებლობით, მაგრამ ქართულ სინამდვილეს უფარდებდნენ საკანონმდებლო ნორმებს და მათი დარღვევისათვის განისაზღვრებოდა სასჯელები.

# თავი I. საეკლესიო სასჯელთა საფუძვლები, არსი, მიზანი და საეკლესიო სასჯელთა სისტემა

## § 1. საეკლესიო სასჯელის საფუძვლები

ეკლესია არის ღვთაებრივი დაწესებულება, რომელსაც მინდობილი აქვს მრავალნაირი საშუალება იესო ქრისტეს მითითების განსახორციელებლად. მიზანი კი არის ის, რომ გააგრძელოს ქრისტეს მიერ დაწესებული კაცობრიობის ცოდვებისაგან განწმენდა, მიიყვანოს ადამიანი შესაძლო მორალურ სრულყოფილებამდე დედამიწაზე და აღზარდოს იგი უკვდავებისათვის. ეკლესიაში სახელმწიფო კანონის შეტანა არა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ეკლესია იურიდიული ინსტიტუტი კი არა, ღვთის მორალური საუფლოა დედამიწაზე და უმაღლესი მიზანია მისი ყოფისა, ასეთია ეკლესიის მამათა მიერ ეკლესიის არსის დოგმატიკური განმარტება. ეს ეკლესიის გაგების ერთი გზაა, მაგრამ არის მეორე გზაც, რის საფუძველზეც ეკლესია პირდაპირ შედის იურიდიულ სფეროში. ეს არის სამართლის სფერო და აგრეთვე ეკლესიის გაგების საზოგადოებრივი აზრი.

კაცობრიობა არჩევს ერთმანეთთან ურთიერთობის მრავალგვარ ფორმას<sup>2</sup>. ამ ფორმების მიხედვით ყალიბდება ძალიან საინტერესო საზოგადოებრივი გაერთიანებები. ასეთ გაერთიანებათა წრეს ეკუთვნის ეკლესიაც.

ეკლესია, როგორც ღვთის სახლი, მოწოდებულია, ერთი მხრივ, გაანათლოს და განწმინდოს კაცობრიობა ცოდვებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, თუ განვიხილავთ როგორც საზოგადოების ნაწილს, იგი შედგება ცალკეული წევრებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანებს თავიანთი ნაკლოვანებებითა და სისუსტეებით. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება ემყარება განსაზღვრულ ნორმებს. ასეთი ნორმები არსებობდა საეკლესიო საზოგადოების ფორმირებამდეც. ისინი მოცემულია თვით იესო ქრისტესა და უშუალოდ მისი მიმდევრების ცხოვრებაში და ჩამოყალიბებულია საეკლესიო კანონმდებლობაში.

ამგვარად, ეკლესიაში უნდა არსებობდეს წესრიგი იმ გაგებით, რომ კანონმდებლობამ უზრუნველყოს ეკლესიის ნორმალური ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარეობს საეკლესიო კანონის შესაძლებლობა და აუცილებლობა, როგორც განსაკუთრებული ნაწილი მთელი კანონმდებლობის სისტემისა. საეკლესიო კანონში იგულისხმება ნორმათა ერთობლიობა, რითაც რეგულირდება ეკლესიის ცხოვრების წესი.

არსებობს მოსაზრება: „თუ ხსნა ერთად ცხოვრებაში“ და იგი არ ექვემდებარება სამართლებრივ განხილვას, მაშინ ეკლესიას, როგორც დაწესებულებას, ცხონებისთვის აქვს იურიდიული ნორმები, რომელთა ერთი ნაწილი უზრუნველყოფს მის შენახვასა და მხარდაჭერას, ხოლო მეორე ნაწილი კი მის მოღვაწეობას, სიტყვისა და საიდუმლოების მართვას<sup>3</sup>. თუმცა ეკლესიის ასეთი კონსტიტუცია პროტესტანტებში ბუნებრივიცაა და აუცილებელიც, ვინაიდან იგი ასე ჩამოაყალიბეს და დანერგეს ეკლესიის რეფორმატორებმა, რასაც შემდგომ ბევრი უხერხულობა მოჰყვა. მეცნიერებაში ეკლესია ფიქსირებულია როგორც წმინდანთა უხილავი ურთიერთობა. რაც უფრო ჩქარა გამოაშკარავდება ადამიანსა და ღვთის ნებას შორის წინააღმდეგობა, მით უფრო მალე გადავა იგი საეკლესიო იურიდიულ წესდებაში. საეკლესიო სასამართლოში მითითებულია ეკლესიის განსხვავებული ორმხრივი გაგება: საინსტიტუტო და საზოგადოებრივი. თვით იესო ქრისტეს სიტყვებში შეიძლება იპოვო ნათელი მითითება ამ განსხვავებაზე.

ამის კლასიკური მაგალითია მათეს სახარებაში გადმოცემული ეპიზოდი საეკლესიო სასამართლო ცთომილი ძმის მიმართ. არსებობს ღია სასამართლო, რომელსაც საიდუმლოებანი არ გააჩნია. სახარების ის ადგილები, რის საფუძველზეც მოციქულებს ეძლევათ საიდუმლოს მიღებაზე ნებართვა, ღია სასამართლოსა და საიდუმლო აღსარებას შორის არსებობს ღრმა განსხვავება, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი მნიშვნელობისა. შინაგან სასამართლოში,

<sup>3</sup> Никодимъ, "Православное церковное право", С - Петербург, 1897, 233-234ю

ანუ სინდისის სასამართლოში ცოდვილი, რომელიც გულით აღიარებს თავის შეცდომას, იღუმალი საშუალებებით იღებს შენდობას და გადადის იმავე მღვდმარეობაში, რომელშიც მონათლული ადამიანია. ეს მონანიება უნდა იყოს გულწრფელი და არა მოჩვენებითი, ამაში მას მისი სულიერი მამა დაეხმარება. მომნიებლისათვის მონანიების იძულებით დაწესება მოძღარის მხრიდან არაკორექტული ქმედებაა. მოძღვრის მოვალეობაა, რჩევა მისცეს ცოდვილს, თუ რომელი გზით სჯობს სიარული, როგორ უნდა აარიდოს თავი ახალი ცოდვის ჩადენას და როგორ მოერიოს ყოველგვარ ცოდვას: „რამდენჯერაც არ უნდა დაეცე შენ მოედანზე“, ყოველთვის დგები. ასეა, რამდენჯერაც შესცოდებ, იმდენჯერ მონანიებ, ნუ წარიკვეთ სასოებას. შესცოდებ მეორედ, მეორედაც მონანიე... აქ სამკურნალოა და არა სასამართლო! აქ კი არ აწამებენ, არამედ ცოდვებს შეუნდობენ – ამბობს ოქროპირი“<sup>4</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართალწარმოებაში ერთმანეთისაგან უნდა გაემიჯნოთ სამართალი და მორალი. რაც არ ეხება საეკლესიო ცხოვრების გარეგან სამართლებრივ წესრიგს, იგი გეხვდება მორალურში. საეკლესიო კანონში დანაშაულისა და ცოდვის გაგება სხვადასხვანაირად ფორმულირდება, რადგან ყველა დანაშაული საეკლესიო კანონების მიხედვით ცოდვად არ ითვლება. უდავოა, რომ ყველა ცოდვა არის უფლის მცნების დარღვევა და დანაშაული ღვთაებრივი კანონის წინაშე, მაგრამ იგი არ არის გამოხატული მის გარეგნულ ქმედებაში, რითაც დაირღვეოდა საეკლესიო საზოგადოებაში დადგენილი იურიდიული წესრიგი. მას არა აქვს დამოკიდებულება საეკლესიო კანონთან ისე, როგორც ეკლესიის მიმართ მანამდე, ვიდრე ის არ გამჟღავნდება საიდუმლო ხასიათის მატარებელ ქმედებაში, რამეთუ მხოლოდ მისთვისაა ეს ცოდვა ცნობილი. თავდაპირველად ცოდვას ჰქონდა ურთიერთმიმართება მხოლოდ ეკლესიისადმი, როგორც

<sup>3</sup> Lehrbuch des deutsch. "Kirchenrechtes". Cöttingen, 1869. გვ. 391

<sup>4</sup> იოანე ოქროპირი "ოქროს წყარო" საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1990წ.გვ321

კაცობრიობის ცოდვების განმწმენდ ღვთაებრივ ნაგებობასთან. ამისთვის ის იყენებდა სხვადასხვა სიკეთით გაჯერებულ საშუალებებს, რომელსაც მლოცველებს ასწავლიდა საიდუმლოებებში და მათ შორისაც არის განსაკუთრებული, სპეციალური მონანიებები, რომელებშიც ჩაქსოვილია სწორედ მონანიების საიდუმლო. მისი მიზანი სწორედ განწმენდა, ავადმყოფი სულის განკურნებაა. აქედან მოდის ე.წ. შინაგანი, ანუ ეკლესიის საიდუმლო სასამართლო, გამოხატული აღსარების საიდუმლოებაში. თავისი არსებითი თვისებებით ეს სასამართლო არის სამართლებრივი აქტი. სოკოლოვი აღნიშნავს, რომ „ის მოგვაგონებს იმ შინაგან მოსამართლეს, რომელიც დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის და არის მის სინდისში.“<sup>5</sup> მას მიაჩნია, რომ საეკლესიო სასამართლოს მოვალეობა მხოლოდ შეჩვენება და მიტევებაა, ხოლო იურიდიული მხარე შეიძლება იტვირთონ სხვადასხვა დაწესებულებებმა. საეკლესიო სასამართლოს მხრივ მიტევება და შეჩვენება ეფუძნება იმ ძალაუფლებას, რომლითაც აღჭურვა მაცხოვარმა თავისი მოციქულები და მათი მიმდევრები.

ეკლესია, ისევე როგორც ყველა სხვა დაწესებულება, შედგება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისაგან, რომელთაც თავიანთი ფუნქციები აკისრიათ. არსებობს მკაცრად დადგენილი წესრიგი, რომლის თანახმადც, ისინი ქმნიან ერთ მთლიანს, ამ შემთხვევაში ეკლესიას, სადაც ეს წესრიგი არ უნდა დაირღვეს, და თუ დაირღვა, მაშინვე უნდა აღდგეს, ღვთის სახლში უნდა სუფევდეს სრული სიმშვიდე. მაგრამ საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი სისუსტეები. ამდენად, დარღვევები გარდაუვალია. ამასთან დაკავშირებით მაცხოვარმა თქვა: „ადამიანის მოდგმა ვერ გადაურჩება ცდუნებას“. მკაცრი წესრიგი ეფუძნება თვით შემოქმედის მიერ მოცემულ კანონებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან აუცილებლობას, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს თვით ეკლესიაც. ასეთ შემთხვევაში არავითარ ეჭვს არ

<sup>5</sup> მ. გორაჩაკოვი, სასულიერო სასამართლოს დასაწესი და ფორმები, 1874 წ. საბ., გვ. 256, 831.

უნდა ბადებდეს მისი აღდგენის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ეკლესიას შეუძლია ჰქონდეს წესრიგისა და დადგენილი ნორმების აღდგენის საშუალებები, რადგან მას აქვს ამის უფლება. საშუალებები კი არის საეკლესიო სასჯელი, რომელიც ისევე როგორც ღია საეკლესიო სასამართლოები, ეფუძნება ეკლესიასა და საზოგადოებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საეკლესიო უფლებების საფუძველს. ეს საფუძველი იმდენად მყარია, რომ არ საჭიროებს პირდაპირ და გარკვეულ მითითებებს ეკლესიის უფლებებზე.

ღია სასამართლო არ უბრუნებს ცოდვილს იმ სიწმინდეს, რაც მან მიიღო ნათლობის შემდეგ. საეკლესიო სასჯელის დადებისას სასამართლო ითვალისწინებს იმას, რომ მან გააზროს თავისი დანაშაული, ე.ი. აღიაროს თავისი გადახვევა ჭეშმარიტი გზიდან და მისი ქმედების მავნებლობა საზოგადოების სხვა წევრებისთვის. ამ გააზრებამ მასში უნდა აღძრას მონანიების გრძნობა, რაც აუცილებლად გამოიწვევს აღსარების სახით სულის სიმშვიდის მოთხოვნილებას. ამგვარად, ადვილი შესაძინებია აღსარებისა და სასამართლოს ურთიერთკავშირი. კავშირი გამოხატულია იმაში, რომ საეკლესიო სასჯელს, როგორც სასამართლოს გარეგნულ აქტს, მიჰყავს ცოდვილი სულიერ მამასთან. მაგრამ მიუხედავად ასეთი კავშირისა, მათი არევა ერთმანეთში ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ვნახეთ, რომ შინაგანი და გარეგანი საეკლესიო სასამართლოები აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

განვიხილავთ რა ეკლესიას, როგორც ერთიან ორგანიზებულ საზოგადოებას, რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობა წესრიგდება ცნობილი ნორმების ერთიანობით, ჩვენ შეგვიძლია საქმე ვიჭინოთ სამართალთან. ხოლო რაც შეეხება პირველს, ის თავისი საიდუმლო ხასიათით იმყოფება საეკლესიო სასამართლოს სფეროში, რომელიც საესებით საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რათა დაეკანონებინა ეკლესიისთვის დამსჯელობითი უფლება მისი შესაფერისი არსითა და დანიშნულებით.

ჩვენ ვხვდებით ფართოდ გავრცელებულ მოარულ აზრს, რითაც ეკლესიის

სადასჯელო უფლებას საფუძვლად უდევს „გასაღების ძალა“ (როგორც მას დასაველეთელი კანონისტები ეძახიან), რომელიც მაცხოვარმა წარუდგინა თავის მოციქულებს შემდეგი სიტყვებით: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც თქვენ შეკრავთ დედამიწაზე, იგივე იქმნება შეკრული ზეცაში და რის ნებასაც მისცემთ დედამიწაზე, იგივე ნება დართული იქმნება ცაში<sup>6</sup>“ და „მიიღეთ სულიწმიდა: ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მას მიეტივება, ვისაც დაუტოვებთ ცოდვებს, მას დარჩება<sup>7</sup>“. ამ მოსაზრებაში არ შეიძლება არ აღინიშნოს გაგების აშკარა აღრევა დოგმატიკურ საფუძველში, რომელზეც მართლმადიდებლური ეკლესია აფუძნებს თავის სწავლებას მონანიების საიდუმლოების შესახებ. დასაველურ ეკლესიებში ის გადაღის სამართლის სფეროშიც. იგი ფორმულაა, საიდუმლო უფლებაა შეჩვენებისა და შენდობისა არა მარტო ამ ცხოვრებისათვის, არამედ იმ ცხოვრებისთვისაც. მართლმადიდებლური ეკლესია არ უნდა დაემორჩილოს ამ კანონს. პროტესტანტებისათვის ამ საკითხში პრობლემა არ არსებობს, რადგან ისინი საიდუმლო მონანიებას არ ცნობენ და ამიტომ შეჩვენებისა და არმიტევების უფლება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფუნდამენტად არა მარტო შინაგანი ცენტრისთვის, არამედ გარეგანისათვისაც. ისევე როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური ეკლესიისთვისაც სწავლება აღსარების საიდუმლოს შესახებ წარმოადგენს რწმენის ერთ-ერთ ძირითად დოგმას.

1

<sup>6</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენიის იესო ქრისტესი და ფსალმუნი, 1985 წლის გამოცემა, გვ 52-55

<sup>7</sup> იქვე, გვ 271-273

## § 2. საეკლესიო სასჯელის არსი, მიზანი და სისტემა

აღბათ დიდ სირთულეს არ წარმოადგენს ისეთი სახის საეკლესიო ინსტიტუტების პოვნა რომელშიც საეკლესიო წესრიგი ასე განსხვავებულად იხილებოდა. ეს აიხსნება იმით, რომ დისციპლინის მიზანი ემთხვევა სხვა საეკლესიო ინსტიტუტებისას იმის გამო, რომ არ არსებობს ზუსტად დადგენილი საზღვრები. დისციპლინა ან ძალიან ვიწროდაა შემოფარგლული, ან ძალიან ფართოდ იხსნება საერო სფეროში. მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო ასეთი სახის მოსაზრებას. საუკუნეების განმავლობაში მრავალი ცნობილი კანონისტების მოსაზრებები წესრიგის თაობაზე ემთხვეოდა ერთსა და იმავე შეხედულებას. საეკლესიო სასჯელი შეიძლება იყო როგორც ფიზიკური, ასევე სხვა სახის. ისინი იცვლებიან მნიშვნელობის მიხედვით. დომინირებდა ის მოსაზრება, რომ ერთადერთი იარაღი ეკლესიური სასჯელისა არის ცრემლი და ლოცვა.

კანონისტები არ უშვებდნენ არანაირ განსხვავებას საეკლესიო წერიგსა და პასტორის მეურვეობას შორის, რადგან საეკლესიო წერიგის მიზანი მომნანიებლის სულის მდგომარეობაზე მეურვეობაა. ეს არაიურიდიული შეხედულებაა და ძალიან იშვიათად გვხვდება. თვით კათოლიკე კანონისტებს შორისაც კი, ორი სხვადასხვა გაგების შეერთება, მღვდლობა და საეკლესიო წესრიგი აიხსნება იმით, რომ მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. უდავოა, რომ გავლენა უნდა იქონიო ეკლესიის წევრებზე და ისინი ალაგზნო და გამოაცოცხლო მათი სულის გადარჩენის საკეთილდღეოდ და სწორედ ეს არის ეკლესიის აღიარება. მაგრამ ეს ამოცანა მიიღწევა მისი განმანათლებლებისა და ღვთისმსახურთა მოღვაწეობით. ეკლესიის დამსჯელობითი ქმედება იმით არის გამორჩეული, რომ იგი<sup>1</sup> გულისხმობს ეკლესიისათვის არადამახასიათებელ მდგომარეობას, რაც იწვევს ნორმალური რიტმის დარღვევას და მის აღსადგენად ეკლესია იყენებს იმ დამსჯელ საშუალებებს, რაც მას ხელთ აქვს.

ანუ საეკლესიო სასჯელებს. ხოლო იმ ეკლესიებში, სადაც წესრიგი და სიმშვიდეა, ეკლესიის მესვეურთა მოვალეობაა, მრევლში გააღვივოს ღვთისმოსაობა და ამის მისაღწევად მან უნდა მიმართოს არა დამსჯელობით მეთოდებს, არამედ ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა სწავლება, ლოცვები და ღვთისმსახურება. ამგვარად, საეკლესიო სასჯელი არის ეკლესიის რეაქცია საეკლესიო დანაშაულის წინააღმდეგ. შეხედულება საეკლესიო სასჯელზე შეიძლება იყოს ორგვარი: დადებითი და უარყოფითი.

მეორე, ანუ უარყოფით შეხედულებებს მიეყვართ შემდეგ ორ გარემოებამდე:

ა) საეკლესიო სასჯელები არ უნდა გასცდნენ ეკლესიის უფლებების სფეროს. ეს თავისთავად გამომდინარეობს იმ საერთო საწყისიდან, რომელიც შექმნილია თვით შემოქმედის მიერ და მისი არსი მდგომარეობს ადამიანთა მორალური სრულყოფის იდეალში. საეკლესიო სასჯელებისათვის უცხოა მატერიალურ-იმულებითი, ძალადობრივი ხასიათი, რადგან მორალური სრულყოფა ძალადობრივი მეთოდებით არ მიიღწევა. ეკლესიას<sup>8</sup> არ შეუძლია შეეხოს მოქალაქის სოციალურ მდგომარეობას სახელმწიფოში. ადამიანის უფლებები, მოქალაქეობრივი თავმოყვარეობა ეკლესიისათვის ხელშეუხებელია.

ბ) საეკლესიო სასჯელებს, რომლებიც ითვალისწინებენ წესრიგის აღდგენას, არ შეიძლება ჰქონდეთ შემთხვევითი ხასიათი. ვერ იქნებიან დამოკიდებული ამა თუ იმ პირის ნებაზე, რადგან თვითონ ეკლესიის წესრიგი შემთხვევითი კი არ არის, არამედ შინაგანი აუცილებლობითაა გამოწვეული. წარმოვაჩინოთ რა ამ მდგომარეობას, მხედველობაში გვაქვს ძალზე გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ საეკლესიო სასჯელები შედგება „ეპიტემიებისაგან“. ეკლესიას თუ სასჯელის აღსრულების უფლებას მივანიჭებთ, მაშინ ეს მისია მთლიანად დამოკიდებული იქნება დამსჯელის ნებაზე და თუ არ დავაკისრებთ, მაშინ საჭირო გახდება ეკლესიის გარეთ ვეძებოთ ისეთი

<sup>8</sup> ახალი აღთქმა უფლისა წინისა იესო ქრისტეხი და ფსალმუნა, 1983 წ. ოთხე. გვ. 237-241, ლუკა. გვ. 163-167

იძულებითი ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ საეკლესიო სასჯელების სისრულეში მოყვანას. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ როგორი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს სახელმწიფოში, ის შეძლებს რაიმე დადებითი ქმედებით სასჯელის სისრულეში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში ყველა ხელისუფლება ეჯახება პიროვნების ნებას და ძნელია პიროვნებას, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გააკეთებინოს რაიმე კეთილი ქმედება, რაც განეკუთვნება ზნეობრივ-მორალურ სფეროს და ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურადაც წარმოუდგენელია.

მაგალითად, დასჯის მიზნით ეკლესია ითხოვს განსაზღვრული რაოდენობის მუხლმოდრეკას ან ეკლესიაში სიარულს განსაზღვრულ დღეებსა და საათებში. სასჯელის სისრულეში მოყვანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც განსასჯელი არ ეწინააღმდეგება აღსრულების პროცესს, რაც მთლიანად მის ნებაზეა დამოკიდებული. საეკლესიო სასჯელი არის შედეგი, როგორც კეთილი ნაყოფი და აღდგენილი წესრიგის დამტკიცება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა – რით ხდება ამ დარღვეული წესრიგის აღდგენა?

რასაკვირველია არა საეკლესიო სასჯელებით, არამედ ეკლესიის გარეთ იმ ძალების მოძიებით, რომლებიც შეძლებდნენ საეკლესიო სასამართლო ხელისუფლებისათვის გაძლიერებული უფლებების მინიჭებას და რომლებიც განსასჯელს აიძულებდნენ დადებული მსჯავრის შესრულებას იმის მუქარით, რომ აღუკვეთავდნენ ცხოვრებისათვის აუცილებელ სიკეთებს.

ამრიგად, იძულების მეთოდის გამოყენებით ეკლესიური მეთოდები შეიძლება გარდაიქმნენ არაეკლესიურად.

ახლა გადავიდეთ საკითხის დადებითი ასპექტების განხილვაზე, ე.ი. იმ საკითხზე, თუ რა არის საეკლესიო სასჯელი. რა თქმა უნდა, ყველანაირი სასჯელი თავისი არსით ატარებს უარყოფით თვისებებს, რადგან შეიცავს სიკეთისა და უფლების აღკვეთას. განვიხილოთ დამსჯელობითი საშუალებები მისი პირდაპირი მნიშვნელობით, რითაც სარგებლობს ხელისუფლება, ანუ

სისხლის სამართლის სანქციები, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, მთავრდება თავისუფლების აღკვეთით. თუ შემდგომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულს აქვს იძულებითი სამუშაო. იმ შემთხვევაში, თუნდაც ეს სამუშაო, ითვლება უფრო საშუალებად, რომელიც ამსუბუქებს პატიმრობას და ამცირებს სასამართლო განაჩენით გათვალისწინებულ ციხეში ჯდომის დროის ხანგრძლივობას. ეკლესიაშიც იგივე კანონი მოქმედებს – ეკლესიაც ართმევს უფლებებსა და მადლს, მაგრამ ეს მადლი და უფლებები ისეთი კი არ არის, როგორც საერო სასამართლოს გააჩნია, არამედ ესენია: მონაწილეობა საზოგადოებრივ ღონისძიებებში, საეკლესიო საქმეებში და ბოლოს სამღვდლოების სფეროში გარკვეული უფლებების მინიჭება.

შეიძლება კი ეკლესიის და სახელმწიფოს უფლებების ხელოვნურად გაიგივება მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი და საეკლესიო უფლებები სხვადასხვა პრინციპებს ეყრდნობა? ამ კითხვაზე შემდგენიარად შეიძლება პასუხის გაცემა: ეკლესიას, როგორც ხილულ სამყაროში ორგანიზებულ საზოგადოებას, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი უფლებები, რომლებითაც ის უახლოვდება სახელმწიფოში არსებულ სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ კავშირებს.

თუკი საეკლესიო სამართლის მეცნიერულ აგებულებას მივუსადაგებთ სხვადასხვა კატეგორიებს, ლოგიკურად დაუშვებთ განსხვავებას საეკლესიო კანონმდებლობასა და სასამართლოს შორის, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ სპეციფიკურობას.

ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ ეკლესიიდან საეკლესიო პრაქტიკაში საუკუნეობით დამკვიდრებული სასჯელების განდევნას, არამედ გვინდა ვთქვათ, სასჯელებმა შეცვალოს ცოდვების ღიად აღიარება, რაც უძველეს ეკლესიებში არ განიხილებოდა როგორც სასჯელი. ეს იყო ეკლესიის მხრიდან მონანიებისთვის მიცემული საშუალება, მონანიებიდან კი იმედი ეკლესიის მრევლში აღდგენისა. სახალხო მონანიება იყო განკითხვის თანამგზავრი და

ატარებდა არა დასჯის ხასიათს, არამედ სასჯელის თავიდან აცილების საშუალებას.

სხვადასხვა ღვთისმოსავ საქმიანობებს მსჯავრდებულები ნებაყოფლობით იღებდნენ, ხოლო ღრთთა განმავლობაში ისინი იქცეოდნენ კანონის რეგლამენტაციებით, რაც აყვანილ იქნა პენიტენციარული სისტემის რანგში. შემდეგ ყველაფერს მნიშვნელობა შეეცვალა და დარჩა ის თვალსაზრისი, რომ უნდა მომზადებულიყვნენ ზიარების ღირსეულად მიღებისათვის\*.

ამგვარად, სასჯელებს პირდაპირი კავშირი აქვს საეკლესიო კანონმდებლობასთან და მთლიანად შედის განსაკუთრებულ ღვთისმსახურთა დისციპლინის სფეროში, რომელიც ცნობილია მღვდლის სახელწოდებით. სასულიერო პირის მიერ ცოდვების მიტევებაზე უარის თქმა, მის მიერ ზიარებაზე დაშვება ან არდაშვება, განპირობებულია სასჯელის მოხდით. თუ მოძღვარი უარს ამბობს ზიარებაზე, მაშინ უარის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ზიარების მსურველ მომნანიებელში ვერ აღმოაჩენს იმ პირობებს, რომელიც სჭირდება ზიარების მიღებას. ზიარებაზე არ დაიშვება ადამიანები, რომლებსაც მართალია, არავითარი დანაშაული არ მიუძღვით ეკლესიის წინაშე, მაგრამ მზად არ არიან ზიარებისათვის. კათოლიკების შეხედულებების მიხედვით, პენიტენციარი, განიხილება, როგორც საშუალება ღვთის სამართლის დასამტკიცებლად. საეკლესიო სასჯელებზე საუბრისას, როგორც ეკლესიის იურისდიქციის ერთ-ერთი გამოვლენა, გვერდს უვლიან ამ პენიტენციარს და განიხილავენ მის ცალკეულ ნაწილებს.

საეკლესიო სასჯელები შეიძლება იყოს მხოლოდ სიკეთისა და უფლებების აყრა და მიყვარათ შემდეგ დასკვნამდე:

ა) სასჯელი არის არა შესაძლებელის, არამედ არსებულის აღკვეთის უფლება. სასჯელი არ შეიძლება განხილულ იქნეს უფლებაუნარიანობის აყრის

\* დაწერილებით ამ საკითხზე საუბარი იქნება ქვემო თავში.

თელსაზრისით, რადგან უფლებაუნარიანობა წარმოადგენს ეკლესიის კუთვნილებას და მისი აყრა ნიშნავს ეკლესიისთვის ამ უფლებაუნარიანობის ჩამორთმევას. ამ დასკვნის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება ე.წ. ირეგულარიტეტებში (irregularitas).

ირეგულარიტეტის ქვეშ მყოფი კათოლიკური ეკლესიის სამართალში იგულისხმება ზიარების საწინააღმდეგო გარემოება ან სრულდება ის ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია კურთხევასთან. ცნობილია, რომ კათოლიკური ეკლესიის სასწავლო კანონები ჩამოყალიბდა მკაცრ სისტემად. აქედან გამომდინარე, ყველა მსგავსი გარემოება ჩამოყალიბებულია ორ მთავარ თემატიკაში:

1) გარემოებები, გამომდინარე გარკვეული ნაკლოვანებებიდან (irregularitates defectu).

2) გარემოებები, წარმოქმნილი ჩადენილი დანაშაულიდან (irregularitates ex defecto).

უძველეს დროში დანაშაულის ქვეშ იგულისხმებოდა სახალხო საეკლესიო მონაწილის გამომწვევი ქმედება, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი უარყოფილ იქნა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ირეგულარიტეტს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე ყველასთვის ცნობილ დანაშაულს (notorium delictum) სჩადის, რასაც მოჰყვება „infamia“, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია განსაზღვრული დანაშაულები: homicidium avolutarium reiterativum Daptismi arc) ირეგულარიტეტი, ex delicto-ს შორის, მაგრამ ძირითად irregularitas ex delicto წარმოშობა აგრეთვე ნაკლოვანებებისაგან. ex defecto, ბოლოს და ბოლოს, სხვა არაფერია, თუ არა კურთხევისათვის საჭირო ხარისხის მეტობა. ჯისაც ეს ხარისხი აკლია, მას არ შეიძლება მიეცეს კურთხევა. იგი განიხილება იმათ დონეზე, ვინც ფიზიკურად არ არის ჯანმრთელი. ყველა ის, ვინც მეორე დასახიჩრა, ექვემდებარება ირეგულარიტეტს. თანაც საეკლესიო კანონმდებლობიდან ჩანს, რომ კანონისტიები

ცდილობენ, ჩამოაყალიბონ უკეთესი მსახურება და დასჯის პროცესი, რაც მიეკუთვნება უკანასკნელ კატეგორიას. კანონისტების ერთი ნაწილი სასჯელს განიხილავს როგორც poena sui generis, ხოლო კანონისტების დიდი უმრავლესობა, საეკლესიო სასჯელებს მიმოიხილავენ ირეგულარიტეტის გვერდის ავლით.

ბ) საეკლესიო სასჯელი არის ეკლესიის წევრთათვის საეკლესიო მადლისა და უფლებების ჩამორთმევა. თავისთავად ნათელია, რომ ვინც არ ეკუთვნის ეკლესიის მრევლს, წარმოუდგენელია მათი დასჯა. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის ეკლესიის მრევლი, არცთუ ისე ადვილი გადასაწყვეტია. მაგალითად, ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა გარდაცვლილი ჩაითვალოს მრევლად? დოგმატური მიდგომის თვალსაზრისით, საკითხი დადებითად შეიძლება გადაწყდეს. ეკლესია განიხილება როგორც ხილული საზოგადოება საეკლესიო უფლებით, საგარეო წესრიგით და ამასთანავე, საზოგადოებაში გაბატონებულს საქმე აქვს მხოლოდ ცოცხალ მრევლთან. საეკლესიო სასამართლო და სასჯელები არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ იმ პირის მიმართ, რომელიც უკვე წარდგენილია უზენაესი სასამართლოს წინაშე. მართალია, ისტორიაში მრავლად ვხვდებით მაგალითებს, როდესაც გარდაცვლილი გადაცემულია ანათემას, ეს ნიშნავდა განსვენებულის ერეტიკოსად გამოცხადებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში განკვეთა და ანათემა არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მიცვალებულის დასჯა. ეს მოვლენები შეიძლება განვიხილოთ როგორც საეკლესიო პოლიტიკა და არა როგორც საზოგადოებისათვის დადგენილი ნორმები საეკლესიო სასამართლო ლიტერატურაში. საეკლესიო სასჯელების სისტემაში ხშირად ვხვდებით მიცვალებულთა წესის აგებაზე უარის თქმას, მაგრამ ეს მეთოდიც, ჩვენი აზრით, არ არის სასჯელი, რადგან გარდაცვლილი აღარ ეკუთვნის მრევლს და მისთვის აღარ არსებობს მიწიერი ურთიერთობები. საიქიოში იპოვის იგი ჭეშმარიტ სამართალს, ვიდრე აქ, დედამიწაზე. როდესაც ეკლესია არ უგებს

წესს მიცვალებულს, ამას იგი დასჯის მიზნით კი არ აკეთებს მის ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვებისათვის, არამედ იმიტომ, რომ ეკლესიის მიერ გარდაცვლილის დასჯა ვერ იქნება მაგალითი მრევლისათვის<sup>9</sup>.

ამიტომ ეკლესიის უარი მიცვალებულისათვის წესის აგებაზე, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სასჯელი, რადგან ყველანაირი სასჯელი ადამიანის მდგომარეობას მხოლოდ ხილულ სამყაროში, ანუ აქ, დედამიწაზე მიეკუთვნება.

მათეს სახარების ცნობილ ადგილას, რომელიც მიუთითებს, როგორ უნდა მოექცეს დამნაშავე ძმას ძმა<sup>10</sup>, ნათქვამია: „თუ შესცოდებს ძმა შენი, მიდი და ამხილე იგი, შენსა და მას შორის, თუ მოგისმენს, ე.ი. შეიძინე ძმა შენი და თუ არ მოგისმენს ძმა შენი, წაიყვანე ერთი ან ორი ძმა და მათი პირით დაამტკიცე სიმართლე და თუ არ მოუსმენს არც მათ, უთხარი ეკლესიას და თუ ეკლესიასაც არ მოუსმენს, მაშინ ის იქნება წარმართი და ვერაგი.“

ამდენად, მიზანი, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს, ეკლესიის რომელიმე წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – ესაა მისი განწყობა უკეთესი აზროვნებისაკენ, მისი გამოსწორება. მოციქული პავლე, რომელმაც ქრისტესაგან მიიღო უფლებამოსილება ეკლესიიდან განკვეთისა, გამოიყენა ეს უფლებამოსილება რეალურად სინამდვილეში მომხდარი შემთხვევებისათვის.

მოციქულამდე მიადწია უტყუარმა ამბავმა კორინთელთა ეკლესიის მესვეურთა სიმრუშის შესახებ, მანამდე ჯერ არ გაგონილი წარმართებშიაც კი, რომ ვიღაცას ცოლად ჰყავს მამის ცოლი. ამ ამბით აღშფოთდა და შეწუხდა მოციქული, ხოლო დანარჩენებს იმის მაგივრად, რომ აღმოეფხვრათ ეს საშინელი მდგომარეობა, გაამპარტავდნენ. მოციქულმა გადაწყვიტა: „თუმცა სხეულით არა ვარ თქვენს შორის, სულით თქვენთან ვიმყოფები, უკვე მსჯავრი დავსდე მას, თითქოს თქვენთან ყოფილიყო, ვინც ასეთი საქმე ჩაიდინა ჩვენი

<sup>9</sup> Алексей архиеп. литовский, Предполагаемая реформа церковного суда, 2 вып., Сиб. 1873 г., ст. 30.

<sup>10</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენი იესო ქრისტესი და ფსალმუნა. 1985 წლის გამოცემა, გვ. 51-55

უფლის იესო ქრისტეს სახელით. როცა შეიკრიბებით ჩემი სულის თანდასწრებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ძალით, ასეთი კაცი გადაეცეს სატანას ხორცის სატანჯველად, რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დღეს". მოციქულმა სისხლის ამღვრევენი გადასცა სატანას ხორცის საგვემად, ამ მიმართვაში არ შეიძლება არ დავენახოთ მოციქულის სურვილი და სწრაფვა დამნაშავეის სულის გადარჩენისათვის, რათა გამოსწორებული ცოდვილი კვლავ დაბრუნებოდა ეკლესიას<sup>11</sup>.

მიზანი მიღწეული იყო. მშვენიერად ამბობს მოციქული ამის შესახებ კორინთელთათვის მეორედ მიწერილ წერილში<sup>12</sup>. ჩვენ ვხედავთ არა ცივ და მიუკარებელ მოსამართლეს, მშვიდად და აუღელვებლად რომ აგზავნის ცოდვილთ სასამართლოში, არამედ ეკლესიის მიმართ სიკეთითა და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე ადამიანს, რომელიც ამბობს: „დიდი გულისტკივილითა და ნაღველით გწერდით უამრავს არა იმიტომ, რომ დამემწუხრებინეთ, არამედ გეგრძნოთ ის მეტისმეტი სიყვარული, რომელიც თქვენდამი მაქვს და თუ ვინმემ დამამწუხრა, მე კი არ დამამწუხრა, არამედ გადაჭარბებულად რომ არ ვთქვა, ნაწილობრივ ყველა თქვენ. ასეთისათვის საკმარისია ეს სასჯელი მრავალთაგან. ასე რომ, პირიქით, აპატიეთ და ნუგეში ეცით, რათა მეტისმეტმა ნაღველმა არ შთანთქას იგი, ამიტომ შეგონებითი სიყვარული გამოეჩინოთ მის მიმართ“.

პირველი საუკუნის საკანონმდებლო ძეგლებში შესანიშნავადაა გადმოცემული მოციქულთა დადგენილებები ეპისკოპოსებისათვის, რომლებსაც ევალებოდათ არა მარტო უცოდველებზე ზრუნვა (რათა დაეცვათ ისინი ცოდვისაგან), არამედ მასზედაც, ვინც შესცოდა – რათა მოენანიებია ჩადენილი ცოდვები.

თვითგამოსწორების იდეამ ეკლესიების წესებში სახე იცვალა მას შემდეგ, რაც მონანიება გვერდში ღაუდგა კანონმდებლობას და იქცა სასჯელად. აქედან

<sup>11</sup> Албовъ И., Краткий курсъ по церковному праву, Сиб., 1882 г., ст.40.

<sup>12</sup> Архим Иоаннь, Опыт курса церковного законовѣдения, Т. II, выпуск сиб, 1851 г, ст. 28.

გაჩნდა იდეა საეკლესიო სასჯელებით სინდისის განწმენდისა განსაზღვრულ დროში. ამ იდეაზეა ძირითადად აგებული ვასილი დიდისა და მთელი რიგი სხვა ეკლესიების კანონები, როგორებიცაა მაგ., ანკირიის, ნეოკასარიელის. ახალი აღთქმის ზოგიერთი ადგილიდან შეიძლება გარკვევით დავინახოთ, რომ საკლესიო სასჯელის გამოყენებით მოციქულები მიზნად ისახავდნენ არა მარტო ცოდვების გამოსწორებას, არამედ უფრო მეტს. მოციქული პავლე აგრძელებს თავის წერილში კორინთელთა მიმართ: „არ შეგფერით კვებნა, განა არ იცით, რომ მცირედი საფუარი მთელ ცოშს აფუებს“.

ანტიოქიის ეკლესიის კანონების მიხედვით, გამოსწორება ეწოდება თვით სასჯელის ზომას. ყველა ის, ვინც შედის ეკლესიაში და ისმენს წმინდა წერილის ქადაგებას, მაგრამ წერილიდან ზოგიერთი გადახვევით, არ მონაწილეობს მრევლთან ერთად წირვაში ან ზურგშექცეულია ზიარებისაგან, ისინი იქნებიან განკვეთილნი ეკლესიიდან მანამ, ვიდრე არ ეზიარებიან და მონანიების ნაყოფს არ აჩვენებენ, მოითხოვენ პატიებას და შეძლებენ მის მიღებას. ამრიგად, დამნაშავეის გამოსწორებისას გადმოდის მთელი ეკლესიის მადლი, რადგანაც ეს მოთხოვნები ვერ ქმნის ცოცხალ, ასე ვთქვათ, მოარულ მომაჯადოებელ მაგალითს, რომელსაც ერთი წვერი აძლევს მეორე წვერს<sup>11</sup>.

ამ ორ მიზანს ემატება მესამე – ეკლესიის სინდისის მხარდაჭერა და დაცვა. აღნიშნული მიზანი საკმაოდ ნათლადაა ფორმირებული და ჩამოყალიბებული კიპრიანე კართაგენელის მიერ.

ეპისკოპოს ევკრატოს შეკითხვაზე: შეიძლება თუ არა მსახიობის ყოფნა საეკლესიო საზოგადოებაში, რომელიც თავის ხელოვნებას ასწავლის ბიჭებს, კიპრიანემ უპასუხა, რომ: „არც ღვთის დიდებას და არც სახარების მოთხოვნებს არ უთანხმდება, რამეთუ | ასეთი სასირცხვილო ურთიერთობები ლაქად ედება ეკლესიის სინდისს“.

ბოლო ორი მიზანი, ე.ი. მადლი და სინდისი, შეიძლება იყოს

<sup>11</sup> Албовъ И., Краткий курсъ по церковному праву, Сиб., 1882 г., ст. 45.

დასახელებული მეორეხარისხოვან გამოსასწორებლად იმიტომ, რომ მრევლისათვის ეკლესიის სინდისიც და მადლიც განიცდის კლებას, ანუ დაზარალებული მართალია, როცა იგი არ ემსახურება მრევლს და ეკლესიის მორალს უთბრის ძირს. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე ფიქრობს წმინდა კაპრიანე. მისი რჩევით, ეპისკოპოსი ეეკრატი ყველა საშუალებებით უნდა ეცადოს, რომ დამნაშავე როგორმე განარიდოს თავის სამარცხვინო პროფესიას და იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ჩავარდება სიღარიბეში – უარი თქვას სიმრუშეზე.

ქრისტიანული საზოგადოება მოვალეა გამოიყენოს ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებები და თუ თვით ეკლესიაში არ აღმოჩნდა ეს საშუალება, ასეთ შემთხვევაში ის უნდა წაეიდეს კართაგენში, რათა არ აღმოჩნდეს ეკლესიიდან განკვეთის მდგომარეობაში და ეკლესიიდან არ ასწავლოს სხვას ცოდვა, არამედ ჰქონდეს საშუალება, დარჩეს მის წიაღში, ისწავლოს და ემსახუროს მის გადარჩენას. ბოლო ორი მეორეხარისხოვანი მიზანი პირველი ხარისხის მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ეკლესიის მრევლთა წევრს, რომელიც აღჭურვილია სპეციალური უფლებებით საეკლესიო საზოგადოებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საეკლესიო მომსახურების სფერო, სადაც საეკლესიო სასჯელის მთავარი დანიშნულება იძლევა მადლისა და სინდისის მიღებას და სადაც გამოსწორების მიზანი მთლიანად კი არ შორდება დედაარსს, არამედ გადადის უკანა პლანზე, მაგრამ თამაში ხან ერთის პირველობისა, ხან მეორისა. ემსახურება იმ საერთო გაგებას, რასაც ჩვენ ეუწოდებთ „საეკლესიო წესრიგის აღდგენას“.

რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, მის კანონებში მე-12 საუკუნიდან გამომჟღავნდა ორი სხვადასხვა სასჯელის ტექნიკური ტერმინოლოგია. ერთი მხრივ, ეკლესია მოქმედებს რა ეკლესიის ნორმების დარღვევის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს გამოსწორებას, მიისწრაფვის იქითკენ, რომ დამნაშავეებში აღძრას სინანულის გრძნობა და სურვილი, შემდგომში თავი შეიკავონ ისეთი

ქმედებისაგან, რომლებმაც მოცემულ მომენტში მიიყვანა ისინი საეკლესიო სასამართლომდე. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მცნებები: მადლი და სინდისი ეკლესიისა.

მეორე მხრივ, ეკლესია იყენებს მთელ რიგ ზომებს, რომლებიც ითვალისწინებენ „შეურაცხყოფილი ღვთისადმი პატივის მიგებას“. ამ მიზნების განსახორციელებლად კათოლიკური ეკლესია ეყრდნობა ორ მომენტს: გამოსასწორებელი (poenae medicinales, censurae) და ვინდიკატიური (poenae vindicativae) სასჯელი.

რომში არსებობდა მოსაზრება, რომ „ცენზორებს საქმე აქვთ მხოლოდ მომავალთან, რამეთუ ისინი გამასწორებელ და სამკურნალო საშუალებებს იყენებენ ეკლესიის ნებას დაუმორჩილებელი პიროვნებების მიმართ მანამ, სანამ დაზარალებული არ მოეგება გონს და არ მოიხდის ყველა სასჯელს“. სასჯელი ეკუთვნის მხოლოდ წარსულის ფაქტს. ეკლესიას ქრისტესაგან მიცემული აქვს პრაქტიკული დამსჯელი უფლება: „ერთი მხრივ, ცოდეილის გამოსწორება და, მეორე მხრივ, შურისძიება კანონის დარღვევისათვის“.

ამგვარად, ფარდობითობის თეორიები როგორცაა: „ღმინების თეორია, გაფრთხილების თეორია, დაცვის თეორია და გასწორების თეორია, ისინი ანგარიშგასაწევი არიან, თანაც თითოეული მსგავსი მოტივი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცალკეული შემთხვევა, მხოლოდ როგორც ერთ-ერთი მომენტი და არა როგორც სახელმძღვანელო. ეს აზრები არაფრით არ ესადაგება ადრე გამოთქმულ პრინციპებს. კათოლიკური ეკლესიის შეხედულება სასჯელზე, როგორც საშუალება ღვთის სამართლის აღდგენაზე, გატარებულია თანმიმდევრულად სასჯელის დადებით. განსხვავებაა მხოლოდ სასჯელის სახეებში. inforo eksternu და ეპიტემიას შორის არსებობს საკმაოდ მჭიდრო კავშირი, როგორც ისტორია გვიდასტურებს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განსხვავება ამ ორ სასჯელს შორის არ არსებობდა.

რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში წარმოქმნილია შეხედულება სასჯელზე,

როგორც ღვთის სამართლის ძალაზე. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ფორმირების პერიოდში ამ ეკლესიამ მიაღწია ძლევამოსილებას სწორედ ძალის საშუალებით. მან მთლიანად თავის თავზე აიღო სუფთა რეპრესიული მეთოდებით სარგებლობა, რომელსაც, სამწუხაროდ, ძალიან მცირე კავშირი ჰქონდა უბედულ ეკლესიაში არსებულ აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქციასთან. ეს ის დრო იყო, როდესაც პაპს მიიჩნევდნენ როგორც სამყაროს ერთადერთ მეთაურად, ღვთის ნებით დაყენებულს ხალხებზე და სამეფოებზე, ქრისტეს ძალაუფლებით აღჭურვილს, ხალხებს შორის შუამავალს, რომლის ხელშიც იყო ბედი და სამოქალაქო მდგომარეობა თითოეული ადამიანისა; მის იურისდიქციაში შედიოდა კაცობრიობის ბედი – მათი გადასახლება, მათთვის თავისუფლების მიცემა ან წართმევა, ღირსების შარავადენდით ამა თუ იმ სამეფოს შემოსვა, ქალაქების დანგრევა თუ აღდგენა. როგორც ქრისტეს ნაცვალი დედამიწაზე, პაპი მიუზღავდა სამგაიეროს დანაშაულისთვის იმავე გაგებით, რა გაგებითაც თვით უფალმა მიანიჭა თავის თავს ეს უფლება. ამას უკავშირდება კათოლიკური ეკლესიის სწავლება (o thesaurus supererogationis perfectorum), ინდულგენციის, განსაწმენდელის შესახებ ზემოთ განხილული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელსაც სხვა მეთაური არა ჰყავს, გარდა უხილაეი ქრისტესი, არ შეუძლია გადასცეს სხვას ხილული ხელისუფლების დასჯის უფლება, არამედ იგი ამ უფლებას ანიჭებს უშუალოდ ღვთის სასამართლოს.

აღმოსავლეთის ეკლესიები და განსაკუთრებით რუსული ეკლესია თავისი არსებობის დასაწყისში ვერ აღწევდა თავშეკავების დაცვას „ახალ აღთქმაში“ მოცემული მცნებებისა და შეგონებების გათვალისწინებით. რუსული ეკლესია წარმოიშვა ხალხის წიაღში და მას თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაწყება სულ თავიდან მოუხდა. რუსულ ეკლესიაში ფულადი საურავების პერიოდში დასჯა ხორციელდებოდა დამნაშავის ქონებიდან განსაზღვრული თანხის გადახდით. არსებითად ეს მიზანი ახლოს იდგა ვასილი დიდის წესებში

და კიდევ უფრო გვიანდელ საეკლესიო პენიტენციარებში ან "სჯულისკანონის" ეპიტემიებში ჩამოყალიბებული სინდისის განწმენდის იდეასონ. მაღალი წრისათვის სინდისის განწმენდა შეიძლებოდა გამოსყიდვით და ამით ვალს იხდიდნენ ღვთისა და ეკლესიის წინაშე. ხალხისთვის კი, რომელიც აშენებდა საკუთარ სამართალს ჯარიმისა და გამოსყიდვის შესახებ, სრულებით არ იყო ძნელი ამ იდეიდან გამოსყიდვის იდეაზე გადასვლა. ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკლესია აკეთებს ასეთ დასკვნას: რადგანაც ყველა ცოდვის სათავე არის თავშეკავების უკმარისობა და ყველანაირი ხორციელი ვნებების დაკმაყოფილება, ამიტომ სასჯელმა უნდა მოსპოს ის წყაროები და წაართვას საშუალებები ამპარტაუნობისა და ტკობისათვის<sup>14</sup>. მიტროპოლიტმა იოანემ თავის ცნობილ „საეკლესიო უფლება“-ში დაადგინა, რომ მოსანათლი ბავშვების დედები, რომლებიც აუად იქნებიან და ვერ შეძლებენ შეინახონ მარხვა, ეს მოვალეობა უნდა გადასცენ მამებს, რათა არ დაუძღვრდნენ და არ დაღუპონ თავიანთი ცხოვრება. უფრო შორს წავიდა კირიკი თავის მიტევებაში და ნიჟონ ნოვეგოროდსკი თავის პასუხებში ამ მიტევებებზე. კითხვაზე „შეუძლიათ თუ არა ცოლს ქმრისა და ქმარს ცოლის დახმარება ეპიტემიებში,“ პასუხი ასეთი იყო: „შეუძლიათ საკუთარი სურვილით, ისევე როგორც მეგობარს მეგობრისათვის და ძმას ძმისათვის“. სასიკვდილო სასჯელების გაძლიერების პერიოდში სხვადასხვა მიზანი სასჯელებისა, როდესაც პირველ პლანზე გამოდიოდა შურისძიება და დაშინების მოტივები, საეკლესიო სასამართლოების განაჩენებში ხშირად აღინიშნებოდა ეს გარემოება<sup>15</sup>. შუა საუკუნეებში, როდესაც ხდებოდა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, სინდისის განწმენდის იდეა გამოდიოდა სახალხო განკითხვის ელფერით<sup>16</sup>.

<sup>14</sup> Богдановский, Развитие понятий о преступлениях и наказаний в русском праве до Петра Великого, Москва, 1857, стр. 45

<sup>15</sup> Суворов Н, О церковных наказаниях, 1876, стр. 34.

<sup>16</sup> იქვე გვ 48

პრაქტიკაში მსგავსი გადახრების მიუხედავად, რუსულ ეკლესიაში თეორიულად არასოდეს მომკვდარა საეკლესიო სასჯელის მთავარი მიზანი – დამნაშავეის გამოსწორება, რაც დადასტურებულია მრავალი ტაძრების დანიშნულებით და რუსული ეკლესიის პირველგანმანათლებლის წერილებსა და თვით რელიგიურ რეგლამენტში\*.

ეკლესიის დამსჯელობითი მოღვაწეობა, როგორც ნათქვამია, მიზნად ისახავს დამნაშავეის გამოსწორებას, რომლის მიმართულებაც ორ სხვადასხვა განშტოებას წარმოადგენს. სახელმწიფო პენიტენციარული სისტემა სულ უფრო და უფრო აქტუალურია როგორც მეცნიერებაში, ასევე იურისპრუდენციაში. მეორე მხრივ, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, საზოგადო მოღვაწეობა ეკლესიისა ასევე მიმართულია დაღუპულთა, დაცემულთა გადარჩენა-წამოყენებისაკენ.

რაც შეეხება განსხვავებას სახელმწიფო სასჯელსა და საეკლესიო სასჯელს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ორივე იყენებს პენიტენციარული საწყისებს, საკმარისია მოვიყვანოთ ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ასწორებს დამნაშავეს, მხედველობაში იღებს იმას, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ იგი საშიში აღარ იქნება საზოგადოებისთვის, ხოლო ეკლესიას მხედველობაში ჰყავს თვითონ დამნაშავეის პიროვნება და იბრძვის ამ პიროვნების სულის გადარჩენისათვის. როგორც ცნობილია, ეკლესიაში არსებობს გარკვეული წესრიგი და ამ წესრიგის დარღვევის დროს მიმდინარეობს ეკლესიის დამსჯელობითი ქმედება, რაც ითვალისწინებს დარღვეული წესრიგის აღდგენას. სახელმწიფოც სჩადის დამსჯელობით ქმედებებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ეკლესია ითვალისწინებს ინდივიდს, სახელმწიფო უგულბებელყოფს მას და სწირავს მის ინტერესებს. ეკლესიაში თითოეული პიროვნება არასდროს არ კარგავს თავის არსს. ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, თითოეული

\* შესაბამისი ფაქტები მინიშნებული იქნება რუსეთის საეკლესიო სასჯელთა ისტორიაში.

ადამიანი ძვირფასი უნდა იყოს ეკლესიისათვის. ზეცაში მაშინ არის დღესასწაული, როცა მიწაზე თუნდაც ერთი გულწრფელი მომნანიებულია. უფალს კი მისი მოქცევა და სიცოცხლე სურს. წმინდა წერილში ეკლესია არაერთხელაა შედარებული ერთ მთელთან, რომლის მეთაურიც ქრისტეა. ამ შედარებებს აქვს ძალიან ღრმა აზრი, იქნებ უფრო ღრმა, ვიდრე ისეთი შედარება, როგორცაა სახელმწიფო – ერთი მთლიანი. თუ ამ მთლიანის ერთი წევრი თავს არიდებს წესრიგის ნორმალურ მოქმედებას, დაწესებულს ამ ორგანიზმის მეთაურისაგან, მაშინ მთელი გულისხმევა ამ უკანასკნელისა უნდა იყოს მიმართული ცდომილის ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნებისაკენ, რაშიც ეკლესიას სასო არ უნდა წარეკეთოს თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც შულტე ამბობს, სანამ ადამიანი ცოცხალია, მისი თავისუფლება არასოდეს არ წყდება მთლიანად. ამდენად, არც ეკლესიას შეუძლია უარი თქვას ადამიანის ჭეშმარიტი სულის გადარჩენისათვის რაიმე საშუალების გამოყენებაზე.

ასეთია ეკლესიისა და სახელმწიფოს მხრიდან დამსჯელობითი ქმედება, რომელთა საფუძველს წარმოადგენს პენიტენციარული საწყისები. არ შეიძლება არ მივაღვენოთ თვალი იმ გარემოებას, რომ დამსჯელობითი საშუალებები, რომლებითაც სარგებლობს ეკლესია და სახელმწიფო, აშკარად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. სახელმწიფოში დამნაშავეისათვის სასჯელი სანქციონირებულია კანონით, ეკლესიაში კი ხდება მის მიერ გაცემული მაღლის ჩამორთმევა.

ამგვარად, ეკლესიის დამსჯელობითი საქმიანობა ითვალისწინებს ერთი მხრივ დანაშაულს, მეორე მხრივ კი ისეთ განმასხვავებელ ასპექტებს, როგორებიცაა განმანათლებლობა, ღვთისმსახურება და ა.შ.

საეკლესიო კანონები ორ ნაწილად იყოფა: დოგმატიკურ (სარწმუნოებრივი) და პრაქტიკული საეკლესიო ორგანიზაციისა და წესრიგის სფეროს მომცველ კანონებად. პირველი სახის კანონებში არანაირად არ შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილება, მეორე კი შეიძლება შეიცვალოს საჭიროებისდა მიხედვით.

დოგმატიკური კანონების განხილვისათვის აუცილებელია მოწვეულ იქნას კრება, რათა ერთი პირის მიერ გამოტანილი განაჩენი მცდარი არ იყოს. თუ საეკლესიო კრებამ კერძო აზრი არ შეისმინა, არ მოიწონა, იგი ან ცდომილებად იქნება აღიარებული ან კერძო აზრადვე დარჩება და საყოველთაო აღიარებას ვერ მოიპოვებს. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთი ეკლესიის ფარგლებში რჩება და სამართლებრივად არ ვრცელდება სხვა ავტოკეფალიურ ეკლესიებზე, თუ ეს უკანასკნელი არ შეუერთდება მიღებულ გადაწყვეტილებას.

კანონის დარღვევის შემთხვევაში, დამნაშავეს უფლებები ჩამოერთმევა გარკვეული თანამიმდევრობით. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მეტ უფლებებს კარგავს დამნაშავე და დიდ საეკლესიო სასჯელს იმსახურებს.

საეკლესიო სასამართლო საერო და სასულიერო პირებს ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა სიმძიმისა და ხარისხის სასჯელით სჯის. ამასთან, განსხვავებულია სასჯელის მოხდის ფორმაც: უმაღლესი სასჯელი, რომელიც სასულიერო პირს შეიძლება შეეფარდოს, სასულიერო წოდების ჩამორთმევაა, ხოლო ერისკაცისათვის კი – ეკლესიიდან განკვეთა.

სასულიერო პირები ეკლესიიდან მოიკვეთებიან და განაჩენის ფარგლებში აეყრებათ სასულიერო ხარისხი იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში იგივე ან მსგავსი დანაშაული განმეორებული იქნება.

ასეთი სამართლებრივი ნორმები განმარტებულია მოციქულთა 25-ე კანონში, რომლის თანახმად, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ არ სჯიან. იგივეს მიუთითებს ბასილი დიდი ამფილოქე იკონიელისადმი მიმართულ ეპისტოლეში.

ბასილი დიდის | განმარტებით, ერთი და იმავე დანაშაულისათვის სასულიერო და საერო პირებს არ შეიძლება მიესადაგოთ ერთნაირი სასჯელი. განკვეთილი ერისკაცი მონაწილის შემდეგ შეიძლება დაუბრუნდეს ეკლესიის წიაღს, ხოლო განკვეთილი სასულიერო პირი მონაწილის შემდეგაც აღარ

შეიძლება აღდგენილ იქნეს პირვანდელ ხარისხში.

თავისი არსით სასჯელი შურისგებაა ბოროტებისათვის, რომელიც დამნაშავემ ჩაიდინა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღსრულება დასჯის საშუალებით სამართლებრივი შურისგებაა.

მოციქულთა 25-ე კანონი მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ზოგიერთი უძძიმესი დანაშაულისათვის სასულიერო პირებიც განიკეთებიან ეკლესიიდან.

ყოველგვარ სასჯელში შეიძლება დაინახოთ იძულებითი ქმედება, მაგრამ იგი ემსახურება საკუთრივ დამნაშავეს მიერ ჩადენილი ბოროტების გამოსწორებას. უპირველესად კი - დამნაშავეს სწორ გზაზე დაყენებას, მის გამოფხიზლებას, რათა ხელახლა დაუბრუნდეს მას დაკარგული მადლი, - მადლი, რომელიც მხოლოდ ეკლესიასთან ზიარებით მოიპოვება. გარკვეული თვალსაზრისით, სასჯელის სხვა მიზანი, დამნაშავეს, როგორც ბოროტმზრახველისა, ამ მადლისაგან ჩამოშორებაცაა. ეკლესია იმდენად მკაცრია სასჯელის გამოტანის დროს, რამდენადაც სასჯელის (განაჩენის) სისრულეში მოყვანა სარგებლობას მოუტანს მას, მის ღირსებას.

ეკლესიაში, ისევე როგორც საზოგადოებაში, კანონიერების დაცვა ნიშნავს წინ აღუდგე ბოროტებას, რომელმაც შეიძლება სხვა მრავალი დააავადოს.

ეკლესიაში წესრიგის დარღვევამ შეიძლება მთელი ეკლესიის არსებობა საფრთხეში ჩააგდოს. ამიტომ მას მინიჭებული აქვს უფლება დაუმორჩილებელი და უგნური წევრების განკვეთისა, რათა დაიცვას და შეინარჩუნოს კეთილი და ერთგული შვილები.

სასჯელის შეფარდების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეკლესიის ღირსება, რათა სარწმუნოების სხვა მიმდევრებმა არ დაკარგონ მისდამი რიდი და შიდა საეკლესიო პრობლემები არ გამოიყენონ სხვათა საცდუნებლად. ამ მიზნით, საეკლესიო ხელისუფლებამ მათ მიმართ, ვინც შეურაცხყოფს ეკლესიის ღირსებას და საშუალებას აძლევს ცრუმორწმუნეთ, უპატივეცემულოდ მოეპყრონ მას, უნდა განახორციელოს უკიდურესად მკაცრი

ზომები.

საეკლესიო სამართალი ორი სახის სასჯელს იცნობს. სამაგიეროს, მიმზღველს ანუ დამსჯელს და გამოსასწორებელს ანუ განმკურნებელს. ასეთი დაყოფა მსოფლიო საეკლესიო კრებების პრაქტიკიდან მომდინარეობს. პირველი სახის სასჯელთა საფუძველი იურიდიული ნორმების დარღვევაა და იგი კანონიერების დაცვას ემსახურება. მეორე – გამოსასწორებელი სასჯელის შემთხვევაში სასჯელი წყდება მაშინ, როდესაც იგი თავის მიზანს მიაღწევს, ანუ, როდესაც დამნაშავე გამოსწორდება. პირველ შემთხვევაში სასჯელის ხანგრძლივობა განისაზღვრება ზუსტად, მსაჯულთა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე შემთხვევაში სასჯელის ხანგრძლივობა დამნაშავეს სინანულზეა დამოკიდებული.

საეკლესიო სასჯელები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სულიერი ხასიათისაა და არა ფიზიკური. რაც შეეხება ფეოდალური საქართველოს საეკლესიო სასჯელებს და მათი გამოყენების აუცილებლობას ეს განხილულია შემდეგ თავში.

|

სამართველოში

§1. ანათმბა ანუ მინანება (დაარუვა)

ფეოდალურ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმები საზოგადოების ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. ამიტომაც ქრისტიანული ეკლესია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მთელ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე და რა თქმა უნდა სამართალზეც.

საქართველოში კანონიკურ მწერლობას ექვთიმე მთაწმინდელმა მთარგმნელობითი მოღვაწეობით ჩაუყარა საფუძველი. დიდ ყურადღებას იპყრობს მის მიერ ბერძნულიდან გადმოქართულებული და გადამუშავებული იოანე მმარხველის "კანონი შეცოდებულთანი", რომელიც (საკმაოდ გამოკვეთილად) გადმოგვცემს საეკლესიო სასჯელებისა და დასჯის სისტემების თავისებურებებს.

როგორც იოანე მმარხველის "კანონი შეცოდებულთანი", ასევე ე. წ. მსოფლიო მე-ნ საეკლესიო კრების კანონები, ქართულ ეკლესიას მიაჩნდა მოქმედ კანონიკურ სამართლებრივ ძეგლად და ამიტომ ისინი შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სასჯელების დასადგენად.

ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სამართლის ნორმების განახლება-ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ძველი წარმართული წეს-ჩვეულებები, რომლებიც ქრისტიანული ცხოვრების პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, უარყოფილ იქნა. "ახალი აღთქმის" წიგნები თანდათან ქართული სამართლის თეორიული საფუძვლის მნიშვნელობას იძენდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეკლესია თავისი სასჯელების სიმძიმეს დანაშაულის სიმძიმეს უკავშირებდა და ეკლესიიდან სრული განკვეთა მხოლოდ ძალიან მძიმე დანაშაულისათვის თუ ხდებოდა.

ასეთი მძიმე დანაშაული იყო ეკლესიის ღირსების საჯაროდ შეურაცხყოფა, მისი ქრისტიანული სახლის შებილწვა. მაგალითად, მწველებლობა,

განდგომილება, ღვთის გმობა, სისხლის აღრევა, მრუშობა, მკრეხელობა და სხვა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მარტო საიქიოს კი არა, სააქაო სასჯელების აუცილებლობაც აღიარა. სიმპტომატურია სასჯელების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინების სიმრავლე ქართულ სინამდვილეში. ასეთებია: სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა, სატანჯველი.

ეკლესიამ სასჯელის მოხდის საშუალებად საჯაროდ აღიარა ოთხი სხვადასხვა საფეხურისაგან შემდგარი მონანიება.

1) შეტირილი არის სინანულის უმძიმესი საფეხური, რომლის დროსაც მონანულნი არ შედიოდნენ ეკლესიის შენობაში, იდგნენ წინკარში ან ეზოში და ცრემლით ემუდარებოდნენ ეკლესიაში შემსვლელთ ელოცათ მათთვის.

2) მსმენელობა – მსმენელთ უფლება ჰქონდათ ღვთისმსახურების დროს შესულიყვნენ ეკლესიის წინა ნაწილში, სადაც იდგნენ კათაკმეველნი და მათთან ერთად მოესმინათ საღვთო წერილის კითხვა და ქადაგება. მსმენელნი ეკლესიიდან უნდა გამოსულიყვნენ კათაკმეველებთან ერთად.

3) შეერდობა – შეერდომილნი მუხლმოყრილნი იდგნენ მორწმუნეებთან ერთად ამბიონის დასავლეთ ნაწილში. მსმენელთა ეკლესიიდან გასვლისთანავე ისინი დაემხოვოდნენ მიწაზე; ეპისკოპოსი ლოცულობდა მათთვის და შემდეგ ისინი გადიოდნენ ეკლესიიდან.

4) თანამდგომარე – ყოფა ერისა. ამ საფეხურზე მონანულნი იდგნენ და ლოცულობდნენ მორწმუნეებთან ერთად მთელი ლიტურგიის განმავლობაში (ამბიონის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს), მათ არ ჰქონდათ ექპარისტის მიღებისა და მსხვერპლთშეწირვის უფლება.

თითოეულ საფეხურზე მონანულის ყოფნის ვადა ჩადენილი ცოდვის სიმძიმის შესაბამისი იყო. აქედან მონანიების მთელი დროც არ იყო ერთი და იგივე (რწმენის უარყოფა – 12 წელი, კერპისათვის მსხვერპლთშეწირვა – 6 წელი, წარმართულ დღესასწაულებში მონაწილეობა – 2 წელი, განზრახ

კაცისკვლისათვის შეერდომა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და სხვ.).  
საეკლესიო ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა შეემცილებინა სინანულის  
დრო იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გულწრფელი იყო მონანულის წუხილი.

IV ს. შემდეგ საჯარო მონანიება აღმოსავლეთში გაუქმდა. საჯარო  
მონანიება როგორც საეკლესიო სასჯელი, ეკლესიასთან მორწმუნეთა შერიგების  
საშუალება იყო. მონანიების შედეგად ცოდვილი კვლავ ხდებოდა ეკლესიის  
წევრი. კანონები ხანგრძლივი საჯარო მონანიების შესახებ შეიცვალა  
შეცოდებულთა კრებულების ეპიტემიური კანონებით, რომლებიც ცნობილია  
იოანე მმარხველის კანონების სახელით. ეპიტემიური კანონებით დადგინდა  
მოკლევადიანი სინანული (10 წლის ნაცვლად 1 წელი) გაძლიერებული  
ლოცვებით, მარხვით, წყალობებით და სხვ. მონანულთა დაგება შეეძლო  
მხოლოდ ეპისკოპოსს.

შუა საუკუნეების საბერძნეთსა და სხვა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ  
ქვეყნებში დიდი ნომოკანონის გვერდით, რომელიც საეკლესიო წყობილებისა და  
ღისციპლინის ფუძემდებელი ძეგლი იყო, მოქმედებდა ე.წ. მონანიების სჯულის  
კანონი. ეს უკანასკნელი ითარგმნებოდა ქართულ, სლავურ და სხვა ენებზე.

ივ. ჯავახიშვილი იმასთან დაკავშირებით, რომ უზიარებლობით დასჯის  
გამჭრელობა და სიმკაცრე ნათელი შეიქნეს, მიუთითებდა შუა საუკუნეების  
ქრისტიანი ადამიანისათვის ზიარების მნიშვნელობაზე. ზიარება აღმოსავლეთის  
მართლმადიდებლურ ეკლესიაში, განსაკუთრებით კი ბიზანტიაში, სარწმუნოების  
იმდენად აუცილებელ კუთვნილებად მიიჩნდათ, რომ თეოდორე კენტერბერიელის  
შეცოდებულთა კანონის ცნობით, თურმე ბერძნები, მღვდელმსახურნიც და  
ერისკაცნიც, ეზიარებოდნენ. ვინც სამი კვირის განმავლობაში არ ეზიარებოდა,  
კანონის თანახმად, ეკლესიიდან უნდა განდევნილიყო.

დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიაში ხშირი ზიარება არ იყო თურმე  
სავალდებულო. ამიტომაც უზიარებლობა, როგორც დასჯითი ღონისძიება,  
რომის კათოლიკურ ეკლესიაში არ შეიძლებოდა ისეთივე დიდმნიშვნელოვანი

ყოფილიყო, როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რომ ამის გამო, უზიარებლობა დასავლეთ ევროპაში ისეთ გამჭრელ და მომარჯვებულ სასჯელად ვერ გამოდგებოდა, როგორც ეს საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ეკლესიაში იყო გამოსაყენებელი. იქ სხვაგვარი საშუალება იყო ნახმარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიისაგან სრული განკვეთა, ანათემა, შუა საუკუნეებში, როგორც უმაღლესი საეკლესიო სასჯელი, მეტად მძიმე იყო იმ მხრივაც, რომ იგი თავისი შედეგებით პოლიტიკურ სიკვდილს უდრიდა და ყველა ისინი, ვისაც ეკლესია ანათემას გამოუცხადებდა, განსაკუთრებით კი მწვალებლები, სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. ახალ დროში კი, რა თქმა უნდა, ანათემა არ უკავშირდება არავითარ საერო და პოლიტიკურ სიკვდილს.

როგორც ჩანს აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ და დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიას შორის სასჯელთა დაწესების საკითხებში აზრთა საგრძნობი სხვადასხვაობა იყო. მაგალითად, ანათემა, ანუ შეჩვენება (დაკრულვა) შუა საუკუნეებში, როგორც უმაღლესი საეკლესიო სასჯელი, მეტად მძიმე იყო იმ მხრივაც, რომ იგი თავისი შედეგებით პოლიტიკურ სიკვდილს უდრიდა. ის, ვისაც ეკლესია ანათემას გამოუცხადებდა, განსაკუთრებით კი მწვალებლები, სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ.

ანათემის ორი სახეობა არსებობდა მცირე და დიდი:

1. მცირე – ეს იყო ზიარების დროებითი აკრძალვა.
2. დიდი – ეს არის საეკლესიო სასამართლოს ან საეკლესიო კრების (წმინდა სინოდის) გადაწყვეტილებით ზიარებისა და საეკლესიო მადლის ჩამორთმევა დამნაშავეთათვის. ეს მძიმე სასჯელი ედებათ ცოდვილთ (განდგომილთ, მწვალებლებს და ა.შ.)

დიდი ანათემა ანუ შეჩვენება მიჩნეულია, როგორც ეკლესიის წევრის იძულებითი სასჯელი და უტოლდება სულიერ სიკვდილს, ვინაიდან ის ვინც განიკვეთება ეკლესიიდან კარგავს ღვთიურ მადლს და სულიერად კვდება.

ამიტომაც ანათემას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. ანათემა განეკუთვნება საეკლესიო სასჯელებს მას ოფიციალური ხასიათი ჰქონდა და ცხადდებოდა საჯაროდ. ეს გარკვეულწილად იმითაც იყო გამოწვეული, რომ ცოდვილს შეეგნო ჩადენილი დანაშაული და მოენანიებინა. ცოდვილის განკვეთის შესახებ ცნობა ვრცელდებოდა არა მარტო იმ ტაძარში, სადაც ის განიკეთებოდა, არამედ ყველა ეკლესიაში იმ მიზნით, მორწმუნენი საფრთხისაგან დაეცვათ.

ამ სასჯელით შეიძლება დასჯილიყო ყველა ქრისტიანი განურჩევლად იერარქიისა და კლასობრივი მდგომარეობისა, გარდა „უასაკოთა და გონებრივად უძლურათა“ (შეურაცხადი ან მცირეწლოვანი).

ანათემა თუ არ მოიხსნებოდა, სიკვდილის შემდეგაც გრძელდება მისი მოქმედება. მაგალითად, გარდაცვლილ შიშვენებულისათვის არ შეიძლებოდა სამგლოვიარო ღვთისმსახურება, მოხსენიება და სხვა მიმტყვებლობითი ქრისტიანული ღვთისმსახურება. აქედან გამომდინარე, ანათემას, როგორც მძიმე სასჯელს, უკიდურეს შემთხვევაში უფარდებდნენ. თუმცა არსებობდა ისეთი პერიოდებიც, როდესაც ანათემა ადვილად ცხადდებოდა.

ცოდვილს ან მის მემკვიდრეს ანათემა შეიძლება მოხსნილიყო სასჯელის დაშწინებელი საეკლესიო ორგანოს მიერ ან და მასზე იერარქიულად ზემდგომი ორგანოს თანხმობით. ამავე დროს ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევდა ანათემის გამოცხადებისა და მისი მოხსნის დროსაც, რათა არ შექმნილიყო ეკლესიის საქმიანობისა და ღვთის ნებისადმი დაპირისპირების პრეცედენტი.

შერვენება მკაცრი საეკლესიო სასჯელი იყო, ეს სიტყვა ჩანს ძველი და ახალი აღქმის უძველეს თარგმანებში (25,5 რიცხვი)

საშა ორბელიანი თავის „ლექსიკონ ქართულში“ მას განმარტავდა, როგორც „შჯულიერად აღმაკვრას, გინა წარწყმედას, გინა განგებას“.

ზოგადი გაგებით შერვენება ავად მოპყრობა და ბოროტის ყოფაა.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით „შერვენება“ მართებულად არის დაკავშირებული წყვლასა და დაწყევლასთან.

ძველი ქართული ენის ერთ-ერთ ორიგინალში ვკითხულობთ: „კრულობითა და შჩუენებითა განიკანონოს“.

შჩუენებაში „შე“ უნდა იყოს წინსართი (ართრონი)

საშა ორბელიანს აღნიშნული აქვს „შე ართრონი არს ყოველთა ქმნილთა წინა კერძო თავი, რამეთუ რაიმცა ქმნად გვენებოს, ვიტყვით ესერე: შევიწყალებ, შევიწყნარებ, (+შევიყვარებA), შევრისხავ, შევბოროკილავ, შევიქმ და ეგვეითრნი, გინა სხვით ვეტყვით ქმნად: შეიწყალე, შეიწირე, შეიძღვეენ, შექენ, შეკარ, შეართე და ეგვეითნი. უკვე შეგვიძლია გავიხსენოთ რისხვიდან წარმოებული შეირისხვა, ტირილიდან წარმოები შეტირილი, რომელიც დავიწყებულია ქართულ კილო თქმათა სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონაში (984გვ.628) შესაძლებელია, რომ „შე“ ამ შემთხვევაში მიუთითებს მიმართულებას ქვევიდან ზევით. საშა ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით სიტყვის ასეთ განმარტებას „ქვევიდან ზე ააგდო რამე, გინა კაცსა სულზედ ვიცივიდ მიანდო: ამდენად „შე-იჩუენება“ შეიძლება ფილასა და წვევას უკავშირდებოდეს, ცაში ღმერთის დამოწმებას გულისხმობდეს.“

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეხუთე ტომში გამოქვეყნებული დოკუმენტის №386-ის მიხედვით დავით აფხაზს ედაუებიან, რომ სოროზნიშვილები შენ მონასტერს შესწირეო და ახლა კი არათეო. „დავით აფხაზი უარს ამბობდა და ხელის აღმყრობილი შჩუენებით და იტყოდა, არ შემინირავსო.“

ილია აბულაძის ლექსიკონის მიხედვით „ჩუენება“ ნიშნავდა „გამოცხადებას“, „სწავლებას“, მოჩუენებას, ხილვას და ა.შ.

„სწავლება“, „სწავლა“ ნიშნავდა ცემას, გვემას, დასჯას, ცემის მეშუეობით ჭკუის სწავლებას მოწაფეებისათვის, ლუკას სახარების ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ვასწავლო იგი და განუტეო“(ლ.23,16).

საშა ორბელიანი „ჩუენებას“ განმარტავს, როგორც „განკვირვებითხილვას“. სავარაუდოა, რომ შეიჩვენება, ნიშნავდა მძიმე საეკლესიო, განკვირვებით სახეცვლის, თითოთ საჩვენებელს.

გურულმა დიალექტმა შემოგვინახა შერჩევების მნიშვნელობა, როგორცაა დაწყველისა და ხატზე გადაცემისა. (აღ. ლლონტი). იგი შერჩევებაში ღვთაებრივ სასჯელს გულისხმობდა. ძველ ქართულ წყაროებში მრავლად მოგვეპოვება მასალები შერჩევებასა და დაკრულვაზე.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს შერჩევების წიგნი მაქსიმე კათალიკოზისა კაცია ჩაჩუას მიმართ, რომელიც დათარიღებულია 1776 წ. 28 დეკემბერით<sup>17</sup>.

გვიან საშუალო საუკუნეებში განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დასავლეთ საქართველო. ამ დროს დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა ერთიანი პოლიტიკური ნება. საქართველო დაყოფილი იყო სამეფო სამთავროებად. არ არსებობდა ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფო. გავიხსენოთ თუ რა ხდებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში.

1752 წელს იმერეთში გამეფდა 17 წლის სოლომონი. ნიჭიერი და ენერგიული მეფე რომელიც შეძლებისამებრ შეუდგა ტყვეების თურქეთში გაყიდვასთან ბრძოლას. ეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტისოციალური მოვლენა იმერეთში დიდი ხნის გავრცელებული იყო. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ მართებულად არის აღნიშნული, რომ „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის წინაარმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა, რადგანაც „ტყვეთა სყიდვა“ დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ერთი ნაწილის შემოსავლის წყაროც იყო, მის წინააღმდეგ ბრძოლამ მეფეს რეაქციული ბანაკი აუმხედრა, გლეხები კი მეფის მხარეზე აღმოჩნდნენ“.<sup>18</sup>

<sup>17</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. III თბილისი 1970 გვ 909.

<sup>18</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, „საქართველო მე-16 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე“. ტბილისი, 1973 წ., გვ 637.

ჩვეულებრივ ეკლესიას მეფის მხარე ეკავა, მაგრამ ხრესილის ომის შემდეგ ბესარიონ კათალიკოზიც კი მეფის მომხრეთა შორის არ აღმოჩნდა. სოლომონ პირველმა 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში მოიწვია საქართველოს საეკლესიო კრება. ხსენებული კრების დადგენილებებიდან ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ კრებამ დაამტკიცა „აფხაზ-იმერთა“ კათალიკოსის უფლებები მის კუთვნილ ყმა-მამულზე და ფეოდალებს უბრძანა, რომ მათ ყველაფერი გაეკეთებინათ ამ უფლებების განსახორციელებლად.

1759 წლის საეკლესიო კრების 5 დეკემბრის სხდომას აფხაზეთის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. „ამ სხდომაზე იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს. საეკლესიო კრებამ ტყვის მყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვილით დასჯით დაემუქრა. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „..... ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა.....ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნებაო. ახლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენსგან არ იქნების, არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტო, კიდევ ერთმანეთ მივუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილ და ბრძანებების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზედ ჩენი თავი არ დავიშუროთ“.<sup>19</sup>

1760 წელს სოლომონ პირველი ატყობინებს ახალციხის ფაშას, რომ ოსმალეთში ქართველი ტყვეების გაყიდვის პრაქტიკას წინააღმდეგობას გაუწევს.

1767 წლის ხელშეკრულებით იმერეთის სამეფოს თურქეთისათვის „ერთგულების ნიშნად“ ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა სამოცი ქალი, მაგრამ სავალდებულო არ იყო, რომ ეს ქალები ქართველები ყოფილიყვნენ. მაგრამ სოლომონ პირველმა ეს პირობაც არ შეასრულა. 1769 წელს ახალციხის ფაშამ

<sup>19</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, „საქართველო მე-16 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე“, ტბილისი, 1973 წ., გვ. 640-641

სოლომონ მეფის მოღალატე ბესარიონ კათალიკოსი დააპატიმრა, საიდანაც იგი გაიქცა და სამეგრელოს „კათალიკოსი“ გახდა. მოღალატე ბესარიონ კათალიკოსის ნაცვლად მეფემ კათალიკოსად საკუთარი ძმა – იოსები დანიშნა.

1776-1777 წლებში სოლომონ მეფის ავტორიტეტი გაიზარდა და წარმატებები კი უფრო განმტკიცდა. მაქსიმე კათალიკოსმა გურია და სამეგრელო მოიარა და საეკლესიო-სასჯულო საქმეები მოაწესრიგდა<sup>20</sup>... მაგრამ ძნელი იყო ბრძოლა თურქეთისა და მისი აგენტების წინააღმდეგ მაშინდელ დასავლეთ საქართველოში, ვინაიდან როგორც ურუშუკ-კაინარჯის ზავით, ასევე 1792 წლის 9 იანვარს დადებული ზავით რუსეთსა და თურქეთს შორის თურქეთის უპირატესი ზეგავლენა და უფლებები დასავლეთ საქართველოზე საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული.

მაქსიმე მეორე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1776-1795 წლებში ძალის დაუზოგავად ებრძოდა ქართველი ტყვეებით ვაჭრობას თურქეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბრძოლა ტყვეებით მოვაჭრე ქართველი თავად-აზნაურების წინააღმდეგ. შემორჩენილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მან ზოგიერთ დამნაშავე თავადიშვილს უკანვე გამოასყიდინა ოსმალებისათვის ტყვედ მიყიდული ქართველი.

როგორც აღენიშნეთ, შეჩვენება მხოლოდ საეკლესიო სფეროთი შემოფარგლური სასჯელი იყო და შეჩვენებულს თავის სასჯელს სახელმწიფო ხელისუფლებაც ადებდა. კათალიკოზთა სამართლის I მუხლის ბოლოს სწორედ ამგვარ სასჯელს ეხედებით. თუ ვინმეს, გამოკითხვისა და გამოძიების შედეგად დაუმტკიცდება კაცის გაყიდვა, მაგრამ თუ იგი გაყიდულს დაიხსნის, მაშინ მან „მისსა საყდარსა და ეპისკოპოზს დაუურვის“ სისხლი-ო ამბობს კანონი, ამასთან ერთად, როგორც შეეძლება-დაზარალებულის პატრონსაცაო, ხოლო თუ ოგი

<sup>20</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. „საქართველო მე-16 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე“, ტბილისი, 1973 წ. გვ. 664.

ვერ შეძლებდა ტყვის დახსნას, მაშინ სახელმწიფო ხელისუფლება მას მკაცრად, სიკვდილით დასჯიდა, რაც ჩამოხრჩობით განისაზღვრებოდა.

მაქსიმე მეორე (აბაშიძე) ერთ დროს იყო ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრის ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით, იყო სოლომონ პირველის ელჩი რუსეთის სამეფო კარზეც. მისი მოღვაწეობა სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოთ არის შეფასებული<sup>21</sup>. სწორედ მაქსიმე კათალიკოსმა შეაჩვენა კაცია ჩინუა.

შეჩვენებას საშა ორბელიანი ასე განმარტავს „ესე არს შჯუღიერად აღმოფხურა, გინა წარწყმენდა, გინა განძება“. განმარტების წყაროდ მითითებულია 25.5 რიცხვი, სადაც ნათქვამია: “და პრქუა მოსე ნათესავთა ისრაჲდრისათა: მოკადინ კაცად-კაცადმან სახლეული თვისი, რომელ შეჩუენებულ არს შეელფეგორისა“. ციტატა მოტანილია მცხეთური ხელნაწერიდან, რომელიც რედაქტირებულია თვით სულხან-საბა ორბელიანის მიერ<sup>22</sup>.

დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (თბ.1984) შეჩვენება განმარტებულია როგორც წყევა, დაკრულვა, ვისზედმე ავის მოწევა, ენების მიყენება. დაახლოვებით იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა შერისხვა, რომელიც რისხვაიდან არის წარმომდგარი. რისხვას დ. ჩუბინაშვილი განმარტავს, როგორც წვრომას უაღრესთაგან, “გარნა სწორთათვის ითქმის ლალვა და უდარესთათვის: დარტვინვა.” “ღმრთისა და პატრონის რისხვაზეა” საუბარი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 238-ე მუხლზე. ცრუ ფიცისათვის ადამინს მოელოდა ღმერთისა და მეფის რისხვა. ვახტანგ VI განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნების კრებულში მოთავესებული

<sup>21</sup> ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს მე-17-მე-18 საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიისათვის. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954 წ., ნაკ. 36.  
ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადობი)“, ტ. I, თბილისი, 1973 წ.

<sup>22</sup> დ. ლომინაძე, „მაქსიმე მეორე“, ქსე, ტომი VI, გვ. 500.

<sup>23</sup> იხ. მცხეთური ხელნაწერი, „მეცნიერება“ 1981, ელ. ღონანაშვილის რედაქციით

ბერძნული სამართლის მიხედვით “შერვენება” შეიძლება “ცოტა ხნით” (79-ე მუხლი) ეპისკოპოსის მხრივ, მაგარამ შერვენებულს ემუქრებოდა ცხვირის მოჭრა და “ყოვლის ფერის საქონლის” მესამედის დაკარგვა. იმავე ბერძნული სამართლის 36-ე და 37-ე მუხლების მიხედვით ავაზაკს მოელოდა ეკლესიისაგან განშორება-შერვენება და მეფეთაგან ექსორია. მხითარ გომის სამართლის წიგნის მიხედვით, რომელიც ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნების კრებულშია შესული (378-ე მუხლი) ეპისკოპოსი თუ მღვდელი, რომელიც ქიშპობით სხვა საყდარს ააშენებდა და უწინ აშენებულს დააშენებდა, მას შეაჩვენებდნენ “სასიცოცხლო და სიკვდილით” და სასულიერო თანამდებობიდან “გარდააყენებდნენ”... იმავე სომხური სამართლის მიხედვით (354-ე მუხლი) თუ შერვენებული კაცი გარდაიცვლება, მღვდელს მისი დამარხვა ეკრძალებოდა.

„და შერვენებული თუ მოკუდეს, არ უბრძანებს დამარხვასა, რომელთაგანაც შერვენებულია, მის უბრძანებლად.“ “რომელმაც შერვენებული ან მონათლოს...და ან მკუდარი გამარხოს, წილი და კერძი იუღისა აიღოს”. შერვენებულს შეეძლო ცოდვა-დანაშაულის მონანიება და შემწვენებლისაგან შენდობის გამოთხოვნა. შერვენება შერვენებულის სახლის (ოჯახის) წევრებს არ ეხებოდა.<sup>23</sup>

კათალიკოსთა სამართლის I მუხლი შეეხება „კაცთა სყიდვას“, ანუ ტყვეებით ვაჭრობას.

ენახოთ, რას წერს იმდროინდელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ტყვეთა სყიდვის შესახებ: „... არიან აქ (სამეგრელოში), რომელნიც იპარავენ კაცებს და ყმაწვილებს და ჰყიდიან ჩუმად თურქეთში. გურიელის სამთავროში, ზღვის პირად სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობდნენ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან – რიზე, გონიო და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი თურქი ვაჭარი. მათ მოაქვთ

<sup>23</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963 წ

ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვებათ აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომ აქ მოყავთ თურქებზე ტყვედ გასაყიდად ქართლელებიც, კახელებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებულნი ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს. შებოჭვენ ვისაც კი შიგ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ. ზოგჯერ კი მოტყუებით მოიბირებენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებენ და შესაფერ დროს ქობულეთში წაიყვანენ თურქებზე გასაყიდად. თურქები რასაკვირველია, ფასს აძლევენ და მაშინვე გადაიყვანენ თავის ქვეყანაში, რომელიც ძალიან ახლოა”<sup>24</sup>.

კათალიკოსთა სამართლის მიხედვით, ამგვარი დანაშაულისათვის მკაცრი სასჯელი არის დაწესებული. კაცის სყიდვისათვის კანონმდებლობა დამნაშავეს პირველ რიგში შეუფარდებს: „წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განკვეთილი“-ო.

„წყევლა-კრულვა და შეჩუენება სასჯელებს შორის ყველაზე მძიმე ზომა იყო. ვისაც ეს სასჯელი თავს დაატყდებოდა, მას ზიარების, ქორწინებისა და გვირგვინის კურთხევის უფლება არა ჰქონდა, ხოლო თუ გარდაიცვლებოდა, ქრისტიანული წესით წესის აგება და მისი დასაფლავება არ შეიძლებოდა (არც საერო სასაფლაოზე არ ასაფლავებდნენ), მაგრამ ეს შეჩუენება მხოლოდ საეკლესიო სფეროთი იყო შემოფარგლული. მაშინდელი წესით, შეჩუენებულზე თავისი სასჯელი სახელმწიფო ხელისუფლებასაც უნდა დაედო და დაკრულვილი აუცილებელად შერისხულ უნდა ყოფილიყო. შერისხვა კი იმას ნიშნავდა, რომ იმ პირს მამული ჩამოერთმეოდა და ლაშქართა შიგა ყოფნის უფლება ადარ ჰქონდა; ასეთი გამაწბილებელი სასჯელი ადამიანის სამოქალაქო სიკვდილსაც

<sup>24</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, შორეუ გამოცემა, თბილისი, 1938 წ. გვ 69

უღრიდა და ცხადია, რომ ამაზე მძიმე სასჯელის გამოძებნა ეკლესიის მესვეურთ არ შეეძლოთ.”

და აი, ოსმალთა ვაჭართან საჭირო საქონელი რომ შეეძინათ, დასავლეთ საქართველოს ფეოდალები ჯერ კანტიკუნტად და ფარულად, შემდეგ აშკარად და მასობრივად უცხოელ ვაჭრებზე ჰყიდდნენ თავიანთ საკუთარსა თუ მეზობელი ფეოდალების ყმებს.

1263 წლის საეკლესიო კრების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ვინცა ვინ დაკრულილა, რაითაც მიზეზითა და საქმითა სახელმწიფო ხელისუფლებისაგანაც „შერისხულა“, მამული დასჭირვია და ლაშქართა შინა არ შეშუებულა“. ეს სასჯელი მეტად მძიმე იყო და თუ საბოლოო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ გადატაკებას და სამოქალაქო სიკვდილს უქადდა.

შეჩვენებასთან ერთად, კანონმდებელი დამნაშავეს მიუსჯის „განდილიყოსო“<sup>25</sup>.

ეს სასჯელი იმ სახელით ქართულ კანონმდებლობაში არსად გვხვდება.

„დიდი სჯულისკანონის“ 1975 წლის გამოცემას თან ერთვის ლექსიკონი, რომელიც შედგენილია გ. ნინუას მიერ. შეჩვენება (ანათემა) აქ განმარტებულია როგორც ეკლესიისაგან სრული ჩამოშორება: „შეჩვენება მდგომარეობს იმაში, რომ ეკლესიის წევრი მძიმე დანაშაულისათვის მთლიანად კარგავს ეკლესიასთან ერთობას: მორწმუნებთან საერთო ღოცვასა, ყოველგვარ საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობასა, საიდუმლოთა ზიარებისა და მართლმორწმუნეთა სასაფლაოზე დაკრძალვის უფლებას. შეჩვენებულ პირთან არც ერთ მორწმუნეს არ ჰქონდა რელიგიური ერთობა, ხოლო სასულიერო პირს მასთან კერძო ურთიერთობაც ეკრძალებოდა.

შეჩვენებით ისჯება ის, ვინც მიიღებს ან გაცემს საეკლესიო შესაწირავს ეპისკოპოსის გარეშე; „უკუეთუ ვინმე ქალწულებდეს ანუ კრძალულობდეს რეცა საძაგელად ჩენითა ქორწილისამთა“. „ უკუეთუ ვინმე უფლისა მიერ

მმართველთაგანი ქალწულებისადამა ზყოცდეს ქორწინებულთაგანისა ვისმე ზუდა“; ვინც შეურაცხყოფს ალაარს „მოქმედს“ და არ მიიღებს მოპატიებებსა ზიზლით ან ქედმაღლობით, მორწმუნებითი ღვთისმსახურებისათვის კვირა ღღეს მმართველი; ქორწინების დამგმობი და სხვა.“<sup>26</sup>

„ღიდ სჯულისკანონში“ მრავალი დანაშაულისათვის არის გათვალისწინებული შერევენება.<sup>27</sup>

„უკუეთუ ვინმე ქორწილსა სზაგებდეს და თანამცხოვრებელსა ქმრისასა მორწმუნესა და ღმრთის მოშისსა დედაკაცსა ჰგმობდეს, ანუ აბრალებდეს, ვითარცა სასუფეველად შესვლისა ვერ შემძლებელსა, შერევენებულ იყავნ“ (1)

„უკუეთუ ვინმე მონასა მიზეზითა ღმრთისმსახურებისადამა ასწავოს შეურაცყოფად უფლისა თვისისად და განშორებამ მსახურებისაგან და არა ერთგულებით და ყოვლითა პატივითა მსახურებამ თვისისა, შერევენებულ იყავნ“.

(3)

„უკუეთუ ვინმე შეურაცხ-ყოს ქორწინებული მღვდელი, ვითარცა არა ჯენ-იყო ზიარებამ მის მიერ შეწირულისა სიწმიდისაგან, შერევენებულ იყავნ“ (4)

„უკუეთუ ვინმე ასწავის სახლისა ღმრთისა და მას შინა ქმნილისა კრებისა ადვილად შეურაცხას\_საყოფელობამ, შერევენებულ იყავნ“ (5)

„უკუეთუ ვინმე თვნიერ ეკლესიისა თვსაგან ეკლესიობდეს და უგულებელსყოფელსა ეკლესიისასა საეკლესიოთა საქმეთა მუნ ენებოს ქმნამ და არა ჰყვეს ზუცესი მეცნიერებითა და ბრძანებითა ეპისკოპოსისათა, შერევენებულ იყავნ“ (6)

„უკუეთუ ვინმე მისცეს, ანუ მიიღოს შესაწირავი საეკლესიომ თვნიერ ეპისკოპოსისა, ანუ მისსა, რომელ ქველის-საქმისა მსახურად განჩინებულ იყოს, მიმცემელიცა და მიმღებელიცა შერევენებულ იყავნ“ (8)

<sup>26</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1991 წ. განდღი-(101) ეზე არს განტება გარე ვინა მდინარეთა და ხვეთა გარელა ვინა პამსათა და სიტყვათა განსშქნა. ვინა სამოსელთა განძარცვა და ეხვეთარნი.

<sup>27</sup> „ღიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაძეშვილმ, ე. იგუნაშვილმა, მ. დლიძემ, გ. ნინუამ.

„შერევენება“, თბილისი, 1975 წ., გვ. 604

<sup>27</sup> იხ. იქვე გვ. 244-245

„დიდი სჯულისკანონში“ მოთავსებულია „კანონი დანგარას შეკრებულთა წმიდათა მამატანი“, სადაც მოთავსებულია ზემოთ აღნიშნული კანონები.<sup>28</sup>

„დიდი სჯულისკანონის“ შედგენის ეპოქაში სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე არ იდგა ისეთი კარდინალური საკითხი, როგორცაა ქრისტიანი ახალგაზრდობის ტყვეებად გაყიდვა უცხო ქვეყნებში, განსაკუთრებით მუსლიმანურ აღმოსავლეთში.

როგორც ისტორიკოსს ქ. ჩხარტიშვილს აქვს აღნიშნული, გამოთქმა „ტყვის სყიდვა“ რამოდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა ფეოდალურ საქართველოში. მაგალითად, თუ ყმა გლეხის კომლის წევრებს ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდიდნენ, ასეთ აქციას „ტყვედ გამოსყიდვას“ ეძახდნენ. „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ბატონი გლეხის კომლს შლიდა და მის წევრებს „ტყვეებად“ ჰყიდა.“ მაგრამ ამ შემთხვევაში ბატონს ეკრძალებოდა ყმის უცხოეთში გაყიდვა.<sup>29</sup>

ტყვის გაყიდვის უმძიმეს და მახინჯ ფორმას წარმოადგენდა მისი გაყიდვა საზღვარგარეთ. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ეს ხდებოდა თურქეთში, სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში ქართველ ქალ-ვაჟთა გაყიდვის სახით. ასეთი რამ ქართული ფეოდალური სამართლის ნორმების ხელყოფა იყო. რაც უფრო სუსტი იყო სახელმწიფო, რაც უფრო უძლური ცენტრალური სამეფო ძალაუფლება, მით უფრო მძლავრდებოდა ტყვეთა თურქეთსა და სხვა ქვეყნებში გაყიდვის პრაქტიკა. ირანსა და თურქეთში ტყვეების გაგზავნა ამ ქვეყნებისადმი საქართველოს სამეფო-სამთავროების მორჩილების აშკარა გამოხატულება იყო. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია და მისი პროგრესული მიმართულების მოღვაწეები ყოველთვის მხარში ედგნენ სახელმწიფოს და იბრძოდნენ იმ ქართველი დამნაშავე პირების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ფეოდალების წინააღმდეგ.

<sup>28</sup> იხ.იქვე გვ 244-245

<sup>29</sup> ქ. ჩხარტიშვილი, „ტყვის სყიდვა“ ქსე, ტ. X, 1986 წ., გვ 88, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973 წ

რომელთაც შემოსავლის წყაროდ და ჩვეულებრივ ყოფით მოვლენად აქციეს ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა გაყიდვა საზღვარგარეთ. ტყვეებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრები იყო სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, გონიო და ა.შ.

მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილა ბიჭვინთის ეკლესია. ჩვენამდე შემორჩენილია 1776 წლით დათარიღებული შერევნების წიგნი მაქსიმე კათალიკოზისა კაცია ჩიჩუას მიმართ დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტასა ეკლესიის კაცის შეილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა უსჯულოთა ოთომანიანთა მისცა წარსაწყმენდელად და შესაგინებლად და მიუხენა დედასა თვისსა ეკლესიასა ძენი ემბაზსა სანათლოსა აღმოშობილნი უწყალოებითა და უსამართლოებითა“...

კაცია ჩიჩუა, სევარაუდოა, რომ ფეოდალი იყო და წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ დიდი შეძლებით არ გამოირჩეოდა და ბიჭვინტის ეკლესიის „კაცის შეილების“ თურქებისათვის მიყიდვას დიდ დანაშაულად არ თვლიდა. „კაცის შეილებში“ გლეხები უნდა იგულისხმებოდნენ, ეკლესიას და სახელმწიფოს გლეხობა ხელიდან ეცლებოდა. ამიტომაც საჭირო იყო სასტიკი ბრძოლა ტყვეების სახით გლეხობის ოთომანთა იმპერიაში გაყიდვის წინააღმდეგ.

მაქსიმე კათალიკოზმა შეაჩვენა კაცია ჩიჩუა ბიჭვინტის ეკლესიის „კაცის შეილების“ გაყიდვისათვის ზ.ა. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„აწ ვინათაგან არა შეინიშნა დედისაგან ღმრთისა და არცა დედისაგან თვისსა წმიდისა ეკლესიისა და განეხება და განეხება ნებსით ორთავე საფარველსა, ამისათვის შეგაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განეხებამ ეკლესიისაგან და განეაყენებ ქრისტეანობისაგან.“

წყეულ იყავნ და შერევნებულ საკელითა ყოვლად წმიდისა სამებისათა.

კვალად წყეულ იყავნ და შერვენებულ სისხლითა ქრისტესით, რომელიცა უხუად დაითხია ქვეყანასა ზედა სახსრად ჩვენდა;

კვალად წყეულ იყავნ და შერვენებულ მარიამ ყოვლად უმწიკვლოსაგან დედისა და ახდელ მფარველობა და მეოხება მისი თხემისაგან მისისა,

კვალად წყეულ იყავნ და შერულ სულით და ჳორციით ათორმეტთა მოციქულთა მადლისაგან, ოთხთა წმიდათა პატრიარხთაგან და ჩვენგან და ყოველთა მღუდელთ-მთაეართაგან;

უმკვიდრო იყავნ საკელი მისი ცასა შორის და ქვეყანასა; განუსხნელ იყავნ ჳორცი მისი საძაგელი საფლავსა შინა და წარუმართებულ გზანი მისნი, მისთვის ცანი დახშული ილიას მიერ მაგრიად.

დანთქმული იყავნ ცოცხლივ უხუაიშნოსა და ნახეთქსა ჯოჯოხეთისასა; და წყეულ, კრულ და შერვენებულ და აღწოცილ სახელი მისი აქა და მუნ.

აწ რომელმაც ჩვენი შერვენება შეურაცხით და არ ეკრძალნეთ ვითა განცოფებულსა ძაღლსა, თქვენდაცა იყავნ წყევა ესე და შვილთა თქვენითა ზედა. ამინ.<sup>30</sup>

როგორც ვხედავთ შერვენებულს არა მარტო განკვეთდენ ეკლესიიდან, არა მარტო შეაჩვენებდნენ, არამედ მასთან, როგორც ცოფიან ძაღლთან ურთიერთობას უკრძალავდნენ მორწმუნეებს და თუ ვინმე ამ „შერვენებულთან“ ურთიერთობას გაბედავდა, ისიც შერვენებული იქნებოდა. წყევლა-კრულვა ვრცელდებოდა არა მარტო მასზე, არამედ მის შვილებზეც. სასჯელი ვრცელდებოდა, როგორც ვხედავთ, იმაზეც, ვინც მაქსიმე კათალიკოზის მიერ კაცია ჩიჩუასათვის გამოტანილ სასჯელს არ ცნობდა და შერვენებას არ აღიარებდა და არ მოერიდებოდა მასთან ურთიერთობას. შერვენებას დაშინების მიზანი ჳქონდა სხვებისათვისაც იმდენად, რამდენადაც ის შერვენებულთან ურთიერთობის დამამყარებლის შვილებსაც ეხებოდათ.

<sup>30</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. III, თბილისი, 1970 გვ 909

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით დანაშაულებრივი ქმედება ცოდვაა. დამნაშავე ჩადის რა ცოდვას, ამით ის ეწინააღმდეგება ღმერთის ნებას. ამის შემდეგ ღმერთთან შესარიგებლად რჩება ერთადერთი გზა – სასჯელი. ცოდვა არ შეიძლება დარჩეს გამოუსყიდველი, დანაშაული, როგორც ცოდვილი ქმედება, მოითხოვს დამნაშავეს (შემცოდებლის) დასჯას. მხოლოდ სასჯელის მოხდის შემდეგ შეიძლება დამნაშავე დაუბრუნდეს ეკლესიის წიაღს. სამართლებრივი წესრიგი უნდა ეთანხმებოდეს ღვთაებრივ წესრიგს. ეკლესიამ უნდა იზრუნოს ცოდვილის (დამნაშავეს) გამოსწორებისათვის. ზ.ა. დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავეს შეეძლო მოენანიებინა თავისი დანაშაული, უკანვე გამოეყიდა გაყიდული ტყვეები და დაებრუნებინა ისინი ბიჭვინტის ეკლესიისათვის. როგორც ჩანს, ამის იმედი არ ჰქონდა მაქსიმე კათალიკოსს და ამიტომაც დამნაშავე ჩიჩუას ის ადარებს ცოფიან ძაღლს. საეარაუდოა, რომ კათალიკოსის შერჩენებას გამოეხმაურებოდა სახელმწიფო და დამნაშავე სასტიკი სახელმწიფო სასჯელით დაისჯებოდა.

ჩვენთვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს მაქსიმე ქუთათელის მიერ შედგენილი შერჩენების წიგნი. მაქსიმე ქუთათელს 1770-1776 წლებში შეუდგენია შერჩენების წიგნის ნიმუში, რომელიც ჩვენამდეა შემორჩენილი.<sup>31</sup>

„შერჩენების წიგნი“ იწყება ასე:

„ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ქუთათელ მიტროპოლიტმან მაქსიმემ ჭ[ემშარიტითა] მსჯავრითა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისათა ეს წყვეისა და სა[უკუ]ნოსა რისხვისა და შერჩენებისა და სალ[მ]რ]თოსა შურისგების წიგნი აღვიწერეთ და მოგივლინეთ შენ, ჩვენის წმიდის ეკლესიის ურჩსა და წინააღმდეგსა სახელით... “ (აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი ცოდვილის სახელის ჩასაწერად).

<sup>31</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970 წელი, დოკუმენტი №362.10, გვ.912-913. პირველად იგი გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ “დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების” მეორე წიგნში

ამ დროისათვის (XVIII საუკუნის 70-იანი წლები გვაქვს მხედველობაში) როგორც ზემოთ ავლნიშნეთ საქართველოში საერთოდ და გამორჩევით კი დასავლეთ საქართველოში ქრისტიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების ტყვეებად გაყიდვა იყო გავრცელებული. ხდებოდა ამ ტყვეთა გამუსლიმანება. მაქსიმე ქუთათელი, ცხადია, ებრძოდა ამ მოვლენას და ეს იმდროინდელ პირობებში იყო ქრისტიანობის დაცვა, პატრიოტიზმიცა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაც. ჩვენ უკვე განვიხილეთ ტყვის გამყიდველის შერვენების წიგნი, რომელიც მაქსიმე კათალიკოსს ეკუთვნის.

ცხადია, შეიძლება, სხვაგვარი ცოდებისთვისაც შერვენებინათ კაცი, მაგრამ მცირეა ჩვენამდე მოღწეული მასალები ასეთი შერვენების გამოყენების შესახებ.

შეიძლება რომელიმე მართმადიდებლური აღმსარებლობისათვის მიუღებელი მოძღვრების ქადაგებისათვის შერვენება, ან ასეთივე ხასიათის წიგნის დაწერისათვის მისი ავტორის შერვენება სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მაგრამ ამის შესახებ მასალები არ შემოგვრჩენია.

შერვენებული ვერ მივიდოდა ეკლესიაში. მას ეკრძალებოდა აღსარება და ზიარების მიღება.

ზემოთ ნახსენებ შერვენების წიგნში შერვენების შესახებ ვკითხულობთ: „აწ დაგვიყენებინარ ქრისტეანეთა ერთა ძმობისა და მახლობელობისაგან ეკლესიად მოსელისაგან, აღსარებისა, ზიარებისა და ყოვლისა ქრისტეანობისა განწესებულობისაგან.“<sup>32</sup>

გიორგი ათონელს იოვანესი და ეფთვიმეს ცხოვრება უნდა აღწერა 1042-1044 წლებს შუა. „ცხოვრება“-ში ობიექტური სისწორით არის აღწერილი ათონის ქართველ მღვდელთა ცხოვრება. გადმოცემულია ის მწვავე ურთიერთობა, ბერძენ ბერებთან, რომ კჰონდათ ქართველებს. ბერძნებმა

<sup>32</sup> ქართული სამართლის ძეგლების ტომი, III 1970 წელს. გვ. 913.

ბევრჯერ სცადეს ქართველთა განდევნა ათონიდან, მაგრამ მაშინ ეს მათ ვერ შესძლეს. ამასთან დაკავშირებით გიორგი ათონელი წყევითა და შერქენებით ემუქრება “ცხოვრების” ბოლო ფურცელზე იმათ, ვინც “რამთაცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასისა სახარებითა-ანუ სიყვარულითა ბერძენითადათა ანუ კაცისა ვინმე შეპოვნებითა ანუ სხვა რათიმე ზაკუვითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა, გინა განსცე მიწამ მისა გინა გარე”.

ჩვენამდე მოღწეულია დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ დაეითისადმი. საბუთში<sup>33</sup> ვკითხულობთ: “ვინცა ვინ დაკრულეილა, რამ თაც მიზეზითა და საქმითა, თქვენ მიერცა შერისხულსა, მამული დასჭირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა”. ირკვევა, რომ ეკლესიის მიერ დაკრულვილ კაცს მეფეც შერისხავდა – მამულს ჩამოართმევდა და ლაშქარში არ შეუშვებდა, რაინდულ ღირსებასა და პატივს ჩამოართმევდა, რაც ზნეობრივი სიკვდილის ტოლფასი იყო.

მაგრამ ვითარება შეცვლილა: დაკრულვილი მიმართავდა სამეფო დარბაზს და ვეზირებს, დამნაშავეს – დაკრულვილს ბრძანებასა და კაცს უბოძებდნენ და როგორც ჩანს დამკრულველს თხოვდნენ: დამნა ავე გაამართლეთ, მას “ჯვარი დასწერეთ”.<sup>34</sup>

XV საუკუნის პირველ ნახევარში (1414-1426 წწ.) გერასიმე მანწყვერელი ერთგულების საბუთს უწერს მაქსიმე კათალიკოზს და ჰპირდება, რომ ლოცვისას არ მოიხსენიებს ანტიოქიის პატრიარქს და მისგან გამოგზავნილ კაცს არ შეიწყნარებს და კათალიკოზისაგან შერქენებულს თვითონაც შერქენებდა.

ჩვენამდე მოაღწია მანგლელ-თბილელ იოანეს ერთგულების წიგნმა კათალიკოს თევდორესადმი – საბუთი შედგენილი უნდა იყოს 1427-1435 წლების შუა.

<sup>33</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ III, 1970, გვ 161-164.

<sup>34</sup> ისიქვე გვ 163.

ქართლის კათალიკოსმა რაღაც ცოდვისათვის თუ დანაშაულისათვის ომფორი წაუღო მანგლელ-თბილელ იოანეს და „მერე კიდევ“ უბოძა.

მანგლელ-თბილელი ერთგულების წიგნში წერდა:

„და მე ესე საერთგულო წიგნი მოგაცხენე ვიყუნეთ დღეს და დღეისაგან წაღმა თქვენნი ერთგულნი და ერთგულად მლოცველი მოსამსახურენი, მტერთა ზედა მტერნი და მოყუარეთა მოყუარენი. ვისცა გაუწყრეთ და შეაჩვენეთ, ჩვენცა შევაჩვენოთ და უჯარო ვყენეთ და ვისცა თქვენ სწყალობდეთ, ჩვენცა მათნი მლოცველნი ვიყენეთ“.<sup>35</sup>

უჯვარობა და შერყენება აქ ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ქართულ დოკუმენტებში ხშირად იხსენიება „უჯვარობით დამტკიცება“. ვინც დოკუმენტში ჩამოყალიბებულ და დამტკიცებულ წესებს დაარღვევდა მას შერყენება ელოდა. ეს მუქარა გადმოიცემოდა გამოთქმით „უჯვარობით დამტკიცება“.

„უჯვარობით დამტკიცება“, როგორც ქართული ისტორიულ-იურიდიული საბუთებისათვის დამახასიათებელი ფორმულა – კლაუზულის შესახებ წერილი გამოქვეყნებული იქნა პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის მიერ 1997 წელს.<sup>36</sup>

ზემო აღნიშნული გამოთქმა ქართულ საბუთებში ჩანს XI-XVI საუკუნეებში.

მეფე გიორგი II-ის შეუვალობის განახლების სიგელში შიომღვიმისადმი, რომელიც შედგენილია 1072 წელს, ვკითხულობთ:

„და თქვენ, წმინდაო მეუფეო კათალიკოზო და ყოველნი მღვდელი-მოდღუარნი უჯარობით და წყევით დაუმტკიცეთ წერილი და სიგელი ესე“ აქაც შეუვალობის დამრღვევთათვის იგულისხმება შერყენებისა და წყველის საშიშროება.

<sup>35</sup>ქართული სამართლის ძეგლები, ტ III, 1970, ლკ. №25, გვ.184

<sup>36</sup>გ ნადარეიშვილი, „ფეოდალური ხანის ქართული ისტორიულ-იურიდიული საბუთების ორი კლაუზულის შესახებ“, იხ. „მნათობი“, №5, 1997 წ.

მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძში, საბუთის ბოლოს, უმაღლესი საეკლესიო პირებისადმი მიმართვაში ნათქვამია:

„უკეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუა სხვა უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქვენ, თქვენმიერთა კანონითა, უჯარობითა და წყევითა და შერეუნიტა დაამთკიცეთ, წმინდაო მეუფეო, ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელ-მოძღვარნო“.

„უჯვარობით დამტკიცება“ საეკლესიო-სასულიერო ქმედება, ის კათალიკოსთა მღვდელ-მოძღვართა კომპეტენციაში შედის და წყველა შერეუნიტო ემუქრება იმათ, ვინც ხელყოფს და დაარღვევს სიგელში თუ ანდერძში დადგენილს.

თამარ მეფის სიგელის ბოლოს ვკითხულობთ: „და თქვენ წმინდანო მღვდელმოძღვარნო, უჯვარობით დაუმტკიცეთ“- ო.

ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს განუახლა შეუვალობის სიგელი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვინც „დაწერილს“ დაარღვევდა, ის იქნებოდა კათალიკოსის „ჯვარით კრული“ „ცოცხალი და მკუდარი გაუსხნელად...“<sup>37</sup>

პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის აზრით XI-XVI საუკუნეების საქართველოში შერეუნიტო ემუქრებოდა იმათ ვინც დაარღვევდა გარიგებით დადგენილს, სიგელში თუ ანდერძში „უჯვარობით“ დამტკიცებულს თუ კი საბუთის ბოლოს გამოთქმა „უჯვარობით დამტკიცების“ შესახებ იხსენიებოდა.

დაახლოებით 1529 წელს ზოსიმე კუმურდოელი „ერთგულების წიგნს“ აძლევს საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს ბასილის- „ასრე და ამა წესითა: პატრონისა ათაბაგისა უზიანოსა საქმითა, თქუენნი და თქუენისა საყდრისა გაუყრელნი და ერთგულნი ვიყუნეთ საღმრთოთა და სჯულიერთა საქმითა“.

<sup>37</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III 1970 წელი, გვ 143-149, გვ 185-186

საბუთის ბოლოს ნათქვამია: “ვინც ეს გიტყუოს, თქვენგან უჯუანო იყოს და წმიდათა მოციქულთა და მამათა კანონსა ქუეშემც არს”.<sup>38</sup>

გამოთქმა „თქვენგან უჯარო იყოს” გულისხმობდა კათალიკოსის მხრივ ერთგულების წიგნის პირობის დამრღვევის, ამ შემთხვევაში ზოსიმე კუმურდოელის შეჩვენებას. შეჩვენებულს კი, როგორც ვიცით მოელოდა ქრისტიანული ეკლესიისაგან სრული ჩამოშორება. ის მორწმუნეებთან საერთო ღოცვაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ის ვერ დასაფლავდებოდა მართლმორწმუნეთა სასაფლაოზე. შეჩვენებული იქნებოდა ყველა ის, ვინც მას ხელს გაუმართავდა იმ შემთხვევაში, როდესაც საერო ხელისუფლება მხარს უჭერდა სასულიეროს, შეჩვენება მოელოდა მამულის დაჭირვა და „ლაშქართა შიგან არ შეშვებაც”.

„ქართული სამართლის ძეგლების” მესამე ტომში გამოქვეყნებულია 1804 წლის 20 სექტემბრით დათარიღებულ შეჩვენების წიგნი ნეკრესელისა და კრებულის მიერ დოკ.№513.

ხსენებულ შეჩვენების წიგნში ვკითხულობთ:<sup>39</sup>

„ქ. სომხებს ერთხელ და ერთხელ ეკლესიის ზვარში მკვდარი დაემარხათ.

თქვენ უფალმან ნეკრესელმან ამეროსიმ აღარ ინებეთ, წყველა და შეჩვენება დაგიდვიათ: რომელმაც აქ ეკლესიის ზვარში ან მღვდელმან და ან ერისგანმა ვინმე და ან მსახურმა ინებოს და სომხებს მკვდარი დაამარხვინოს, პირველად ნეკრესთა ღმრთისმშობლისაგან იყოს წყეული, კრული და შეჩვენებული, მერე რაც მღვდელმთავარნი აქა მსხდარან და ან კიდევ სხვანი დაბრძანდებიან, იმათის ომფორისაგანაც წყეულნი და შეჩვენებულნი იყვენ, რომელმაც ამ ეკლესიის ზვარში სომხის მკვდარი დამარხოს.”

დოკუმენტს ხელს აწერს ათი სასულიერო პირი და ერთობლივ მსახურნი. მას თან ახლავს ყოვლად სამღვდელო ნეკრესელის დამტკიცება. ეკლესიის

<sup>38</sup> იხ. იქვე გვ.251-252.

<sup>39</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ.III, 1970, გვ.1092

ზვარში საერთოდ არ შეიძლებოდა მიცვალებულის დამარხვა, მით უფრო არამართმადიდებელი სარწმუნოების წარმომადგენლისა. ზვარში მიცვალებულის დამარხვა გამოიწვევდა მის სასაფლაოდ გადაქცევას და საერთოდ ეკლესიის საკუთრებიდან მის გამიჯვნას. დასამარხ ადგილს ყიდულობდნენ და ეს ჩანს უძველესი ისტორიული მონაცემებიდან. ამ შემთხვევაშიც, საუარაუდოა, რომ იგულისხმებოდა დასასაფლაკებელი ადგილის უკანონო გაყიდვა, ეკლესიის საკუთრების ხელყოფა, რაც, რა თქმაუნდა, დამნაშავის შემენებას გამოიწვევდა. საერთოდ დაკრულების მოხსნა იმას შეეძლო, ვინც იგი გამოუტანა დამნაშავეს.

დაახლოებით 1474 წელს შედგენილ „მცნებაი სასჯულოში“, რომელიც დასავლეთ საქართველოში სამოქმედოდ იყო გამიზნული, შერჩენება გვხვდება როგორც საეკლესიო სასჯელი.

ძეგლის მეოთხე პარაგრაფის მიხედვით შერჩენებას ექვემდებარება მუფე, მთავარი, აზნაური, აზნაურის შვილი, მსახური, გლეხი, მთავარდიაკონი, დიაკონი, კერძო დიაკონი, მოხელე, ყველა ვინც ხელყოფდა „მცნებაი სასჯულოს“- „შერჩენებულმცა არს სულითა და ხორცითა.“

„მცნებაი სასჯულოს“ მეცხრე პარაგრაფის მიხედვით „ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხუედრო ცოლი შეირთოს, ანუ სუნამი, ანუ მეყესი, ანუ რძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის ცოლისა ცოდოს, ანუ დიაკონის ცოლისა თანა ცოდოს, ანუ მთავარ-დიაკონისა ცოლსა თან, ცოდოს ანუ სწავლულსა კაცისა ცოლსა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დააწვნოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყეულ და შერჩენებულმცა არს სულითა და ხორცითა ამინ“.<sup>40</sup>

ხსენებული ძეგლის მეტერთმეტე პარაგრაფის მიხედვით „ვინცა ანუ დედის-ნაცვალსა, ანუ დედობილსა თანა ცოდოს, წყეულ, კრულ და შერჩენებულმცა| და აწ და უკუნისამდე.“

<sup>40</sup> ქართული სამართლის ძეგლები.ტ. III.1970. გვ.224-225

„მცნებაი სასჯულოის“ მეცამეტე პარაგრაფის მიხედვით „ანუ თვისი და ანუ სხუამ მოვლას, კრულ, წყეულ და შერეუნებულმცა არს“. ამ წინადადების შინაარსი პროფესორ ივ. სურგულაძეს „გაურკვეველად“ მიაჩნდა.<sup>41</sup>

აქ ლაპარაკია „თვის“-ს (ნათესავის) მოკვლაზე. ნათესავს „სხუამ“ უპირისპირდებო არა ნათესავი. პროფესორი სურგულაძე დასაშვებად თვლიდა ვარაუდს დის მოკვლის შესახებ. აქ დას მოკვლაზე არ არის საუბარი. „და“ აქ კავშირია. „თვს-ი“ თავისიანის მნიშვნელობით გვაქვს ქართულ ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში: თვსია იგი არ შეიწყნარეს (ი.1,11)<sup>42</sup>. „თვი-ი“ იგივე ნათესავია.

„მცნებათ სასჯულოის“ მეთექვსმეტე პარაგრაფის მიხედვით „ეინცა შეუნდობლად დაბეჭდილი კათალიკოზისაგან და ქორეპისკოპოზისაგან ეკლესია გახსნას, შეუნდობელად კრულ, წყეულ და შერეუნებულ არს მათი ხუცესი და ერთმანეთი“.

სიტყვა „შერეუნება“ ჩანს ქართულად თარგმნილი ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში, რაც დაფიქსირებულია კიდეცა ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილ ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში. „იწყო პეტრე შერეუნებულად და ფიცად (მ.26,74, მრ.14,71). “იგი ამბობებამ, რომელთა არა იციან შჯული, შერეუნებულ არიან”(ი.7,49).

ფიცს ყოველთვის თან ახლდა თვითშერეუნება იმ შემთხვევისათვის, თუ ფიცი ცრუ იქნებოდა. ფიცი რომ თვითწყევლასთან იყო დაკავშირებული ეს ჩანს რუსულ „КЛЯТВА“ და „ПРОКЛЯТЫЕ“-ს ურთიერთკავშირში.

ჩვენს ინტერესს იწვევს „შეწირულების წიგნი“ ნიკოლოზ წულუკიძის ხოფის მონასტრისადმი. იგი დათარიღებულია 1561 წლით. ნ. წულუკიძე აოხრებულ მონასტერს სწირავს სპილენძის ქვაბს, ბარძიშს, ფეშხუმს, მრავალ სხვა ნივთს. |თათრისაგან გლეხს, მონათლავს მას და დაასახლებს ხოფს და

<sup>41</sup> ივ სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ტ.1, 2000 წ., გვ.212

<sup>42</sup> ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი - აკ შანიძის რედაქციით, 1986 წ. გვ. 231, სიმფონია შეადგინა

ი. იმნაიშვილმა.

სწირავს მონასტერს თავის სულის საოხად. გარდა ამისა, სწირავს კიდევ ორ კომლ გლეხს ცოლშვილითა და სახლკართ. XVI საუკუნის სამოციან წლებში მძიმე პერიოდი საქართველოსათვის. ამიტომაც წულუკიძეს ემინია, რომ მისი შეწირული შეიძლება ვინმემ გამოსწიროს ხოფის ღეთისშობიელს. გაღარიბებული საერო ხელისუფლება ხშირად გამოსწირავდა მონასტერს შეწირულს. საბუთის შემდგენელი ოთხი პატრიარქის წყევლითა და შეჩვენებით ემუქრება გამომწირველს და დასძენს<sup>41</sup> “იესოს ჯვარისმცემლთანაც განიკითხვის მისი სული და ხორცი” გამომწირველად იგულისხმებიან დადიანი და ვაზირი. ქართული სამართლის ნორმებით ნასყიდი და მონაგები ქონება ეკლესია-მონასტრებისადმი შეწირული გამოწირვას არ ექვემდებარებოდა.

ჩვენამდე მოღწეულია 1702 წელს შედგენილი განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესის და რიგის თაობაზე. ამ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში დარღვეულია სამონასტრო წესდებულება.

განჩინების პირველ, მეორე და მესამე პარაგრაფის მიხედვით:

§1. „რომელიც ბერი დავით-გარეჯს, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მოვიდეს მეტანად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად და მერმე კუალად უკუნ-იქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერნი და სხვად მონასტრად მოვიდეს, ჩვენად უშენდობოდ და ერის გამოურჩევლად, დაუპატიჯებლად, თავის ნებით და წადილით და გულისწყრომით, ამპარტავნობით, დაუთმინობით გამოვარდეს, ან სიტყუით ვისითმე მოღორდეს და წავიდეს, წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთოსა. და ყოველთა მისთა წმინდანთაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარქისაგან, სვეტის ცხოველისაგან და წმიდის გიორგისა, წმიდის ნინოსა და ამ წმინდის მამა დავითისა და დოდოსაგან.

<sup>41</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, დოკ. № 64, გვ. 274-275

§2. რომელიც შევიდეს, მეტანია ქნას დასადგომად, მამასა და კრებულს პირი და აღთქმა დაუღვას და აღარ აღასრულოს ეს თავისი აღნთქვაში, წყეულ იყოს და შერვენებული.

§3. კვალად, რომელმანც ერთმანეთის შურობით და ქიშპობით ერთის მონასტრიდამ მეორეში სადგომად ბერი მიიყუანოს ან თვითონ მოვიდეს მამასა და კრებულისაგან უშენდობოდ, ისიმც წყეული და შერვენებულ იყოს”.<sup>44</sup>

თუ რომელიმე თავადი, ეფისკოპოზი ან “დიდი თუ მეორე” შეუნდობარ და წყევის ქვეშ მყოფ ბერს მიიღებდა და შეიწვანარებდა, ისიც “იმისი მონაწილე და თანაზიარი იქნებოდა”.

საბუთის მეექვსე პარაგრაფში ვკითხულობთ: “ვინც ამას ურჩ ექმნას, წყევარსა და შერვენებასა ქვეშ იყოს”-ო.

მაგრამ “თუ მეფეთაგან, კათალიკოზისაგან, ეფისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამორჩევით გამოვიდეს ეფისკოპოზად ანუ წინამძღვრად ანუ რომელიმე წესსა ზედა მღვდელად, ამას შენდობა და მაღლი ქონდეს”.

დადგენილება დამტკიცებულია ზაქარია ბოლბელის, დომენტი თბილელის, იოსებ მანგლელის, ნიკოლოზ სამებელის, მროველის, ჭერემელის, წილქელის, ხარჭაშნელის, დმანელის, აბოენელის, წალკელის მიერ. საბუთს ხელს აწერს აგრეთვე მაღალაძე არქიმანდრიტი ნიკოლოზ.

როგორც ჩანს, სამონასტრო ცხოვრებაში წესრიგის დამყარებისათვის იღწვიან მაღალი დონის სასულიერო პირები და ამ მიზნით არ ურიდებიან ისეთ სასჯელის გამოყენებას, როგორცაა შერვენება. კათალიკოზი ანტონ პირველი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე 1791 წელს დაწერილ სამწყსოს საქმეთა განწესებაში აღნიშნავდა<sup>45</sup>: “ჩვენ ჩვენის მღვდელმთავრობის კვლმწიფება განხსნისა და შეკრვისა ესეგვარი მიგვიციეს: ჩვენს სამწყსოში თუ ვინმე შერისხხვისა, შერვენებისა და შეკრვის ღირსად გამოჩნდეს, ჩვენის

<sup>44</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, ლკ. №184, გვ. 633-634

<sup>45</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970 ლკ. №349, გვ. 394

ველმწიფებით შერისხონ, შეაჩვენონ და შეკრან. და თუ შეკრული ღირსად განკნისა, კურთხევისა და ნუგეშინის ცემისა გამოჩნდეს, განხსნან, აკურთხონ და ნუგეშინი სცენ ჩენითავე ველმწიფებითა. ესრეთ ყოვლითურთ ველმწიფება გვიბოძებეს ამა შეკრებულებისათვის”. (§13).

კათალიკოზის განწესების მიხედვით მხოლოდ მას გააჩნდა უფლება შეეჩვენებინა დამნაშავე და თუ ეს უკანასკნელი თავის დანაშაულს მოინანიებდა და „კურთხევისა და ნუგეშინის ცემის“ ღირსი იქნებოდა, კათალიკოზს ხელეწიფებოდა სასჯელის „ახსნა“, დამნაშავის შეწყალება.

1780 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მეფის ძე, ანტონი აფრთხილებს დილომში მცხოვრებ მართმადიდებელ ქრისტიანებს<sup>46</sup>:

„მერე, რომელიც ამას წინათ განწესება მივეცით ამ თქვენს მღუდელთ, ის უნდა აღასრულოთ“.

„მკვიდრებს“ მღვდლებისათვის უნდა მიეცათ ერთი კოდი პური, ხოლო „ეულებს“ ნახევარი კოდი.

თუ დიღმელები კათალიკოს-პატრიარქის განწესებას არ შეასრულებდნენ „შეჩვენებულნი“ იქნებოდნენ.<sup>47</sup>

ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 1755 წელს შედგენილი განჩინება მეფე თეიმურაზ მეორისა და ძისა მისისა მეფის ერეკლესი და პატრიარქ ანტონისა თავად გიორგისა და თამარისა უხვედრი ქორწინების შესახებ<sup>48</sup> საბუთი წარმოადგენს დედანს.

საბუთში ვკითხულობთ: “ბრძანებაჲ საეკლესიო კეთილმსახურთა მეფეთა დავითიანთა მეფისა თეიმურაზისი და ძისა მათასა მეფისა ერეკლესი მპყრობელთა სამეფოთ ქართველთა და კახთასა, და სრულად საქართველოსა პატრიარხისა ანტონისი აღწერების პალატსა სამეფოსა სრულიად ქართლისა

<sup>46</sup> იხ იქვე დოკნ380,გვ 937

<sup>47</sup> ქართული სამართლის ძეგლები,ტ. III, 1970, დოკნ380,გვ 937

<sup>48</sup> ქართული სამართლის ძეგლები,ტ. IV, 1972, დოკნ352,გვ.445-447

მპყრობლისა მეფისა თეიმურაზისა განბჭობისა და განსჯისა საჭეშმარიტოთა სასჯელთა.

ამისათვის, რამეთუ გიორგი ვინმე თავადთაგანმან იმპლაერა საიდუმლო ქორწინებისა ურჩებითა წმიდისა ეკლესიისათა, რომელიცა გარდამავლობისათვის კანუნიცა დაისაჯა სამართლად სამოციქულოთა მუნ განჩინებითა, რამეთუ ქალწული იგი, რომელიცა დაიწინდა და იქორწინაცა უსჯულოებით, განვაშორეთ ყოვლითურთ უწესოსა მის შეუდვლილებისაგან და შეჩვენებისაცა ღირსად განვაჩინეთ იგინი.

ამის განბჭობისა და განსჯისა მაი ზედა მბრძანებელთა განკრძალულად კეთილმსახურთა გონებითა გამომრჩეველთა მისთვის საცხოვრებელსა განზრახვისათა, რათა არა სრულიადსა განწირულებსა მიეცეს იგი, ვინებეთ ცთომილისა მის და დაცემულისა აღმართებამ, ვითარცა იტყვის წმიდამ პავლე: “თანა-გვაც ჩუნ, ძლიერთა, უძღურებათა მათ უსუსურთსა ტვირთვად”; და კუალად იგივე მოციქული იტყვის: “ნურავინ ნურარამთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რამთა არა იგმოს მსახურებამ ეგე თქენი”. და წმიდამ მახარებელი იტყვის: “რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირედთა ამათგანნი ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა”.

ამისათვის ჩვენცა მოქმედთა არ-დაბრკოლების მიზეზდგმისა მისა მიმართ აღეშართეთ იგი დაცემულებისაგან და ეკლესიისა შვილთა თანა კუალად გებაი მისი განვაჩინეთ, დაღათუ სცთა ვითარცა ჭაბუკი და გარდახდა იგი კანუნსა ტფილისს შეკრებულსა მის ადგილობითისა კრებისა ოცდართთა მამათასა, რამეთუ უხვედრისა თანა ნათესავისა იქორწინა, ესე ფრიადისა განკანონებისა სასჯელი მოატყუა თავსა თვისსა.

არამედ ვინათგან აღსრულდა საიდუმლოდ იგი უწესოსა მის ქორწილისა სხვისა დედაკაცისამცა შეყოფამ უუსჯულოებისა მთხრებლისა სიღრმედ

მიიყვანდა მას შთაპარებებად, ამისათვის იგივე, რომელიც მძლავრ იქორწინა, განუწესეთ მას ცოლად.

გარნა უკმსთ ორთავე, რათა დიდთაებრ შეცოდებულთა დაისაჯუნენ: ექვსთავე შეიმოსდენ ჭაბუკიცა იგი გიორგი და ქალცა თამარ გარეგნით სამოსელსა შავსა, შინაგან თეთრთა უნდოთა სამოსელთა და განყენებულ იყვნენ, ვითარცა მონაზონნი კორცთა მიღებისაგან და იმარხვიდნენ და შეიდეულსა შინა ერთგ ზის მიიღებდნენ ღვინოსა დღესა კვირიაკესა.

გიორგი წარვიდეს მონასტერს მამათსა და ექვსთვე ესრეთ იქცეოდეს დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა მსახურნი მის მონასტრისანი.

და ქალი იგი თამარ წარვიდეს მონასტერსა დედათსა მაკრინას თანა ენკრატისისა მეფის ასულისა. და ესევითარითვე ქცევითა ცხოვრებდეს დათა მსახურებითა.

და აღესრულნეს რა თენი ექვსნი მოვიდნენ ორნივე წინაშე საქართველოსა პატრიარხისა და მიიღონ ორთავე შენდობა სრული და ეგრეთ შეერთდენ მეუღლედ იგინი.

ხოლო თქვენ შეიღწო სამეფოთა ადგილთა ჩვენთანო, რომელნიცა იქმნებით გარდამავალ კანუნისა მოციქულთა და მამათსა, არა მცირედსა დასჯასა მიიღებთ ამას სოფელსა და მერმესაცა მას.“

განჩინებას ხელს აწერენ მეფე თეიმურაზი, კათალიკოზი ანტონი, მეფე ერეკლე მეორე, აღავერდელი ნიკოლოზ.

1748 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამ თავისი დადგენილების მეოცე პარაგრაფში განსაზღვრა ნათესაობის ხარისხი, რომლის შიგნითაც ნათესაეთა შორის ქორწინება იკრძალებოდა.<sup>49</sup>

არსებობდა ადამიანთა შორის ნათესაობის გამოთვლის ორგვარი სისტემა. გერმანული და რომაული. ეკლესიამ აღიარა ნათესაობის რომაული სისტემა, რომელიც კანონისტმა ალექსეი პავლოვმა რომაელების გენიალურ გამოგონებად

<sup>49</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III 1970 წელი, გვ. 801

ალიარა. ხსენებული სისტემის მიხედვით თითოეული დაბადება დასაქორწინებულთა საერთო წინაპრამდე ნათესაობის ხარისხად იქნა აღიარებული. ქრისტიანულმა ეკლესიამ გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთა შორის ქორწინება იკრძალებოდა.

1748 წლის საეკლესო კრების დადგენილების მეოცე პარაგრაფში ვკითხულობთ:

„ვამცნებთ ეპისკოპოსთა, მღვდელთა და ეკლესიის მოურნეთა, რათა განეკრძალებინ შჯულთა ღმრთისა და არა შერიონ ნათესაობა უწესოთა ქორწინებითა, არამედ ესრეთ ყოფდნენ: იყავნ დასამამ პირველი მამა და მისგან რამ გამოეკვეთნენ ოთხნი ერთ კერძო და კულად ოთხნი ერთ კერძო; ხოლო ეს იქმს, თვინიერ დასაბამისა მის, რიცხვსა რვასა და სრულ იქმნეს რამ ორსავე კერძოსა რიცხვი რვა,-მეხუთე ერთ კერძოსა და მეხუთე მეორისა კერძოსა\_ესე მეხუთენი შეიუღვლიან ურთიერთს. და ამა მეხუთეთა ნაკლებს არავის განუჩინებთ ქმნად ქორწინებისამ.“

შემოაღნიშნული განჩინება გულისხმობს სწორედ ამ დადგენილებას და ამიტომ მისი დათარიღება 1748 წელზე ადრე არ შეიძლება. ცდება მისი გამომცემელი, როდესაც შესაძლებლად თვლის მის დათარიღებას 1744 წლით.

დასაქორწინებულთა შორის საერთო წინაპრამდე ცალკერძო ხუთ-ხუთი დაბადება უნდა აღირიცხოს. ამ მხრივ, როგორც ჩანს, ქართული ეკლესია დიდ სიმკაცრეს იჩენდა, უფრო მეტს, ვიდრე ზოგიერთი ქრისტიანული ქვეყნის ეკლესია. ვთქვათ გიორგის მამა იყო თეიმურაზი, ხოლო თეიმურაზის მამა გიგო, ხოლო გიგოს მამა ზურაბი. ამ უკანასკნელის მამას კი ერქვა პაულე. რაც შეეხება თბმარის წინაპრებს, ვთქვათ თამარის მამა იყო კალისტრატე, ხოლო კალისტრატეს მამა-იოსები. დავუშვათ, რომ იოსების მამა იყო ვახტანგი, ხოლო ვახტანგის მამა\_პაულე. მამასადამე თამარისა და გიორგის საერთო წინაპარია პაულე. თამარიდან პაულემდე და გიორგიდან პაულემდე (პაულეს ჩათვლით) ცალკერძო ხუთი დაბადებაა. თუ პაულეს არ მივიღებთ მხედველობაში

გამიოკვეთება ოთხ-ოთხი დაბადება. თამარისა და გიორგის დაქორწინება დასაშვებად ჩაითვლებოდა.

კანონიკური სამართლის ნორმების მიხედვით სისხლით ნათესაობის მეშვიდე ხარისხში ქორწინება აკრძალული იყო, მაგრამ თუ ვინმე სისხლითი ნათესაობის მეშვიდე ხარისხში დაქორწინდებოდა ნათესაეზე, ასეთი ქორწინების გაბათილება არ ხდებოდა. მეუღლეები დაისჯებოდნენ იმით, რომ გადაიხდიდნენ „საკანონოს“. თამარ მეფე და დავით სოსლანი მეშვიდე ხარისხის სისხლით ნათესაეები იყვნენ<sup>50</sup>. ზემოაღნიშული „გაჩინების“ მიხედვით მეუღლეები გარკვეულად დაისაჯნენ, მაგრამ მათი ქორწინება არ დარღვეულა.

ქართული მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს კათალიკოსს ანტონ პირველს (1720-1788წ.) ის იყო შთამომავლობით ბაგრატიონი, ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი. 1744 წელს ის აირჩიეს საქართველოს კათალიკოსად. ანტონ პირველის აზრით საქართველოს უნდა აერჩია დასავლეთეუროპული ორიენტაცია. და ის დაუახლოვდა თბილისში მყოფ მისიონერებს. „ამით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა, ანტონ პირველს გაკათოლიკება შესწამეს და „მწვალებლად“ აღიარეს. მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებამ 1755 წელს ის კათალიკოსობიდან გადააყენა. 1756 წელს ანტონ პირველი რუსეთს გაემგზავრა, სადაც თავი იმართლა სინოდის წინაშე.“<sup>51</sup> 1763 წელს ანტონ პირველი მეფე ერეკლე მეორემ რუსეთიდან საქართველოში დააბრუნა. საეკლესიო კრება დარწმუნდა, რომ ის ჭეშმარიტი მართმადიდებელია და კვლავ აირჩია საქართველოს კათალიკოსად.

<sup>50</sup> გ. ნადარეიშვილი. „ძველი ქართული სოჯახო სამართალი“, 1996 წ., გვ. 12-13

<sup>51</sup> ე. ბაბუნაშვილი. რ. ბარამიძე, თ. კუკუა, ბ. პარკაძე, ა. როგავა, „ანტონ პირველი“, ქსე. ტომი I, გვ. 497.

ამ ამბებთან არის დაკავშირებული “ქართული სამართლის ძეგლების” IV ტომში დაბეჭდილი “განჩინება კათალიკოსს ანტონსა ზედა”.<sup>52</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტში საბუთის პირია შემორჩენილი.

„წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 1755, თთუესა დეკემბერსა 16, ჩუენ, მეფემან ქართველთამან თეიმურაზ ძემან ჩუენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ და ორთავე ამის სამეფოსთა ეპისკოპოსთა მოგივლინენით არხიმანდრიტნი ორნი შენ, ანტონის კათალიკოსსა ჩუენსა გამოკითხუად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ.

ამისთვის, რომელ გუესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი, და ილუწიდიცა შეძინებად მათდა იღუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩუენ მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯმნოდ აღიარე წვალებათა ლათინთა, და საუწყებლად ჩუენდა გამოუცხადე.

და ვითარცა ესე ვპსცანით, მყის დაგამხევით საყდრისაგან შენისა და შენთა ერთხმანი სამღუდელონი დავსაჯენით და ერისკაცნი უზიარებულ ვაკუენით.

ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე ცნობად ჭეშმარიტი სარწმუნოებისა; დაიწყე გოდებად და ტირილად და შეერდომად და თხოვად შენდობისა; და უარჰყავ ბოროტი ცთომილება შენი; და განჰგმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა, რომელიცა შეგეწყნარა; და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არღარა მიდრეკად გმობათა მიმართ ლათინთასა.

ამას ზედა ვითარ ჰშეენოდა პირველსა მახლობელობასა და ჩუენ მიერ სიყვარულსა შენსა, ფრიად საყვარელ ჩუენდა იქმენ; გარნა საყდარსა აღსლვა შენი ცხოვრებასა შინა შენსა არღარა იქმნებოდა, რამეთუ ორთავე მეფეთა და კრებასა ფიცით ესრეთ დაგვემტკიცა.

ხოლო განგიწესეთ კანონად დაცადებაჲ შეწირვისაგან უსისხლოისა მსხვერპლისა თთუეთა ათურამეტთა და მერმელა შეწირვად სამღუდელოისა

<sup>52</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, თბილისი, 1972, გვ. 447-448

ლიტურჯიასა, რამეთუ ესოდენნი თთუენი დაგეყენეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა.

და კუალად შემდგომად თთუეთა სამთა განცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უცხო ყოფა წვალეებისაგან პაპის მოსაეთა ლათინთასა და სრულად აღმოსავლეთის ეკლესიისა სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა თვინიერ ყოვლისა ეჭვისა.

და ფრიად წადიერ იქმნ ყოველითურთ კეთილმსახურთა და ყოვლითურთ მართმადიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარსლვად, რომელიცა უმეტეს გულსავე გვპყოფდა მართმადიდებლობასა შენსა.

ამას ზედა ყოველივე ერთობით მეფეთა და კრებამან შევაპოკლენით კანონნი, რომელნიც განგვეწესნეს, რადთა ღირს იქმნე უსისხლოსა მსხვერპლისა შეწირვად ყოვლად წმიდასა დღესა აღესებასასა, რომელსა დღესა აღსდგა უფალი ჩუენი იესო ქრისტე.

და ესრეთ პატივთა მღუდელთ-მთაერობისათა წარგვზავნეთ და ღირს არს შეწყწარება შენი მღუდელთ-მთაერად მართმადიდებლად და, საცა მიხვიდე, დაუყოვნებლივ კელყოფად საღმრთოსა ლიტურჯიისა და ყოვლისა სამღუდელთ-მთაეროდსა მოქმედებისა ვითარცა მღვდელთ-მთაერი, რამეთუ აქავე აღგისრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა, სამთაეროსა ჩუენსა, და მშვიდობით წარხველ.

ხოლო სამღუდელონი კაცნი, რომელნიცა შენიანა ერთხმა იყენეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თვისნი და შენთანვე აღიარეს მართმადიდებლობამ; და მათცა შეუნდევით მღუდელობად და მსახურებად საღმრთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა."

მეთერთმეტე საუკუნეში კათოლიკური და მართმადიდებლური აღმსარებლობა ერთმანეთს გაემიჯნა. თუ მართმადიდებელი კათოლიკოს-პატრიარქი კათოლიკობის-ლათინთა სარწმუნოებისაკენ გადაიხრებოდა და ეს დამტკიცდებოდა, მაშინ ასეთი „მიდრეკა“. საკმარის საფუძვლად ჩაითვლებოდა

კათოლიკოსის გადასაყენებლად – მის დასამზობად საყდრისაგან. კათოლიკოსის მომხრე მღვდლებიც დაისჯებოდნენ, ხოლო ერისკაცნი უზიარებლობით ისჯებოდნენ.

კათალიკოსმა ანტონმა რამოდენიმე დღის შემდეგ მოინანია ცთომილება. კათალიკოსს თერამეტი თვის განმავლობაში ეკრძალებოდა სამღვდლო ლიტურგიის შესრულება. („დაცადებაჲ შეწირვისაგან უსისხლოსა მსხვერპლისა“. მაგრამ გაიარა სამმა თვემ და ცხადი გახდა ანტონ კათალიკოსის „ფრიადი სინსნული“. ამიტომ საეკლესიო კრებამ მეფეთა თანხმობით შეუძვირდა მას სასჯელი და ნება დართო მას მართმადიდებლურ რუსეთში გამგზავრებისა.

ანტონს დართეს ნება აღვრების დღეს უსისხლო მსხვერპლის შეწირვისა, ღეთისმსახურებისა, და ასე აღდგენილი „პატიესა მღუდელთ-მთავრობისათა.“ გამგზავრება იგი მართმადიდებლურ რუსეთში, სადაც მას საშუალება ექნებოდა თავისი მართმადიდებლური აღმსარებლობა კვლავ დაემტკიცებინა.

დიდ ინტერესს იწვევს შეუვალობის წიგნი გიორგი გურიელისა აფხაზეთის კათალიკოსს სვიმონ ჩხეტიძისადმი, რომელიც თარიღდება 1664 წლით.

გიორგი გურიელი მიმართავს აფხაზეთის კათალიკოსს ქუთათელ სვიმონ ჩხეტიძეს:

„კათალიკოზის უკითხავად და ნებადაურთვად ეპისკოპოსობა „არც გაცემულა და არც ვის გამორთმეუია“<sup>53</sup>

„და ვინცა-ვინ სასჯულოს საქმეზუდან თქვენ წინააღვიდგეს და გაუწყრეთ და შეაჩვენოთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოვიდგეთ და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მანამდის არც ჩვენ შევირიგოთ.“

ბიჭვინთის ღეთისმშობლის მამაულებს გურიაში არავის დაანებებდნენ

<sup>53</sup> „ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1965 წ., გვ. 225-226.

ასევე საინტერესო წყაროს წარმოადგენს მეფე თეიმურაზ პირველის საკანონო გუჯარი აღავერდისადმი, რომელიც დათარიღებულია 1612 წლით. დოკუმენტი №69.

თეიმურაზი ამა აღავერდელს, მთავარეპისკოპოსს ზებედს, სულიერ მოძღვარს

„§4. სოფელში თუ მოიპარის და თავი ვინმე გაუტეხოს, ეპისკოპოზმა სამართლიანად, ვითა სჯულის კანონში ეწეროს, ისრე განაკანონოს და სხვა წესი, რომელიც წმიდათა მამათაგან დამტკიცებულ იყოს;

§5. და თუ ვინმე ამაშიგა წინა აღვიდგეს, მასმცა წმიდა სამოციქულოსა და სჯულის კანონი შეაჩვენებს. ამინ“<sup>54</sup>

დოკუმენტი №7, წარმოადგენს 1123 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძს სადაც ჩანს, რომ უჯვარობა, წყევა და შერყენება ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

„უჯვარობითა, წყევითა და შერყენებითა დაამტკიცეთ“<sup>55</sup>

განჩინება ანტონ I-ის და კრებისა იუსტინე ურბნელის შესმენთა საქმეზე დოკ. №87.

ფანიაშვილს ეკლესიის მამული ეჭირა და ღალა ეკლესიისა ეღო. ფანიაშვილმა ღალა არ გადაუხადა ეკლესიას და ურბნელს რუს წყალი წართვა. ამისათვის ურბნელმა ის შეაჩვენა.<sup>56</sup>

1752-1783წ. განჩინება სოლომონ პირველის დავით წერეთლისა და ბექია ცქიტიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე.

დავით ხუცესი(წერეთელი) დაუჭრია ბ. ცქიტიშვილს ჭრილობა ქერის მარცვლით „უნდა დაუზმანონო“ რამდენი ქერის მარცვალი დაუტოოს, იმდენი ხარი უნდა მიეცეს.

<sup>54</sup> იხ. იქვე გვ.212.

<sup>55</sup> იხ. იქვე გვ.18

<sup>56</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. თბილისი, 1974 წ. გვ. 146-148

„დავით ხუცესის ფიცი არ იქნება, ომფორითა და ილარით შერევენა აილოს“.<sup>57</sup>

დავით აფხაზი უარყოფს სოროზნიშვილების მონასტრისათვის შეწირვას (დოკ. №386).

„დავით აფხაზი უარს ამბობდა და მისი უწმინდესობის წინაშე ხელის აღმპყრობელი შერევენებით და ფიცით იტყოდა არ შემიწირავსო.“<sup>58</sup> დავით აფხაზი მართალი გამოდგა.

ფიცი ზოგჯერ თვითწყველაც არის. აფხაზმა ასე დაიფიცა „შერევენებული ვიყო, თუ სოროზნიშვილები შემეწიროსო“

მთავარეპისკოპოსი ანტონი (საბ. №387, 1795 წელი) უჩივის მახობა ქუთათელაძეს<sup>59</sup>: შენს კაცებს სანთელი ემართა ეკლესიის ბეგართ. მახობამ ბეგარის გადახდაზე უარი თქვა და იჩხუბა კიდევ.

მთავარეპისკოპოსი ანტონი ამბობს: “და რადგან ეკლესიას თავისი ბეგარა სანთელი არ მოართვი, ამისათვის ეკლესიისგან შესულად დაგაყენე და შენ არ შეიგონე, არც შემომეხვეწე და არც შენდობა ითხოვე. და ამაში შეიდი თვე გავიდა. და აღდგომას ხინოწმინდელი იყო ჩემთან; და მძღაურებით შედი ჩემს ეკლესიაში, და დეკანოზმა რომ დაგითხოვა, ლეკური შეუტევე და კარში გამოაგდე და იმ დღეს წირვა დაათმობინე, და მის შვილებს სიკუდილს დაპირდი. და შენგან ეკლესიაც გატეხილი მაქვს, მღუდელთ-მთავარიც გალახული, და ბეგარაც წართმეული მაქვს.”

“მღუდელთ-მთავრის შეურაცხების და დეკანოზის და ეკლესიის წინააღმდეგობის, და კუალად ეკლესიაში მახვილით დაქადების გარდასარადი ამას არ შეძლებდა ესოდენის დანაშაულებისათვის შევამოკლეთ და ხელთმქნელათ უნდა მიეცეს მახობა მთავარეპისკოპოსს.

<sup>57</sup> იხ. იქვე გვ. 281

<sup>58</sup> იხ. იქვე გვ. 666-667

<sup>59</sup> იხ. იქვე გვ. 669

საჯორციელო სამართალი ჩვენ ამის მეტი ვერ შეეძელით. და სასულიერო ვით განაწესონ.“

წულუკიძის წყალობას და მონაცემებს გარდა, თავისი ყოფით მიეცეს მახობა მთავარეპისკოპოსს.“

სავარაუდოა, რომ შეჩვენებდნენ მახობა ქუთათელაძეს ვინაიდან მან არ მონინია დანაშაული.

განჩინება ილმისა და წვეის ეკლესიების წმიდა ნაწილების თაობაზე (1807წ. 14 მაისი)<sup>60</sup>:

“ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს, ესრეთ განვაწესე და განვაჩინე: ილმელი სამღუდელო და საერო შემომევედრნენ, რომ ჩვენის ეკლესიის ნაწილი დაგვეკარგა და წვერის ეკლესიაში ასვენია და ჩენი არისო.”

წვეელები ფიცს მოითხოვდნენ. ქუთათელ მიტროპოლიტმა “შეგდებული სამართალი” განაწესა: “ოთხმა მღვდელმა “რომელიც ილმელებმა გამოირჩიეს, თავის მღვდელთმთავარს “ველი ჩამოართვას შეჩვენებით”. “აგრეთვე ხუთმა ერისკაცმა, რომელიც ამით დაუსახელონ, ილმელების ეკლესიაში ასე შეფიცონ: “თქვენ რომ ნაწილებს გვედავებით თქვენის ეკლესიისას, ეს ის ნაწილები არ იყოს; და არც ძველათ და არც ახლათ ეს ნაწილები თქვენის ეკლესიის ყოფილ იყოს.”

გამოთქმა “ველი ჩამოართვას შეჩვენებით” იმას ნიშნავდეს, რომ მღვდლები თავს დაიწყველიდნენ შეჩვენებით თუ ტყუილს იტყოდნენ და თავიანთ სიმართლეში ამით დაარწმუნებდნენ მღვდელთმთავარს. წვეელებს, როგორც მოპასუხე მხარეს და სადავო ნაწილის ფაქტობრივ მფლობელს, ფიცის უფლება გააჩნდათ. წვეელები ფიცულობდნენ ილმელების ეკლესიაში.

თუ წვეელები დაიფიცებდნენ, სადაო “ნაწილი” მათ დარჩებოდათ. და თუ ვერ დაიფიცებდნენ იგი უნდა დაებრუნებინათ ილმელებისათვის.

<sup>60</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბილისი, 1977 წ. გვ 377-378

განვიხილოთ სასჯელიც, რომელიც VII მუხლის მიხედვით არის გათვალისწინებული ეპისკოპოსთათვის. კანონმდებელი ამბობს: „შეჩვენებულ იყოს წმინდათა კრებულთაგან და კანონმსამცა ქუეშ არის წმიდათა მოციქულთასა, და მისი საყდრისაგან ექსორია იქმნეს.“ რაც შეეხება შეჩვენებას, ამის შესახებ ჩვენ ზევით ვისაუბრეთ, მაგრამ ის შეეხებოდა საერო პირებს, ხოლო სასულიერო პირთათვის შეჩვენება სასულიერო ხარისხიდან და საერთოდ, ქრისტიანობიდან განკვეთის ტოლფასი იყო. ხოლო „კანონმსამცა ქუეშ არის“ წმიდათა მოციქულთა, ე.ი. მოციქულთა კანონებიდან გამომდინარეობს სანქცია. მოციქულთა 36-ე მუხლის თანახმად, „თუ ეპისკოპოსად ხელდასმული არ მოინდომებს მისთვის ჩაბარებულ მრევლზე ზრუნვასა და მის მსახურებას, იგი უზიარებელ უნდა იქმნეს, სანამ არ შეასრულებს ამ მსახურებას“. აქვე, 58-ე მუხლის მიხედვით, „თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა არად ჩააგდოს სამღვდელო მწყობრი და ხალხი და არ ასწავლოს მათ კეთილად მსახურება, – მღვდელობა აეკრძალოს. თუ ამის შემდეგაც იზარმაცოს და არ შეასრულოს თავისი მოვალეობა, განიკვეთოს.“

VII მუხლი ხელდამსხმელი ეპისკოპოსისაგან მღვდლის ან დიაკვნის კურთხევისათვის შემდეგი პირობების შესრულებას ითხოვს: „თუ კურთხევა ისე მოხდება, რომ ეპისკოპოსი ხელდასასხმელი კანდიდატისაგან არ გამოიკითხავს, იცის თუ არა მან „დავითნისა და მსგეფისისა და კურთხევანისა კითხვა“, თან მოძღვარი თუ არ ჰყავს და ამასაც არ გამოიკითხავს, ასეთი ეპისკოპოსი შეჩვენებულ იყოს“-ო, ბრძანებს კანონი. „დიდი სჯულის კანონში“ მღვდლის კურთხევისათვის კონკრეტული მოთხოვნები (რაც განათლებას შეეხება) არ მოიპოვება, იქ მხოლოდ მღვდელმთავრისათვის ცოტა მეტი მოთხოვნები არის წამოყენებული: „...ფსალმუნთა ცოდნა, სახარების, მოციქულთა ეპისტოლეების ცოდნა და, რაც მთავარია, თავი უნდა გამოიჩინოს გულმოდგინებასა და საღვთო

კანონთა სწავლაში<sup>61</sup>. ასე რომ, მომავალი სასულიერო პირისათვის განათლება ოდითგანვე აუცილებელი ცენზი ყოფილა.

აქვე უნდა მოვიტანოთ განსახილველად 27-ე მუხლიც, რომელიც ამ მუხლის დამატებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისიც სასულიერო პირების კურთხევას შეეხება. ამ მუხლის მიხედვით, თუ ეპისკოპოსი უღირს მღვდელს ან დიაკონს აკურთხებს და ამასთან იცის მისი უღირსობა, ან ქრთამს აიღებს, ამისთვის შეჩვენებული უნდა იყოს „ვითარცა სვიმონ მოგვი“.

ენახოთ, რას ამბობს ამგვარი დანაშაულისათვის მოციქულთა 29-ე კანონი: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი ფულით მიიღებს ამ პატივს, უნდა განიკეთოს ისიც და მისი ხელდამსხმელიც, და სრულიად მოიკეთოს ზიარებისაგან, როგორც სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულისაგან.“

უღირსობასთან დაკავშირებით „დიდი სჯულისკანონი“, კერძოდ, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-9 და მე-10 მუხლები ადგენს: „თუ ვინმემ შეუსწავლელ-გამოუძიებლად მიიღოს მღვდლობის პატივი და გამოკითხვა გამოძიების შემდეგ, მონინიოს თავისი ცოდვები და აღიაროს, რომ კანონთა დარღვევით მოხდა მისი ხელდასხმა. ასეთებს კანონი არ შეიწყნარებს, რადგანაც კათოლიკე ეკლესია უნაკლოს ეძებს“ და იქვე: „ცოდვით დაცემულთაგანი თუ ვინმე ხელდასხმული იქნება, იცის თუ არ იცის ეს მისმა ხელდამსხმელმა, ამას არ ითვალისწინებს საეკლესიო კანონი. თუ ეს ცნობილი გახდება, ასეთები განიკეთებიან“<sup>62</sup>. როგორც ვხედავთ, ქართველი სჯულმდებლები აქაც ამ საკითხის გადაწყვეტისა და დადგენისასაც „დიდი სჯულისკანონიდან“ გამომდინარეობდნენ და მის გარკვეულ პერიფრაზირებას მიმართავდნენ.

მე-9 მუხლის მიხედვით, კანონმდებლები შეაჩვენებენ იმ ეპისკოპოსს, რომელიც სხვა ეპისკოპოსის მიერ დასჯილს შენდობას მისცემს ან ასეთ

<sup>61</sup> საეკლესიო კალენდარი, VI მსოფლიო კრება, მუხლი მე-2, 1978 წ., გვ. 20.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 180

მღვდელს და დიაკვანს თუ აკურთხებს. ამ მუხლის მიღების დროსაც ქართველი სჯულმდებლები სარგებლობდნენ „დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით, კერძოდ, ანტიოქიაში შეკრებილ წმინდა მამათა VI კანონის თანახმად: „თუ ვინმე თავისი ეპისკოპოსისაგან უზიარებელ იქნეს, მას ნუ შეიწყნარებენ სხვები მანამ, სანამ მას არ შეიწყნარებს თავის ეპისკოპოსი. როცა იქნება ეპისკოპოსთა კრება, მოვიდეს, სიტყვა მისცეს მათ და კრებამ სხვა გადაწყვეტილება გამოიტანოს მის შესახებ. ასეთი განსაზღვრება დაცულ უნდა იქნას ერისკაცების, მღვდლების, დიაკვნების და სხვა ეკლესიის მსახურთა მიმართაც“. კვლავ ამ საკითხთან დაკავშირებით, კართაგენის ადგილობრივი კრების კანონი ბრძანებს: „მათ შესახებ, რომლებიც თავისი უწყესობის შესაბამისად საეკლესიო დასიდან განდევნილ იქნებიან, „ნუმიდიის წარმომადგენელმა ავგუსტინე ეპისკოპოსმა თქვა: ამის დადგენაც საჭიროა, რომ თუ ეკლესიიდან თავისი საქმეების შესაბამისად ვინმე ღირსეულად არის განდევნილი და იგი რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა ზიარებისთვის შეიწყნაროს, თვით მზიარებელი განდევნილის თანაბარი სასჯელით უნდა დაისჯოს და თავისი ეპისკოპოსის კანონიერი სასჯელისაგან ვერ გადარჩეს.

ყველა ეპისკოპოსმა თქვა: ამას ვიწონებთ ყველა.”

მე-11 მუხლის მიხედვით, რომელი ეპისკოპოსიც თავის სამწყსოში ვითარებას არ კითხულობს, შეჩვენებული იყოს-ო. ეს მუხლი თითქმის იმეორებს მე-7 მუხლში ნათქვამს, სადაც ეპისკოპოსის ჩამოთვლილ მოვალეობათაგან ერთ-ერთში, თავის სამწყსოს პატრონობა არის დასახელებული. უბრალოდ, ეს მუხლი აკონკრეტებს ეპისკოპოსის ამ მოვალეობას.

მე-12 მუხლი ეხება ქორეპისკოპოსებს. ნეოკესარიაში შეკრებილი წმინდა მამათა კრების მე-14 მუხლში ნათქვამია: „ქორეპისკოპოსთ უჭირავთ სამოცდაათი მოციქულის ადგილი და ამიტომ, როგორც ეპისკოპოსის თანამოსაყრდნეებს აქვთ შეწირვის უფლება, რათა ამით კქონდეთ გლახაკებზე ზრუნვის პატივი“. ანტიოქიაში შეკრებილ წმინდა მამათა მე-10 მუხლი კი ეხება

ქორეპისკოპოსის უფლებებს: წმინდა კრებამ განსაჯა, რომ დაბაში ან სოფელში მყოფმა ქორეპისკოპოსად წოდებულებმა, თუნდაც ეპისკოპოსთაგან ხელდასხმა მიიღონ, უნდა იცოდნენ თავის საზომი, განაგონ მათთვის რწმუნებული ეკლესიები და მხოლოდ ზრუნვა და ზედამხედველობა იკმარონ. მათ უნდა დაადგინონ წიგნის მკითხველებიც, კერძო დიაკვნებიც, მაფიცებლებიც...<sup>63</sup>”

ამ კანონიდან გამომდინარე, კათალიკოსთა სამართლის მე-12 მუხლი ადგენს, თუ რომელი საეპისკოპოსოს ქორეპისკოპოსიც არ დადის თავის ეკლესიებში, იმ ეკლესიის მრევლს არ ასწავლის ნათესაობას, „უქმობას“, ნათლობას, „აუგზისობას“, მარხვას და არ ასწორებს ამ მხრივ ვითარებას სამწყვსოში – „შეწუნებული იყოს“-ო.

მაშასადამე, ქორეპისკოპოსმა უნდა აუხსნას მრევლს ნათესაობის შესახებ, თუ მერამდენე თაობამდე არიან ისინი ერთმანეთის ნათესაეები, რადგან უცოდინარობის გამო არ მოხდეს ისეთი ცოდვის ჩადენა, როგორც სისხლის აღრევაა და რასაც მართლმადიდებელი ეკლესია მკაცრად კრძალავს. ამასთანავე, უნდა ასწავლიდეს ნათლიას, თუ რა უფლება-მოვალეობა აქვს. უნდა ასწავლიდეს მარხვას: რისგან უნდა შეიკავონ თავი და ა.შ. „უქმობა“ კი ნიშნავს ეკლესიის მიერ დადგენილი უქმე დღეების შენახვას, როდესაც ქრისტიანმა ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს გარკვეული ქმედებისაგან (მაგ., თეატრალურ სანახაობებზე წასვლისაგან და ასე შემდეგ).

თუ ქორეპისკოპოსი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა ამ მოვალეობას, იგი შერყენებული იქნება როგორც „დიდი სჯულისკანონით“, ასევე ადგილობრივ მოქმედი საეკლესიო სამართლის ძალითაც.

მე-13 მუხლის მიხედვით, რომელი დიდებულიც, თავადი ან აზნაური, თუნდაც გლეხი ეპისკოპოსს წინ აღუდგება და ქორეპისკოპოსს სამართლიანად „სარჯულო საქმეს“ არ მოაკითხვინებს, შერყენებულ უნდა იყოს. ამ მუხლში

<sup>63</sup> საეკლესიო კალენდარი, VI მხოფლიო კრება, მუხლი მე-2, 1978 წ. გვ 89

\* ტერმინის განმარტებას ვერ მოვაკლეთ

დაცული არის სასულიერო იერარქების ეპისკოპოსებისა და ქორეპისკოპოსების უფლებები, კანონი იცავს მათ საერო ხელისუფლებისა და სხვათა თაენებობისაგან. ამასთან, განამტკიცებს მათ კანონიერ უფლებას სჯულის საქმის აღსრულებაში.

ამავე საკითხს ეხება მე-14 მუხლიც: „ვინც „ეპისკოპოსს და მის ქორეპისკოპოსს წინააღმდეგობა ჰკადროს“ (ე.ი. ფიზიკური ან რაიმე ძალით) და სამართლიანად სარჯულო არ მოაკითხინოს, „პატრონმან, მეფემან, მისა სისხლად და შეცოდებად მოაკითხინოს“-ო. წინა მე-13 მუხლში უბრალო (ალბათ, სიტყვიერი) წინააღმდეგობისათვის კანონმდებელი დამნაშავეს შეაჩვენებს, მე-14 მუხლით კი, ვინც წინ აღუდგება (ფიზიკურად) ეპისკოპოსს ან ქორეპისკოპოსს სჯულის საქმის აღსრულებაში, ამისთანა დამნაშავეს მეფემ („პატრონმან“) თავის მიმართ ჩადენილ დანაშაულად უნდა მოჰკითხოს და თავისი „სისხლის“ ფასად უნდა გადაახდევინოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, „მეფის სისხლი“ ფაქტობრივად შეუფასებელია (ე.ი. მეფე ამ დანაშაულისათვის პირადად მოჰკითხავს პასუხს დამნაშავეს).

მე-19 მუხლი ეხება სამოსამართლო ხელისუფლებას. ამ მუხლის მიხედვით, ყველა ის მოსამართლე, რომელიც კაცის მსყიდველს და ეკლესიის მტეხელს, მართალს გაამტყუნებს და მტყუნანს გაამართლებს – შეჩვენებული იყოსო.

კანონმდებლები არ გამორიცხავდნენ ანგარებით და შემთხვევით მართლმსაჯულებაში დაშვებულ შეცდომებს, ამიტომ მათ გაუთვალისწინებიათ სხვა კანონების გამოცდილება. ამ საკითხს ეხება მხითარ-გომის 188-ე მუხლი, რომელიც ამის შესახებ აწესებს: „გაარიგეს მოციქულთა და დადგეს დამტკიცებით, თუ ვინ რიგისა მღვდლობისად და მოსამართლედ შეუძლიათ ქნა სამართლისა და სამართალი თუ გაამრუღონ და გაამსუბუქონ, პირფერობით ქნან და მართალი გაამტყუნონ და მტყუნანი გაამართლონ, იმათთანა მოსამართლე ჩამოაგდოს ხელმწიფემა სამართლის გარიგებიდან და გაიშორის კარისაგან,

იმიტომ, რომ ვერ შეიტყო წერილი ღვთაებისაგან, ხელით რიგი რომ მისცა მოსეს: ნუ გაამრუდებთ სამართალსა და ნუ აიღებთ ქრთამსა.”

„იმ სამართლისა მოსამართლისათა და კანონის ბრძანებითა ვისწავეთ და საყდროვანთ მოსამართლენი არიან და ზოგნი ზოგს პატივს დასდებენ სამართალშია. ასეა: ვინც მოვიდეს სამართალში, თუ თავადი, თუ გლეხი, ორნივე სწორად უნდა დააყენონ და ღვთის გზით სამართალი ქნან მათ შუა სწორე.

და ნუ აიღებენ ქრთამსა და ნუ გაამრუდებენ სამართალსა ჭეშმარიტსა, რომე ღმერთი მაგიერის მთხოვნელია და თავისას რიგის გამრუდებისა-მოსამართლესაგან. აბა, შეიტყუენით ყოველთა”.

აქედან გამომდინარე, მართებულად იქცევა კანონმდებელი, როცა ამ დანაშაულისათვის ისეთ მკაცრ სასჯელს „აწესებს, როგორცაა შეჩვენება”.

კათალიკოსთა სამართლის მე-20 მუხლი ეხება ეკლესიის საკუთრებას. იგი აღგენს: „რომელი „დიდი“ ან „მცირე“ საყდარსა და მონასტერს მამული, ან სოფელი, ან ვენახი, ან მიწა და „აგარი“ ჩამოართვას, ვინც გინდა „შეჩვენებული იყოს“-ო.

„ეკლესიის მიწათმფლობელობა ძირითადად შეწირული მამულისაგან შედგებოდა, რომელზედაც შემწირველი გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებდა (გაჭირვება, რაიმე საგანგებო შემთხვევა და სხვა). შემწირველნი ხშირად მეფე და მთავრები იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში მათ უკან მიჰქონდათ შეწირული ქონება, აუქმებდნენ და ზღუდავდნენ საგადასახლო შემოსავლებს. ასეთი შემთხვევები ხშირად იყო XVI-XVII საუკუნეებში.”

ამ მიზეზით შეუტანიათ სწორედ ეს მუხლი საკანონმდებლო ძეგლში<sup>64</sup>, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისი დასაყრდენი ჰქონდა „დიდი ხჯულისკანონის“ სახით, რომელიც ბრძანებს: „ჩვენი ნეტარი და ღირსი მამების მიერ ძველად კეთილად წამოწყებული, ესოდენ მშვენიერი და პატიოსანი საქმე – მონასტერთა

<sup>64</sup>გ. გაბიაშვილი, ე. გიუნაშვილი, მ. დოლიძე, დიდი ხჯულისკანონი (გამოსაცემად მოამზადეს), ტეცნიერება, 1975 წ., გვ. 20.

აშენება – ამჟამად ცუდად სრულდება. არის ზოგიერთი, ვინც თავის შეძენილ ქონებას და კარ-მიღამოს მონასტრის სახელს არქმევს და საღვთოდ გაწმენდილად თელის მათ, შემდეგ უფლისათვის შეწირულს მაინც თავისთვის მიიწერს და ვერაგულად, საღვთო კუთვნილების მხოლოდ სახელს არქმევს, რადგან არ რცხვენია, რომ შეწირვის შემდეგაც უწინდებურად აქვს მისი მოხვეჭისა და ქონების უფლება. ისინი არამც თუ თვითონ არ ნანობენ ღვთისათვის ერთხელ შეწირულზე თავისი უფლებების გაერცვლებას, არამედ სხვებისათვის მიცემასაც არ ერიდებიან. ამის გამო წმინდა კრებამ განსაზღვრა, რომ არაეის არ უნდა ჰქონდეს მონასტრის აშენების უფლება, თუ ამას არ გაიგებს და ნებას არ დართავს ეპისკოპოსი, ხოლო თუ ეპისკოპოსი თანახმა იქნება და ამის გაკეთებას ბრძანებს, უნდა წარმოთქვას პირველთა მიერ ღვთის მოყვარებით დაკანონებული დაწესებული ლოცვა. მაშინდა უნდა აშენდეს მონასტერი და ყველაფერი, რაც მისთვის არის შეწირული ქონება და ფული მონასტერთან ერთად ჩაწერილ უნდა იქნას „აღწერის წიგნში“, რომელიც ინახება საეპისკოპოსო ეკლესიის საცავში. შემწირველს და მაშენებელს ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე არა აქვს უფლება თავისი თავი ან თავის ნაცვლად სხვა ვინმე დაადგინოს მონასტრის წინამძღვრად. ვინაიდან თუკი ვინმეს საჩუქრად მისცემს რაიმეს და მისი მფლობელი აღარ შეუძლია იყოს, მით უმეტეს ველარ იქნება იგი იმის მფლობელი, რაც მიართვა და შესწირა ღმერთს“.

|

## §2. უზიარებლობა

მკვლევლობისათვის ადამიანი ორნაირად ისჯებოდა – ეკლესიისაგან და სახელმწიფოსაგან. საეკლესიო სამართალი ბრძანებს: „რომ ვინც ნებსით თვისით და განზრახვით კაცი მოკლას და მოვიდეს სინანულად და აღსარებად, ოც წელ უზიარებელ იყოს... ხოლო ოცი იგი წელი სინანულისა მისისა ესრეთ გაეწესოს: ოთხ წელ თანაარს შეტირება, – ე.ი. არს, რათა სდგეს გარეშე კართა ეკლესიისათა და შემაგალთა ეკლესიად მორწმუნეთა ევედრებოდეს ღოცვად მისთვის. და აღიარებდეს ცოდვასა მას თავისსა. ხოლო შემდგომად ოთხის მის წლისა მსმენელთა თანა დაეწესოს, რომელნი იგი სდგანან ეზოსა შინა ეკლესიასა წინაშე სამეფოთა... და ხუთი წელი მათ თანა სდგას. და შვიდ წელ ქუედავროდით მვედრებულთა თანა განვიდოდეს, რომელნი იგი დგანან შინაგან ბჭეთა ეკლესიისათა და ოდეს დიაკონმან ხმა ჰყოს: „კათაკმეველნო, განვედით“, განვიდენ ეკლესიით და ოთხ წელ დადგეს მორწმუნეთა თანა, ვიდრე აღსრულებამდე ჟამის წირვისა, გარნა არა ეზიარებოდეს, ხოლო ოდეს წესი ესე და კანონი აღასრულოს, მერმე ღირს იქმნას ზიარებისა“-ო<sup>65</sup>. აქ გათვალისწინებული უნდა გვექონდეს, რომ ასეთ შეჩვენებულ პიროვნებას მაშინდელი სახელმწიფო სამართლის ძალით, მოქალაქეობრივი უფლებებიც ჩამორთმეული ჰქონდა ხოლმე.

უნებლიედ კაცის მკვლევლობისათვის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა: „ათ წელ უზიარებელ იყოს... ხოლო ათი იგი წელი სინანულისა მისისა ესრეთ გაეწესოს: ორ წელ შესტიროდეს, სამ წელ თანადაეწესოს, ოთხი წელი ქუედავროდით აღასრულოს, ერთსა წელიწადსა მორწმუნეთა თანა დასდგეს აღსასრულამდე ჟამის წირვისა და მერმეცა შეიწყნარების ზიარებადო“.<sup>66</sup> მკვლევლობისათვის დაწესებული მაშინდელი საერო სამართლის მიერ დაწესებული სასჯელის სახეობა დამოკიდებული იყო: 1. მოკლულის

<sup>65</sup> საეკლესიო კალენდარი, VI მსოფლიო კრების ძეგლის წერა, 1978., გვ.129.

წოდებრივ, საგვარეულო და სამოხელეო ღირსებების მეტ-ნაკლებობაზე. 2. აგრეთვე თვით დანაშაულის მეტ-ნაკლებობაზეც.

15 წლით უზიარებლობა იყო დაწესებული ქმრიან ქალთან მრუშობა. 15 წელი იყო ასევე დაწესებული მამათმავლობისათვის. რაც შეეხება ქერიოთან მხვეალთან ან მეძავთან სქესობრივი კავშირი ამისათვის შვიდი წელი უზიარებლობა იყო გათვალისწინებული.

თხუთმეტი წელი უზიარებლობა იყო გათვალისწინებული ისეთი პირისათვის ვინც "ერთ-კერძო" დასთან "დაეცემა".

ასევე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა თუ ნათლია ნათლულთან იმრუშებდა ამისათვის სასჯელად ოცდახუთი წელი უზიარებლობა შეეფარდებოდა.

მძიმედ ითვლებოდა დედასთან და ასულსა თანა მრუშობა ამ შემთხვევაში კანონი ოცდაათი წელი უზიარებლობას ითვალისწინებდა.

კათალიკოსთა სამართლის მე-5 მუხლში ნათქვამია, „ვინც უბრალო კაცი – უდანაშაულო ან მგზავრი ან მცველი რაიმესი მოკლას ქურდობით ანუ გაქურდვის მიზნით, ასეთი დამნაშავე განიპატიოს“.

### §3. ბაპევება, ბანავეთა

საეკლესიო სასჯელი – განკვეთა, რომელიც გამომდინარეობდა საეკლესიო მცნებების დარღვევიდან, უნდა შემცირებულიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს სჯიდნენ არა ეკლესიის კანონებით, არამედ მაღალი წრის წარმომადგენელთა ინტერესების გამო. ძირითადად იმიტომ, რომ მოკვეთას ცვლიდნენ ღია სახალხო-საეკლესიო მონანიებით. უძველეს ეკლესიებში პირი, რომელიც არ ასრულებდა საეკლესიო მცნებებს, ირიცხებოდა ეკლესიიდან, როგორც ეკლესიისათვის უცხო. ქრისტიანული ეკლესიის გარეთ მას შეეძლო შეერთებოდა სხვა რელიგიურ საზოგადოებებს: ერეტიკოსებს, იუდეველებს, წარმართებს. ქრისტიანული იმპერატორების, განსაკუთრებით იმპერატორ თეოდოსის დროს, რომელმაც თავისი იმპერიის ფარგლებში წარმართობის კულტს წერტილი დაუსვა, წარმოუდგენლად მიაჩნდათ სხვა რელიგიური დაჯგუფებების არსებობა ქრისტიანული ეკლესიის გარდა, ხოლო მოკვეთილს ამ დაჯგუფებებში გაერთიანებისათვის სიკვდილით სჯიდნენ.

ამგვარად, თუ უძველესი ეკლესია მხოლოდ დამნაშავეს მოკვეთით იფარგლებოდა, დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდა გამოეყენებინათ სხვა საშუალებები, აერჩიათ შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე ესა თუ ის ქმედება. დამნაშავეს, რომელსაც არ შეეძლო და არც უნდოდა სხვა რელიგიურ გაერთიანებაში ყოფნა, რჩებოდა ქრისტეს რწმენის ერთგული და იხდიდა ეკლესიის მიერ მისჯილ სასჯელს.

დამნაშავეს მოკვეთის დროს დაცული უნდა ყოფილიყო კანონიკური სამართლის მიერ დადგენილი შემდეგი გარემოებები: ა) განკვეთისათვის საკმარისი იყო ისეთი ქმედებების ჩადენა, როგორებიცაა კერპთაყვანისმცემლობა, მკვლელობა, მრუშობა, ერესი, სხვადასხვა სახის კორუფცია. ეს ყოველივე უნდა ყოფილიყო არა საიდუმლო, არამედ გამოვლენილი და დამტკიცებული ფაქტი. ამასთან, მოციქულების მსგავსად, ეპისკოპოსიც არ უნდა აჩქარებულიყო და

ფრთხილად ყოფილიყო განაჩენის გამოტანის დროს. ცოდეილი აზრი, რომელიც არ გამოიხატებოდა დანაშაულებრივ ქმედებაში, არ იყო დასჯის საფუძველი.

მსოფლიოს პირველმა საეკლესიო კრებამ მოითხოვა გამოეკვეთა, ხომ არ ყოფილიყო ეპისკოპოსის მხრიდან დასჯისადმი ამბიციური დამოკიდებულება. ამ მიზნით, საეკლესიო კრებამ დაადგინა: ა) ყველა მხარის ეპისკოპოსები წელიწადში ორჯერ შეკრებილიყვნენ და ემსჯელათ ეპისკოპოსების მიერ გამოტანილ სასჯელებზე, დაედგინათ მათი მართებულება და თუ დაამტკიცებდნენ საწინააღმდეგოს, მაშინ იგი ხდებოდა განკვეთის ღირსი. ბ) მოკვეთა მოხდებოდა მას შემდეგ, როდესაც დანაშაული წინასწარ იქნებოდა გამოძიებული და დაეყრდნობოდა ქრისტესა და პავლე მოციქულის სიტყვებს. მათი გამონათქვამები ეკლესიამ სიტყვა სიტყვით გაიგო. ე.ი. დანაშავე მანამდე უნდა ყოფილიყო განკვეთილი ეკლესიიდან, ვიდრე არ შეიგნებდა თავის შეცდომას.

იმპერატორმა იუსტინიანემ ეს დადგენილებები აიყვანა სახელმწიფო კანონის რანგში. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში არამართებულად დასჯილი პიროვნება ბრუნდებოდა თემში, ხოლო მსაჯული, რომელმაც არასწორად გამოიტანა განაჩენი, თვითონ მოიკვეთებოდა თემიდან (ნოველა CXXIII).

აღმოსავლური მართლმმადიდებლური ეკლესიები იყენებდნენ იოანე მმარხველისა და ვასილი დიდის კანონთა სისტემების სინთეზს. შენაცვლებით ხან ერთის კანონებს იყენებდნენ, ხან მეორისას. ერთის გამოყენების დროს სრულ იგნორირებას უკეთებდნენ მეორეს. მიუხედავად იოანე მმარხველის სჯულისკანონის მკაცრად შეფასებისა, იერარქები მას იყენებდნენ ცალკეული პირების მიმართ და პრაქტიკაში ატარებდნენ ეპიტემიებს. ამას გარდა, სჯულისკანონი ერეტიკოსების პრივილეგიად იქცა. გარდა სახალხო-საეკლესიო მონანიებისა, რომელმაც იმპერატორ იუსტინიანეს დროს მიიღო სასჯელის მნიშვნელობა, პრაქტიკაში დაინერგა როგორც მეთოდი, რომელმაც შემდეგში

ღიდი გამოყენება პოვა როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთშიც. ეს იყო სამონასტრო აღკვეთა. CXXXIV ნოველის მე-10-11 თავებში განიხილება ქორწინების დამრღვევი და მრუშობაში მხილებულ ქალთა საკითხი. თუ ქორწინების დარღვევის მიზეზს სჯულისკანონი არ ითვალისწინებდა, ასეთი ქალი აღიკვეცებოდა მონასტერში სამუდამოდ, თუ მეუღლე ორი წლის მერე არ მონიდომებდა მის კვლავ დაბრუნებას. მეუღლის სტატუსით დამნაშავეები ჩვეულებრივ მონასტერში ცხოვრობდნენ, ცალკე მოწყობილ მოსანანიებელ დაწესებულებაში ან თვითონ მონასტერში, ოღონდ ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე ცოლს არ იბრუნებდა, მაშინ მას მონაზვნად აღკვეცდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც სამონასტრო აღკვეცასთან ერთად ხდებოდა ქონების კონფისკაციაც.

ჩვენამდე მოღწეულია ე.წ. „სანთლის ბეგრის განწესების წიგნი“ მაქსიმე ქუთათელისა, შედგენილი 1775 წლის 20 ივლისს, საბუთის მიხედვით ვინც კუთვნილ ბეგარას არ შეასრულებდა მას არც საყდარზე მიუშვებდნენ და ასეთებს ხუცესი არც მკვდარს დაუმარხავდა („ნურც მკვდარი დაუმარხოს მისმა ხუცესმა“) და გარდა ამისა ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე მათ „როგორც რიგი იყოს“ ისეთი რისხვით დასჯიდა.<sup>67</sup>

1768 წელს პატრიარქ მეფის ძე ანტონ I-სა და მეფე ირაკლი II-ის ხელმოწერით გამოქვეყნდა „მცნება მღუდელთათვის“, სადაც საეკლესიო სასჯელებიც არის დაწესებული<sup>68</sup>.

ეპისკოპოსი, რომელიც ქრისტიანულ რელიგიურ საიდუმლოებათა უცოდინარ მღვდელს აკურთხებდა, მაკურთხეველიცა და კურთხეულიც „ძლიერად იმხილებოდა“ („ძლიერად იმხილებოდა“). გარდა ამისა მღვდელს სამწყსო ჩამოერთმეოდა.

<sup>67</sup> ქართული სამართლის ძეგლები III ტომი 1970წ. გვ.904 ლკ.№356

<sup>68</sup> იხ იქვე საბ.№336. გვ.871-877

ზემოხსენებულ ძეგლში გვხვდება ასე თუ ისე განუსაზღვრელი სასჯელი ეპისკოპოსისაგან „დიდად განპატიება“ (§13).

ძეგლის მე-16 და მე-17 პარაგრაფებში ვკითხულობთ:

„ამასაც ესრეთ ვამცნებთ და განვარკმალებთ, მღუდელთა და ეპისკოპოსთა მოგახსენებთ, რომ განიხილვიდეთ: ნუმცა ვინ მღუდელი ანუ იკადრებს სასმლისა და საჭმლისა და გადაჭარბებასა და უძღებად სმასა და ჭამასა.“ (§16)

„უკუეთუ ვინმე ეს მცნება არ დაიმარხოს, ეპისკოპოსმან ამხილოს, და კულადაც არ შეიშინოს, განიკუეთოს, სამწყსოც ჩამოერთვას; ამისთვის, რამეთუ არა ჯერ-არს უძღებთა და მემთვრალეთა მღუდლობად“ (§17).

მართმადიდებელ სასულიერო პირს ყველგან და ყოველთვის ევალებოდა ზომიერების დაცვა. ზომიერება ითვლებოდა სასულიერო პირის სავალდებულო სათნოებად. ამიტომაც მღვდლებს ეკრძალებოდათ უძღებად ჭამა და სმა. ვინც ამას უგულებელყოფდა ის მღვდელი განიკვეთებოდა და მას სამწყსოც ჩამოერთმებოდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულატურაშიც ზოგჯერ ფიგურირებდა გამოთქმა „ჩვენი ზომიერება“.<sup>69</sup>

1768 წელს შედგენილ „მცნება მღვდელთათვის“ ვკითხულობთ:

„ამად ვაფრთხილებთ მღუდელთა და ვაკრძალვებთ: ნურაოდეს ნუ დაითრობიან, თორემ მღუდლობა ჩამოერთმევათ ჭეშმარიტად“ (§21). მღვდელს ღვინის სმა კი არ ეკრძალებოდა, არამედ დათრობა, ზომიერების დაკარგვა.

ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის 22-ე პარაგრაფის მიხედვით „რომელნიც ან მისანნი ან მწამველნი არიან, სიყვარულისა გინა სიძულვილის წამლის მოქმედნი ანუ მათნი მაძიებელნი და მიმყოლნი, გინა მექერეობისა გინა მელობიობისა მკითხველნი და მათნი მრწმუნებელნი, უნდა შეინანონ“.

<sup>69</sup> გ. ნადარეიშვილი „ზომიერება“ ჟურნალი „სამართალი“ №3-4, 1996, გვ.46-51. აგრეთვე გ. ნადარეიშვილი „ქართული საკანონმდებლო ძეგლი“ გაზეთი „მედიცინა“ 14 იანვარი 2001წ. გვ14

დავით ბატონიშვილის საგანქორწინებო საქმიდანაც ჩანს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი საქართველოში სწამდათ, რომ შეიძლებოდა სიყვარულის წამლის დამზადება. როგორც ჩანს მკითხაობდნენ ქერისა და ლობიოს მესხეობით. მართმადიდებელი ეკლესია არ ცნობდა მკითხაობას და ებრძოდა მას. ცრუმორწმუნეობას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია წეს-ჩვეულებასა და კანონზე. ამერიკელ ინდიელთა ერთ ტომს ეგონა, რომ ტყუპი ბავშვების დედას იმიტომ შეეძინა ტყუპები, რომ მან ქმარს უღალატა და ურთიერთობა გააბა საყვარელთან.

ხსენებული ძეგლის მიხედვით (§23) ოცდამეორე პარაგრაფში ჩამოთვლილ დანაშაულში ბრალდებულები თუ არ მოინანიებდნენ დანაშაულს დაისჯებოდნენ მღვდელის დაკავებით („მღვდელს ნულარც მისცემენ“), ეკლესიაში არ შეშვებით, საფლავის დაკავებით („ნურც საფლავს აღირსებენ“).

სასულიერო ხასიათის სასჯელით დასჯა საკმარისად არ მიაჩნდათ და ცოდვილებს მერმე „მათის სიმაღლის მეფის სასმსჯავროში“ მოიყვანდნენ და აქაც მათ საერო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ელოდათ: „ეგონებათ, რომ მათის კეთილმორწმუნეობას მსჯავრმა სიკვდილადცა დასაჯოს, რომ მათზედ არს სამართალი ესე მიპყრობილი“.

დაისჯებოდნენ ისინიც, ვინც ცოდვილ-დამნაშავეთა „შემწყნარებელნი“ იქნებოდნენ: „ისინი ?ორციელად ჯარიმით განიპატიებებიან და სულიერად მღვდელი არ მიეცემათ“.

ანალოგიურად დაისჯებოდნენ ისინი, რომლებიც ..... „ხეთა და ძელთა, გინა სადმე ნიშთა და ძეგლთა, და ადგილთა რათმე უეკლესითა თაყვანი-სცემენ, მათაც ასე ეს სასჯელი მიეცემათ, ვითარ-იგი მისთანა და მწამლველთა“ (§24).

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ აქ იხმარება ტერმინი „სასჯელი“, რომელიც აქ უკვე მეტ-ნაკლებად, დამკვიდრებული ჩანს. წინათ

სასჯელის გაგებით “სატანჯველი”, “ტანჯვა” და ა.შ. იხმარებოდა. თუმცა სასჯელის გვერდით “პატივი” და “განაპატივება” კვლავ ჩანს.

ეპისკოპოსს ვეალებოდა სადაც ხე ან ძელი ან ნიში და ძეგლნი “პოვოს” (იგულისხმება ისეთები რომელთაც წარმართული წესით თაყვანს სცემდნენ) ისინი “ძირითურთ” აღმოფხვარს და თუ მათი დაწვა შესაძლებელია დაწვას.

კვირადღით დასვენება სავალდებულოდ ითვლებოდა ქრისტიანთათვის. უნდა დაესვენათ მუშა პირუტყვისაც. “კვირიაკესა სრულად ყოველი უქმობა ჯერ-არს”. ამ დღეს ხალხი დადიოდა ეკლესიაში და ლოცულობდა.

“ამათი წესი და რიგი მღუდელს ეპისკოპოსისაგან განეწესოს და მღუდელმა თავის სამწყვსოს განუწესოს და შეატყობინოს, რომ დღეს უქმი არისო”(§27).

“თუ ვინმე ურჩ ექმნას და არ იუქმოს, მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან; იმ კაცს ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ გლეხი იყოს, და თუ მაღალი ვინმე იყოს, მათს სიმაღლეს მეფეს მოახსენოს და იმან საჯოს, ვითა წეს არს” (§28).

საერო ხელისუფლება გვერდით ედგა და ეხმარებოდა სასულიეროს. სავარაუდოა, რომ ზემოთ ნახსენებ სასჯელს საერო ხელისუფლება უფარდებდა უქმე დღის გამტეხს, იმას, ვინც არ იუქმებდა კვირას.

იკრძალებოდა პირუტყვის “ბოროტი სიტყვით შეგინება”. მღვდელი და ეპისკოპოსი აფრთხილებდა და “შეაშინებდა” ასეთი საქციელის ჩამდენს. თუ პირუტყვის ბოროტი სიტყვით შემგინებელი თავის საქციელს არ დაიშლიდა, მას სათანადოდ დასჯიდნენ. ახალგაზრდას (“თუ ბიჭი იყოს”) ორმოც ჯოხს დაჰკრავენ, ხოლო კაცს – მცირედ დაარბევდნენ.

აკრძალული იყო ეკლესიის მამულის გაყიდვა: “...ასე რომ ერთის დღის მიწა იყოს, გინა საბოსტნე ანუ მცირე სახლის ალაგი, არა ?ელეწიფების მიცემად ვისდამე, გინა მისყიდვად” (§30).

მეფისა და პატრიარქის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა საეკლესიო ქონების გასხვისება.

ჩვენამდე მოაღწია 1777 წელს მაქსიმე კათალიკოზის მიერ შედგენილმა “მცნებანი მაქსიმე კათალიკოზისა მამა იობისა და და წინამძღვარ ბესარიონისადმი” დოკუმენტი №365.<sup>70</sup>

იგი შედგენილია დასავლეთ საქართველოში აფხაზ-იმერთა კათალიკოზის მაქსიმეს მიერ. ძეგლი ასე თუ ისე წააგავს 1768 წელს კათალიკოზ ანტონ I-სა და ერეკლე II-ის მიერ გამოცემულ “მცნებას მღუდელთათვის”.

1777 წელს შედგენილი დოკუმენტი ძირითადად მიმართულია მკითხავთა წინააღმდეგ. ვინც მკითხავენს შეიწყნარებს შერვენება ემუქრება.

„და ვინცა მკითხავი სახლად მიიყვანოს და აკითხვინოს, მკითხავი იგი და სახლად მიმყვანებელიცა და შემწყნარებელი მისი, ორნივე ერთბამად განკვეთეთ და განაყენეთ ყოვლისავე, ქრისტიანეთა წესისაგან, ზიარებისა და ეკლესიად მისვლისაგან.

და ნურც მკუდარს დამარხვენ მკითხავს, არამედ ვითარცა ძალღიანი განცოფებული, ეგრეთ შერაცხონ”. (§9).

მკითხავებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ძველი აღთქმის წიგნებიდანაცაა ცნობილი. ის მკაცრად იყო აკრძალული მოსეს კანონებითაც<sup>71</sup>. იკრძალებოდა მკითხაობა ბიბლიის სხვა წიგნებითაც (ლევიტელთა XIX, 26, რიცხვთა XXIII, 23 და ა.შ.<sup>72</sup>

ჩვენამდე მოღწეულია პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონი, შედგენილი 1083 წელს. მონასტერი მდებარეობდა ბულგარეთში. მისი წესდება შედგენილი იყო მისი დამაარსებლის\_ბიზანტიის სახელმწიფოს დიდი მოხელის გრიგოლ ბაკურიანის ძის თაოსნობით მაშინდელი საუკეთესო სამონასტრო წესდებების მხედველობაში მიღებით. ცხადია, ნებისმიერ მონასტერში მოსალოდნელი იყო ტიპიკონით გათვალისწინებული სამონასტრო წესრიგის

<sup>70</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, 914-915

<sup>71</sup> იხ. მეორე ხეჯლისა XVIII, 10-11

<sup>72</sup> დაწერილებით ამის შესახებ “Библиейская энциклопедия” Издание Свято-Троице - Сергиевой Лавры, 1990.

დარღვევა, რომელზედაც მონასტრის ხელმძღვანელობას ტიპიკონით გათვალისწინებული სასჯელი უნდა გამოეყენებინა.

ზ.ა. ტიპიკონის მეოთხე თავის მეცამეტე პარაგრაფის მიხედვით გათვალისწინებულია დამნაშავე ბერის მონასტრიდან გაძევება: “აწ უკუ რომელი წესსა ამას ზედა არა დაადგრეს, არამედ უმეტესსა რასმე ჰელ-ჰყოფდეს და ზეციერსა მას მორჩილებასა ზაკულებით აღაშფოთებდეს, უკუეთუ არა ინებოს განმართებათ თავისა და მოსვლად სიმართლესა, ეგვეითარი იგი, ვითარცა ჰუებული შეილებისაგან, უცხოდ შეირაცხენ ძმობისა ამისაგან და იჯმენინ და განვარდინ საღმრთო სა ამისაგან სამკვიდრებელისა”.

ზემოთ მოტანილი ადგილი აკაკი შანიძეს ასე აქვს თარგმნილი:

«Тот, кто не будет придерживаться этих правил, а будет домогаться чего-нибудь большего и, коварно возмущатся небесное послушание, не пожелает исправиться и прийти к правде, то таковой, как пищеный сымовни (правде), да будет сочтен чуждым этому братству и пусть удалится и извергнется из сего божего обиталища»<sup>73</sup>.

სამონასტრო წესდების მიხედვით წესის დამრღვევს ეძლეოდა საშუალება გამოსწორებისა, მაგრამ თუ ის თავის ცოდვას არ მონანიებდა და არ ინებებდა “განმართებას” და “მოსვლად სიმართლესა,” მონასტრიდან იქნება მოშორებული. მონასტრის ძმობა სულ 51 სულისაგან შედგება. აქედან ერთი უნდა ყოფილიყო წინამძღვარი.

ტიპიკონის მიხედვით იკრძალებოდა ძმათაგანის მონასტრიდან განდევნა დასმენის, შურისა და ბოროტი განზრახვის შედეგად. ყველაფერი კარგად უნდა გამოემძიებინათ. (თავი მეშვიდე, §1-3).

პეტრიწონის მონასტრის წესდების მიხედვით უზუცესს ევალებოდა ინდივიდუალურად მიდგომოდა მონასტრის ძმობის წევრებს, ზოგიერთს ის შერისხავდა (“შერისხვა ჯერ არს”), ზოგიერთის “შეჩულება” მოუხდებოდა (აქ

ეპიტემიის გამოყენება უნდა იგულისხმებოდეს), ზოგსაც “წყლულეს” განუკურნავენ “მხილებისა მახვილით”. “და ყოველსავე საზომისაებრ ჯერ-არს ქმნად და ჟამსა ჯეროვანსა”. (თავი XIV §3).

გამოიყენებოდა ძმათაგანის ფიზიკური შრომის მეშვეობით გამოსწორებაც.

„და რომელსავე საქმესა და შრომასა შორციელსა ჯერ-არს დადგინებას, რომელნი-იგი გონებითა დაუმტკიცებულ და უღმობელ იყვნენ, რამთა ნეფსით და უნებლათ შრომითა მიეახლნენ ღმერთსა. რამეთუ სული შრომის მოყუარე მახლობელ არს ღმერთისა და ადრე მიიღებს კურნებას” (იქვე §4).

მონასტრის ტერიტორიიდან გარეთ გასულა შეიძლებოდა მხოლოდ წინამძღვრის ნებართვით და თუ ვინმე ამ მოთხოვნას დაარღვევდა, მას, რა თქმა უნდა, ასეთი ქცევა წესის დარღვევად ჩაეთვლებოდა თუ ვინმე ძმათაგანი “ერთი გზის გინა ორ გზის და სამ გზისცა შერჩულებისა და განკანონებისა განუმართებულად ეგოს თვისავე ზედა თავფედობასა, ვითარცა ასო დამპალი განიკუეთენ და განეშორენ სამწყოსა მისგან საღმრთოსა” (XV, §6).

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის XIV თავის §3 აკადემიკოს აკაკი შანიძეს ასე აქვს თარგმნილი რუსულად:

«Спаршему надлежит гневаться над одними, налагать епитимию на других, а третьим рассекать язву мечом облучения. И все это нужно делать в меру и в подходящее время».

თარგმანი მართებულია. „შერჩულვაში“ აქ იგულისხმება საეკლესიო სასჯელის გამოყენება, ეპიტემია.

ტიპიკონის XIV §4 ა. შანიძე ასე თარგმნის:

«Некоторых надо ставить на дело и физический труд, (именно тех), которые не жестоки, чтобы они, волей и неволей, приблизились к Богу и рано получает исцеление».

თარგმანში სწორედ არის გამოყენებული ღედნის აზრი.

<sup>71</sup> აკ შანიძე, „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ (ტიპიკონის ქართული რედაქცია).

პაეღე მოციქული თვითონაც არ ღრიდებოდა ფიზიკურ შრომას – კარეებს ამზადებდა. მასვე ეკუთვნის მოწოდება შრომისაკენ. ფიზიკურ შრომას ქრისტიანული რელიგია არ არ უყურებდა როგორც რაღაც მონებისათვის განკუთვნილ მოსაქმეობის სახეობას. შრომა ადამიანს აახლოებდა ღმერთთან.

თუ ვინმე პეტრიწონის ქართველთა მონასტერში ანგარებით დანაშაულს ჩაიდენდა და მონასტრის ქონებას მითვისებდა და ამით ტიპიკონის წესდებას ხელყოფდა, ასეთი უკანონო საქციელის ჩამდენი სათანადო დაისჯებოდა და გარდა ამისა მას აანაზღაურებინებდნენ მიყენებულ ზიანს. ცხადია, დამნაშავე მონასტრიდანაც იქნებოდა გაძევებული (თავი XXXVI, §5).

ტიპიკონის ქართულ ტექსტში მითითებულია, რომ თუ ვინმე წინამძღვართაგანი მონასტრისა ან ვინმე ძმათაგანი “გინა პრასტინია მისია” ან “სა მართა მისთა” “შეურაცხ-ყოფად ეცადოს”, “რომელმან ეგევითარი იგი უსამართლობა ყოფად იკადროს და ქმნას “ჯეროვნად განიწუართოს”. (თავი XXXVI, §5).

რას უნდა ნიშნავდეს “ჯეროვნად განიწუართოს”? ტიპიკონიდან ამის დადგენა შეუძლებელია. ზოლო იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრების მიხედვით წურინა ნიშნავდა ფიზიკურ სასჯელს, დამნაშავე ბერის ღვედით ცემას. ეს გარემოება აღნიშნული აქვს აკაკი შანიძეს ტიპიკონის ლექსიკონში.

XIII საუკუნის ძეგლში „ვაჰანის ქებათა განგებაში“, ვაჰანის მონასტრის წესდებაში მითითებულია, რომ ძმათაგანი „აღმძრველი და აღმამყოთებელი საზოგად სა მყუდროებისა ყოვლად-ყოვლითური მოიკუთვნ ვითარცა დამპალი და გარე განითხიენ“(4,3).

მონასტრიდან გაძევება, მონასტრიდან დამნაშავეის მოკვეთა იყო საკმაოდ მძიმე სასჯელი ბერისათვის.

“თუ ვინმე “ძმათაგანი” იკადრებდა გინებად ანუ შეურაცხყოფად რაოდენ უმცირესთაგანისა ვისმე ძმათაგანისა და ლაღვად და ამბოხებად, ეგვეთირი იგი მყის მოსპნენ და განიდევნენ მონასტრით.

ხოლო ნუ ვინ გამოჩნდების მეშფოთისა და მომთრეალისა ასაბიად, რა თა არა ითქუას მისთვისცა: “იხილი თუ ძპარაუი, თანაურბიოდე მას” (ფსალმ. 49,18) და შემდგომი. და თუ ჰელყოს ვინ ასაბიობად ესევეითარსა, იგივე პატიჟი და სომინოს მანცა, რამეთუ არს თავჰედი და დაუწყნარებელი.

ხოლო განიხილვოდედ ესე მწყემრისაგან; უკუეთუ ორთა ვე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყოს მეშფოტება, სწორედ იყავნ ორთავე კანონცა, გინა პატიჟი, რამეთუ “მონისა ღმრთისა არა ჯერ-არსო ლაღვა ,” თქმულ-არს.

და რა თურთით მეშფოთესა და მაგინებულსა და მომთრეალესა არა ადგილი და საყოფელი მონარტერსა ამას შინა”.

ზემოთ მოტანილ ტექსტში ლაღვა ჩხუბს ნიშნავს, ასაბია თანამონაწილეს. ძველი ქართული ენის დონეზე ლაღვას მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა და ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო ჩხუბი. “უკუეთუ ილაღებიდან ორნი კაცნი და სცეს მოყუასმან მოყუასსა მჯიღითა ანუ ქეთა იკითხება „გამოხვლას’ ერთ ერთ ხელნაწერში.

მოციქულ პავლეს მეორე წერილში ტიმოთეს მიმართ ვკითხულობთ: „მონას ღეთისას კი არა მარტებს ჩხუბი, არამედ წყნარი უნდა იყოს ყველას მიმართ“.... (III,24).

პავლე მოციქულის ხსენებული ეპისტოლეს ეს ადგილი აქვს მხედველობაში „ვაჰანის ქვაბთა განგებას, როდესაც აღნიშნავს „მონისა ღეთისა არა ჯერ არსო ლაღვა“.

როგორც პეტრიწონის მონასტრის წესდების მიხედვით, ასევე ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით სამონასტრო ძმობის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება თუნდაც ერთი ღამე მონასტრის გარეთ გაეტარებინა, თუ ამის შესახებ ნებართვა არ ექნებოდა მონასტრის წინამძღვრისაგან

„ხოლო უკუეთუ ვინ გარდარეულებითა ამპარტაენებისა თა ღამეცა ერთი გამოუთხოვლად დაყოს გარეშე მონასტრისა, განი ადოს მონასტრით ვითარცა თავ ედი და შეურაცხის მყოფელი თაძისისა ცხორებისა“ (V, §3).

მამათა მონასტერში აკრძალული იყო ქალების ყოფნა. „ნუცა ვისსა სენაკსა შევალს დედაკაცი, დედა ღა თუ იყოს მისი. ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხუებლ, არცა ჩუენისა სახლისაგან ჯერ-არს შესლვა მონასტერსა შინა (V, §4)

სამონასტრო ტიპიკონების (წესდებების) შემდგენლებს ძალიან ეშინოდათ მამათა მონასტრებში გარყვნილებისა, ამიტომ კრძალავდნენ მონასტერში ქალების შემოყვანას. გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ მონასტერში მცხოვრები ბერის დედისათვის. თვით მონასტრის დამაარსებელ მხარგრძელთა სახლის (ოჯახის) მღვდრობითი სქესის წევრებსაც ეკრძალებოდათ მონასტერში უმიზეზოდ შესვლა. გიორგი მერჩულეს მიხედვით თვით სახელგანთქმული სასულიერო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი თავის მოხუცებულ დედას მამათა მონასტრის გარეთ შეხვდა (თაეიXXIX), თუმცა დედა-შვილის შეხვედრა ტიპიკონით აკრძალული არ იყო მონასტერში<sup>74</sup>. ასევე აკრძალული იყო მონასტერში ისეთი უწვერული ახალგაზრდა ყმაწვილების შემოყვანა, რომლებიც სამონასტრო ძმობას არ შეადგენდნენ. მონასტრების წესდებათა შემდგენლები გამაფრთხილებელ ზომებს ღებულობდნენ იმისათვის, რომ მონასტერში არ გავრცელებულიყო „სოდომური ცოდვა“. ამ გამოთქმაში უნდა იგულისხმებოდეს როგორც მამათმავლობა ასევე პირუტყვმავლობაც. ითვლებოდა, რომ ასეთი ცოდვა სიკვდილით დასჯასაც კი იმსახურებდა. ბიზანტიამი “სოდომური ცოდვისათვის” სიკვდილითაც კი სჯიდნენ დამნაშავეებს. თამარის მეუღლეს-გიორგი რუსს, რომელიც თამარ მეფესთან განაქორწინეს, ბრალად “სოდომური

<sup>74</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. I. თბილისი, 1946, თხუ გამოცემლობა. შედგენილი სოლ ყუბანიეშვილის მიერ. გვ 122, გვ 143.

ცოდვაც” ედებოდა<sup>75</sup>. ცხადია ასეთი „ცოდვა“ განქორწინებისათვის საკმარის საფუძვლად ითვლებოდა.

„სოლომური ცოდვის“ შესახებ საკმაოდ ვრცელი დადგენილებაა მოცემული რუის-ურბნისის ძეგლისწერაში<sup>76</sup>.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ავტორთა აზრით, სოლომურმა ცოდვამ ასურასტანელთა უმრავლესობამ „ტყვედ წარუქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოჰფხურა ქუეყანით“ მათი სახსენებელი. სოლომურმა ცოდვამეუ დაამხო და დაამდაბლა სომხეთი „მეფობითურთ და მთავრობით მათით“ და „აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთამ ვერავენ პოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებამს?“

სოლომური ცოდვის შიშით დიდი სიმკაცრე სუფევდა საერთოდ მონასტრებში და მათ შორის ქართულ მონასტრებშიაც.

საქართველოში მონასტრებიდან დამნაშავე ან გადაცდენილი ბერების გაძევება არ უნდა ყოფილიყო იშვიათი. ყოველ შემთხვევაში გიორგი მერჩულე მოგვითხრობს (თაეი LXIII) რომ ბერი ერთი ოპიზელი იტყოდა „ეთარმედ სიჭაბუკესა ჩემსა სამგზის ოპიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისაგან უკეთურებისაგან სლვათა ჩემთამსაო“.

როგორც ჩანს, ოპიზის მონასტრიდან ერთი ბერი სამგზის ყოფილა გამოძევებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველი გამოძევების შემდეგ ბერი თავის საქციელს ინანიებდა. მას მონასტერში ისევ, ხელმეორედ ღებულობდნენ. ის ასევე არღვევდა მონასტრის წესდებას და ამჯერადაც მას მონასტერს მოაშორებდნენ. როგორც ჩანს, ბერის სიჭაბუკეს ღებულობდნენ მხედველობაში და გადაცდომას შეუნდობდნენ. მონასტერს საკუთარი მეურნეობა ჰქონდა და ახალგაზრდბ ჯანღონით სავსე ბერები სჭირდებოდა, ამიტომაც გამოსწორებულ ბერს, კვლავ აბრუნებდნენ მონასტერში.

<sup>75</sup> გ. ნადარეიშვილი, „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“ 1996, გვ 205-206

<sup>76</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ 121-123

ათონის ქართველთა მონასტერში სამასამდე ბერი შეადგენდა საძმოს. სხვა ქართულ მონასტრებში, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, „თუ ამაზე მეტი არა, დაახლოებით ამდენი მონაზონი მაინც იქნებოდა საქართველოში მყოფ ღიდ მონასტრებშიაც, – მაგ. შიომღვიმის ლავრაში, დავით გარეჯელის უღაბნოსა და სხვაგანაც. უეჭველია ბერთა რიცხვი ასობით უნდა ვიგულისხმოთ თვით ისეთ პატარა მონასტერშიცკი, როგორიც მე-XIII ს. დამდეგს დაარსებული ვაჰანის მონასტერი იყო, მისი წესდების თანახმად 51 ბერი და 10 მსახური უნდა ყოფილიყო თავითგანვე ე.ი. სულ 61 შესანახი სული ყოფილა...“<sup>77</sup> ცხადია, ბერების ასეთ ღიდ რაოდენობაში წესდების დამრღვევნიც აღმოჩნდნენ და მათი სათანადოდ დასჯა ტიპიკონშიც იყო გათვალისწინებული.

გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების შესახებ ჩანს, რომ მონასტერში იყვნენ მონასტრის წესდების შესრულებისათვის მეთვალყურენი. ათონის ქართველთა მონასტერში წესიერების დაცვისათვის მეთვალყურეობა ევალებოდათ „ეპიტირიტოს“-ებს. ისინი ორნი იყვნენ. მათ ქართულად „დამხედვარი“ ერქვათ. ესენი იყვნენ „კაცი საღმრთონი“. ერთი მათგანი იყო „უხუცესი“ ხოლო მეორე „უმრწმესი“.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამნიარად ირკვევა, რომ ორ დამხედვართაგან ერთი „უხუცესი დამხედვარი“ ანუ „ეპიტირიტოსი“ იყო, მეორე მის თანაშემწედ ითვლებოდა და „უმრწმესი დამხედვარი“ ეწოდებოდა. დამხედვართა უფლება მოვალეობა საპოლიციო სფეროს ეხებოდა. ისინი ვალდებული იყვნენ ბერ-მონაზონთა ყოფაქცევისათვის თვალყური ეღვენებინათ და დამნაშავეები სამონასტრო წესების თანახმად დაესაჯათ.“<sup>78</sup>

ბერს ლოცვაზე არ უნდა დაეგვიანა და არც ლოცვა უნდა გაეცდინა „უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა, განკანონის ჯეროვნად“, – ნათქვამია გიორგი მთაწმინდელის ზ.ა. თხზულებაში.

<sup>77</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VII, თბილისი, 1984, გვ.36

<sup>78</sup> იქვე გვ 45

წესრიგის დამცველები ლოცვის დროს ეკლესიის კარებთან იდგნენ და ბერებს უმიზეზოდ გარეთ არ უშვებდნენ და თუ ვინმე აუცილებელი საჭიროებისათვის ეკლესიაში ლოცვას მიატოვებდა, მალევე უკან უნდა მობრუნებულიყო.

ახლა განვიხილოთ „კათალიკოზთა სამართალში“ შეტანილი ის მუხლები, რომლებიც კონკრეტულად ეკლესიის მსახურებს და მათ უფლება-მოვალეობებს ეხება. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ამ კანონების უმთავრესი წყარო „დიდი სჯულისკანონი“, კათალიკოსთა სამართლის იმ თავს, რომელსაც ეს მუხლები შეადგენენ (მუხლი: მე-7 – მე-15.) წინ უძღვის ასეთი სათაური: „ეპისკოპოსის საქმე ესე გაგვიჩინა-ო“. ე.ი. ამ მუხლებში ეპისკოპოსებისა და სხვა სასულიერო პირთა უფლება-მოვალეობებია დადგენილი.

მაგრამ აქ აუცილებელი იყო ზომიერების დაცვა, რომელიც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მორწმუნეთა სასურველ თვისებად გამოაცხადა და ზომიერების ასეთმა ამაღლებამ კარგი სამსახური გაუწია კაცობრიობას.

ქრისტიანული ეკლესია სასულიერო პირებისაგან გონივრულ ზომიერებას მოითხოვდა<sup>79</sup>. არც თეთრი და არც შავი სამღვდელეობების წარმომადგენელს არ ეკრძალებოდა, ვთქვათ, ღვინის სმა, მაგრამ აქ მას უნდა გამოეჩინა ზომიერება. დაუშვებელი იყო სასულიერო პირის სიმთვრალე. თვით მონასტერშიც კი ბერს ღვინო ეძლეოდა, მაგრამ, ცხადია, შეზღუდულად და ზომის დაცვით. მშვენივრად ესმოდათ, რომ მცირე ოდენობით, ე. ი. ზომიერად ღვინო წამალია, ხოლო უზომოდ – დასათრობი დოზით – საწამლაეი. “მცირე სჯულისკანონი”, რომელიც ფეოდალურ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სამართლის ძეგლი იყო, თეთრი სამღვდელეობის მისამართით აწესებდა შემდეგი ქცევის წესს:

„და შემდგომა ჭამისწირვისა ვამცნებთ ხუცესთა და დიაკონთა, რათა ეკრძაღნენ მეტისა ღვინისა სუმად, რამეთუ აროდეს ჯერ-არს მღვდელთა და დიაკონთა მეღვინეობაი. ხოლო უმეტესად დღესა მას, რომელსაც ჭამი ეწიროს,

<sup>79</sup> გ ნადარეიშვილი, ზომიერება, ჟურნალი სამართალი, №3-4, 1996 წ. გვ. 46.

ყოვლადვემცა ნუ იკადრებენ მეტისა ღვინისა სუმად, რაითა არა საფრთხესა მტერისასა შთაყარდნენ, არამედ ყოვლით კერძო კრძალულობითცა იქცევიან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი უბიწოდ და უბრალოდ, რათა სათნო ეყვნენ მეუფესა და უფალსა თვისსა”.

მოციქულთა კანონების მიხედვით, რომელიც „დიდ სჯულისკანონში“ იყო მოთავსებული, დადგენილი იყო, რომ ეპისკოპოსი, ხუცესი ან დიაკვანი თუ დათურებოდა, საეკლესიო სასჯელით დაისჯებოდა, გარკვეული დროით აუკრძალავდნენ ღვთისმსახურების აღსრულებას ან საერთოდ „განკვეთდნენ“ ეკლესიიდან.

სასულიერო პირის სიმთვრალე ზომიერების დარღვევად ითვლებოდა. მღვდელს არ ეკრძალებოდა საქორწინო ღვინში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მისგან მოითხოვდნენ მკაცრად განსაზღვრულ ზომიერებას. დადგენილი წესის თანახმად, მღვდელი ქორწილს, საქორწინო ღვინს თავიდან ბოლომდე არ უნდა დასწრებოდა. ჩვეულებრივ, მას მანამდე ჰქონდა საქორწინო სუფრაზე დასწრების უფლება, სანამ ის სასულიერო პირისათვის დადგენილი ზომიერების ფარგლებს არ გასცილდებოდა. საქორწინო ღვინს მღვდელი დიდხანს არ უნდა შერჩენოდა. ის მას მოკლე ხანში ტოვებდა და, ფაქტობრივად, მისი წასვლის შემდეგ იწყებოდა შედარებით შეუზღუდველი ღვინი და ღრეობა.

„მემთვრალეობას“ სასტიკად გმობდა, როგორც ეკლესია, ასევე საზოგადოებრივი აზრიც. „მოსუმურობისათვის“ დამნაშავე ბერს მონასტრიდან განდევნიდნენ, მოკვეთდნენ. იოანე ბოლნელი ამკარად ქადაგებდა სიმთვრალის წინააღმდეგ.

ქართულს მონასტრის წესდებაში ზომიერება და წესიერება უმაღლეს სათნოებად იყო მიჩნეული. „ვახანის ქუაბთა“ განგებაში – „სამონასტრო წესდებაში“ საგანგებოდ იყო დაგმობილი როგორც სიმთვრალე, ასევე ზედმეტი ჭამა-ნაყროვნება, მუცელღმერთობა. სათანადოდ იყო დამოწმებული პაველ მოციქულის წერილი (ეპისტოლე) ეფესელთა მიმართ: „ნუ დათურები ღვინით,

რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით” (V,18). იმავე პავლე მოციქულის სხვა ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (1, 6, 10) პირდაპირ იყო მითითებული, რომ „ვერც მპარაენი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი” ... ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველს. მათთვის ძირითადად წესდების სერიოზული დარღვევისათვის თანამდებობიდან გადაყენება ან მონასტრიდან განდევნა იყო.

ზომიერება იდეალური სათნოების დონემდე აღზევდა ქრისტიანული იდეოლოგიის წიაღში. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულატურაში, როგორც ეს შუა საუკუნეების ბიზანტიური დიპლომატიკის მასალებიდანაც ჩანს, „მისი ზომიერებაც” შედიოდა.

1768 წელს მეფე ერეკლე მეორისა და პატრიარქ ანტონის (პირველი) ხელმოწერით გამოცემული კანონით, რომელსაც „ცნებაი მღვდელთათვის” ერქვა, მღვდლებს ეკრძალებოდათ „სასმლისა და საჭმლის დაჭარბება”, „უძღები სმა და ჭამა”. „უკეთუ ვინმე ეს მცნება არ დაიმარხოს, ეპისკოპოსმან ამხილოს, და კუალადცა არ შეისმინოს, განიკუეთოს, სამწყოსოც ჩამოერთვას; ამისათვის, რამეთუ ჯერ-არას უძღებთა და მემთერაღეთა მღუდელობად“, „ამად ვაფრთხილებთ მღუდელთა და ვაკრძალებთ: ნურაოდეს ნუ დაითრობიან, თორემ მღუდელობა ჩამოერთვათ ჭეშმარიტად“.

მაშასადამე, არსებობდა უზენაესი საკანონმდებლო მოთხოვნა – განაწესი, რომლის მიხედვითაც ზომიერება სასულიერო პირთა განსაკუთრებულ სათნოებად იყო მიჩნეული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ არცთუ იშვიათად, ავტოკეფალიური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქები თავს იწონებდნენ ზომიერებით, როგორც სპეციფიკური სასულიერო სათნოებით.

ცხადია, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცალკეული სასულიერო პირი უღირსად იქცეოდა, ანგარებას უხდიდა ხარკს და ზომიერებას ღალატობდა. ასეთ შემთხვევაში მას მიუთითებდნენ გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო დანაშაულისათვის სჯიდნენ. ჩვენამდე მოაღწია 1218 წლით დათარიღებულმა ეპიფანე კათალიკოსის “დაწერილმა” ანელ ხუცესთა სარგოს

განწესების შესახებ. კათალიკოსმა დაგმო პრაქტიკა, როდესაც მღვდლები გვირგვინთა კურთხევისათვის დაქორწინებულებს ას დრახმას ახდევინებდნენ ... და გვირგვინის კურთხევისათვის ხუცესთათვის დადგენილ იქნა გაცილებით ნაკლები და ზომიერი გამოსაღები.

საეკლესიო სასამართლოს ნორმების თანახმად, ის სასულიერო პირი, რომელიც ღვთისმსახურებას მთვრალი ასრულებდა, ან ეკლესიაში ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმეს, კარგავდა უფლებას, ყოფილიყო საეკლესიო თანამდებობის პირი.

ზომიერება და თავშეკავება ევალეობდა სამღვდლო პირს აუცილებელი მოგერიების ვითარებაშიც. რუსული მართლმადიდებლური ეკლესია იზიარებდა შეხედულებას, რომლის თანახმადაც, სასულიერო თანამდებობიდან უნდა გადაყენებინათ ის პირიც კი, ვისაც თუნდაც აუცილებელი მოგერიებისას კაცი შემოაკვდებოდა.

რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერის მიხედვით, უღირსი ეპისკოპოსები განკვეთეს „მღვდლობისაგან“. ამის შესახებ თვით ხსენებულ ძეგლშია ნათქვამი<sup>80</sup>:

„და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს, პირველისა მის მწყემსთ-მთვარისანი, განვკუთვნიით და უცხო-ვეყენით მღვდლობისაგან, ვინამთგან არაწმიდისა შეხებად საწმიდეთად არა-უცთომელობა არს და მახლობელი ღმრთისად მახლობელ ცეცხლისა არს, და უკვმს, რამთა ყოვლითური ოქრო იყოს.“

თვით გადაყენებული-განკვეთილი ეპისკოპოსები არ შეუჩვენებიათ, არ განუშორებიათ ქრისტიანთაგან, არამედ გათანაბრებულ იქნენ “ლიტონთა ერისკაცთა-თანა ზიარებად”...

<sup>80</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, 114-115

მათ შესაძლებლობა მიეცათ ამიერიდან მანც “შმარხველ იყვნენ სიწმიდისა”; გადაყენებულ ვპისკოპოსებს ეძლეოდათ საშუალება გამოსწორებისა.

ხოლო თუ ვინმე „ქრთამის“ და „საფარის“ გაღებით მიიღებოდა ხელდასხმას, ასეთი სასულიერო პირი უნდა “აღკოცილიყო ეკლესიისაგან მის მაკურთხეველთან ერთად”<sup>81</sup>. დამნაშავე შეიძლება „შეჩვენებულყო“ ვითარცა სვიმონ მოგვ პეტრე მოციქულისაგან.

იკრძალებოდა გვირგვინთა კურთხევა “თვინიერ ეკლესიისა”.

თუ ხუცესი დაარღვევდა რუი-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებას “განწესებას გვირგვინთა კურთხევისა”

ხსენებული სასულიერო პირი განკვეთას ექვემდებარებოდა, ხოლო ერისკაცი-უზიარებლობას.

განკანონებას ექვემდებარებოდა ის სასულიერო პირი, ვინც მართმადიდებელს და მწვალებელს „გინა წარმართს“ ერთმანეთთან შეაუღლება. იკრძალებოდა აგრეთვე „კიდეს-კიდე“ გვირგვინთა კურთხევაც ე.წ. წარმომადგენლობითი ქორწინება როგორც “კურთხეულნი” ასევე „მაკურთხეველნი“ განკანონებით დაისჯებოდნენ<sup>82</sup>.

ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: “სხვადასხვა გარემოებათა გამო ხშირად იქმნებოდა ისეთი ვითარება, რომ გვირგვინის კურთხევის დროს დასაქორწინებელი სუბიექტებიდან ერთ-ერთი სახეზე არ იყო. სხვა მხრივ კი ქორწინებისათვის აუცილებელი ყველა პირობა არსებობდა. დაქორწინებას ხელს უშლიდა ის, რომ გვირგვინის კურთხევის მომენტში საცოლე არ იყო ადგილზე. ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი უპოვიათ წარმომადგენლობით ანუ “კიდის-კიდე გვირგვინთა კურთხევით”<sup>83</sup>.

<sup>81</sup> იქვე გვ 116

<sup>82</sup> იქვე 121

<sup>83</sup> გ ნადარეიშვილი “ძველი ქართული საოჯახო სამართალი” თბილისი, 1996, გვ 23

„მეფე და დედოფალი“ გვირგვინის ცალ-ცალკე იკურთხება. საუარაუდოდ ქორწინების ცერემონიალი დასაქორწინებელთა სახლში ხდებოდა ცალ-ცალკე. საქმროს ნაცვლად გვირგვინის ქვეშ იდგა მისი წარმომადგენელი. ასეთ პრაქტიკაში გამოსტვივის შეხედულება, რომ ქორწინება არის სამოქალაქო გარიგება, სამოქალაქო ხელშეკრულება და არა რელიგიური საიდუმლოება. ამიტომ ასეთი რამ მიუღებელი აღმოჩნდა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის ქართული ეკლესიისათვის. ასეთი ქმედება საეკლესიო სასჯელის ღირსად ჩაითვადა.

გიორგი მერჩულესთან მოთხრობილია ცქირის თავგადასავალი (თავი 68-ე).

საპაკ ამირა ისმაელისაგან მოციქულად იყო მივლინებული ცქირი აშოტ კურაპალატის წინაშე. ცქირმა იხილა „ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული“ და მონდომა მისი თანამდებობის დაკავება საპაკ ამირას მხარდაჭერით. „უკეთურმან მან ცქირმან“ „მძლავრებით დაიპყრა ანჩი“. ცქირი ცუდად იქცეოდა. გრიგოლ ხანძთელმა იგი ამხილა. ცქირი ერთ ანჩელ ღარიბ ერისკაცს, კარგ მოისარს შეპირდა სამ გრივ ფეჭესა და ხუთ თხას და გააგზავნა გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად. ეს დავალება ღეთის განგებით მკვლელმა ვერ განახორციელა.

ღამნაშავე სასულიერო პირის წინააღმდეგ გამოვიდნენ მორწმუნე ერისკაცები, „რომელნი მარადს სამართლად ამხილებდეს მას. მათვე ერთობით აუწერეს ყოველი დიდსა მას ?ხელმწიფესა აშოტ კურაპალატსა და ბრძანებითა მისითა ყოველთა მათ მოწესეთა ანჩისა კათოლიკე ეკლესიისათა წიგნი მიწერეს ქართლისა კათალიკოსისა მიმართ და მის მიერ ეპისკოპოსნი და ორნი მოიწინეს ანჩს და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი შეუდაბნოენი მამანი.“

კრებამ ამხილა ცქირის „უმჯულობამ“.

როგორც გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „მაშინ სარწმუნოთა მათ მდღელთ – მოძღუართა განკუეთეს იგი პატივისაგან მისისა და მამამან გრიგოლ

და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცუეს და ყოველთა ერთობით განჯადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცა-ღა ასომ დამპალი, მწვალებელთ-ებრ ყოვლით-კერძოვე შჯულისა გარდამავილი განიდევნა იგი.”

დარდამავლობითი მოქმედება ძველ ქართულ სამართლის წიაღში დანაშაულს ერქვა. გიორგი მერჩულე ცქირს, მოძალადე ეპისკოპოსს “შჯულისა გარდამავლად” თელის. ცქირი განკვეთეს “პატივისაგან”. მას შემოიყვანენ საკურთხეველში და “განძარცვამენ”.

ცქირი ბრუნდება თბილისში თავის პატრონ საპაკ ამირასთან. მას განზრახული ჰქონდა კვლავ მძლავრებით ეგლო ხელთ ანჩისა საყდარი.

მას შეუკრებია “ერი ანჩისამ” და განუზრახავს ხანძთის დარღვევა, მაგრამ ცქირის ბოროტ განზრახვას აღსრულება არ ეწერა. ის გარდაიცვალა ქორთას და “მუნ დაძფლეს უფლისა მეორედ მოსვლამდე”<sup>84</sup>.

გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ჩანს თუ როგორ მოძალადეებთან ჰქონდა საქმე გრიგოლ ხანძთელს და რა ძნელი იყო მათი თავიდან მოშორება სასჯელის მეშვეობით.

IV-V საუკუნეებში საქართველოში ქრისტიანული რელიგიის მიღებას ქართული საეკლესიო სტრუქტურის ჩამოყალიბდა მოჰყვა, რასაც ხელი შეუწყო შეუწყო რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა. რომლის დავალებითაც ანტიოქიის ეკლესიის მღვდელ-მთავარმა ევსტატემ კანონიკურად ქართლის საეკლესიო სტრუქტურა შექმნა და გააფორმა როგორც, ანტიოქიის შემადგენლობაში შემავალი საეპისკოპოსო. საეკლესიო კანონებიდან გამომდინარე მმართველ ეპისკოპოსს ანტიოქიის სამიტროპოლიტო კრება ირჩევდა და აკურთხებდა. მას “მთავარეპისკოპოსის” ტიტული ენიჭებოდა, ხოლო ქართლის საეპისკოპოსო კი “მცხეთის საეპისკოპოსოდ” იწოდებოდა.

<sup>84</sup> გ. მერჩულე “ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი”. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1. 1946. შედგენილი სოლ. წუბანიშვილის მიერ (თხუხ გამოცემლობა), გვ.145-146

შემდგომში მოხდა ქართლის ეკლესიის რეფორმა, რომელიც გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით, რაც გარკვეულწილად ეკლესიაზეც აისახებოდა. ასეთი რადიკალური ცვლილებების გატარება უკავშირდება ვახტანგ გორგასლის სახელს, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი სისტემის საკათალიკოსოსა და „კათალიკოსის“ ტიტულის შემოტანას ქართლში, რაც ბიზანტიაში არსებული ყველა კანონიკური წესის დაცვით განხორციელდა. ეს მნიშვნელოვანი ცვლილება მიუთითებს საქართველოში დამოუკიდებელი საეკლესიო სტრუქტურისა და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის არსებობაზე, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც ეპისკოპოსთა არჩევა, დადგენა და გასამართლება შეადგენდა.

ამ მხრივ საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ვახტანგ გორგასლისა და ქართლის ეპისკოპოსს შორის მწვავე დაპირისპირების შესახებ ცნობები. საბერძნეთიდან მოვლენილ ქართლის ეპისკოპოსს მიქაელს, რომელიც ცნობილი იყო როგორც უფლებისა და სიძლიერის მოყვარე. თუმცა კი მან დიდი წვრილი დასდო ქართლში მართლადიდებლობის განმტკიცებას. მას საეკლესიო რეფორმებთან დაკავშირებით ვახტანგ გორგასალთან დიდი უთანხმოება ჰქონდა. ირანიდან დაბრუნებულ ვახტანგ გორგასალს რომელიც საამბოვრებლად იყო მისული მასთან მიქაელმა კბილებში წიხლი ჩაართვა და კბილები დაუზიანა<sup>85</sup>.

ამის შემდეგ ვახტანგ გორგასალს დამნაშავე კათალიკოსი ჩამტვერეული კბილებითურთ კონსტანტინოპოლში პატრიარქისათვის გაუგზავნია სამსჯავროზე. “შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ. და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად და სხუანი ვინცა სთნენ”... პატრიარქს მიქაელი განუკვეთავს და საცხოვრებლად მონასტერში გაუსახლება. როგორც წყაროებიდან ჩანს,

<sup>85</sup> ბ ლომინაძე, მიქაელი ქართლის მთავარეპისკოპოსი, ქართული ენციკლოპედია, ტ.7, მიხევე, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, კრებულში საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1962, გვ 66-67.

კანონიკური წესის თანახმად აუცილებელი იყო თორმეტი ეპისკოპოსისაგან შემდგარი წმინდა სინოდის მოწვევა, რომელსაც კათალიკოსი გაუწევდა თავმჯდომარეობას. ამ წესის დაცვა განსაკუთრებით აუცილებელი იყო ეპისკოპოსის გასამართლების შემთხვევაში.

რაც შეეხება სიმონიას, ამ მხრივ რთული ვითარება ყოფილა ბაგრატ IV-ის ღროსაც. გრიგოლ ხუცესის სიტყვებიდან ირკვევა, რომ ბაგრატ მეფე თურმე ჰყიდა საეპისკოპოსოებს. გიორგი მთაწმინდელმა, იმისდა მიუხედავად, რომ იგი თვით ბაგრატმა მოიწვია საქართველოში, როდესაც იგი 1060 წელს სამშობლოში ჩამოვიდა, მაშინვე სამღვდლო პირთა არჩევის კანონიერი გზის დარღვევას მიაქცია ყურადღება და სწორედ ამ უწესობის გამო ბაგრატ IV-ის მხილება დაიწყო. ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი მთაწმინდელმა „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ“. იმისათვის, „რომ არა ჰყიდდეს ეპისკოპოსთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოველითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესობათა მიმოსულათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმინდათა და მონაზონებათა შინა აღზრდილთა და ღვთიესულურთა მოძღუართა მიერ წამებულთა.“

ბაგრატ IV-ის მხილების შემდგომ გიორგი მთაწმინდელი ეპისკოპოსებსაც შეეხო და ღიადებულმა ქართველმა მოღვაწემ „მერმე იწყო მღვდელთ-მოძღუართა მიმართ, რათა თუაღლებით ხელდასხმასა არა ჰყოფდნენ და უღირსთა მღვდელთა არა აკურთხევდნენ და რათა არა შეჰკრებდნენ ოქროსა და ვერცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდნენ გლახაკთა და უღონოთა“.

თვით რუიკ-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ უღირსი სასულიერო პირების მოკვეთა იყო. როგორც ვნახეთ, ამ დანაშაულს დიდი ისტორია ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის ებრძოდა ეკლესია და ხელისუფლება. გამონაკლისი არ ყოფილა არც XVI საუკუნის დასავლეთ

საქართველო, ამიტომაც კანონმდებლებს საჭიროდ უცვნიათ კათალიკოსთა სამართალში ამ მუხლის შეტანა.

კათალიკოსის მიმართ ჩადენილ დანაშაულს შეეხება მე-15 მუხლი: რომელი ეპისკოპოსიც "დიდი ანუ მცირე", ე.ი. მნიშვნელობა არა აქვს მის ხარისხსა და თანამდებობას, საღვთო და სარჯულო, ან ტაძრის საქმეზე რაიმეს დააშვებს და კათალიკოსის მიერ სამართლიან რჩევა-დარიგებას არ მიიღებს, არ გაუგონებს – წირვისაგან განიკუთოს და მეფემ ტაძრიდან ექსორია ქმნას".

ამ მუხლის თანახმად, პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ ეპისკოპოსს, რომელიც არღვევს „სჯულისკანონს“ და თავისი თვითნებობით არ ემორჩილება კათალიკოსს. ამ დანაშაულისათვის ეპისკოპოსი როგორც კათალიკოსის მიერ, ისე მეფისაგან დაისჯება. კათალიკოსი მას „წირვისაგან განკვეთს“, ე.ი. მღვდელმთავრობიდან, ხოლო თუ წინააღმდეგობას გაუწევს, მეფე ტაძრიდან გააძევებს, თუ საჭირო გახდება, ფიზიკური ძალითაც.

კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინებისათვის მე-18 მუხლი იმ სასჯელს შეუფარდებს დამნაშავეს, რაც „სჯულისკანონში“ ეწეროსო“. მოციქულთა 55-ე მუხლი აწესებს: თუ რომელიმე სასულიერო პირი ეპისკოპოსს აგინებს, განიკუთოს, რადგან ნათქვამია: „შენი ერის მთავარზე ძვირი არა თქვა“.

ამასთან დაკავშირებით „მხითარ-გოშის“ 187-ე მუხლი ადგენს: „ქ.გაარიგეს მოციქულთა და დაღვეს დამტკიცებით, რომ არავინ შეაგინოს მღვდელსა და არცა ვინ გააჯავროს, არცა ვინ ურიგოდ და უპატიურად მოეპყრას. თუ ვინმემ შეაგინოს მღვდელსა, შეიტყვეოს, რომ ღვთისათვის შეუგინებია – მღვდელნი ღვთის მომსახურენი არიან და არა კაცისა, ღმერთს უნდა მისცენ ანგარიში და პასუხი სულისა თქვენიისათვის და სწერია: უფროსი მრევლისა შენზე არ დაიდრახოს. და ეს სამართალი წინათ დაგიწერეთ ცოტა რამ, მაგრამ აქაც კიდევ მოვიზღომეთ ახლა მოციქულთაგან კანონის გადიდება, გარისხება მღვდელთა მაგინებელთა ამ ბრძანებაზე, რომ უფალმან უბრძანა მოციქულთა: „რომელმან თქვენ შემოგაგინოს, ჩემთვის შემოუგინებია.“

ამ მე-17 მუხლით მთავრდება საეკლესიო იერარქთა მიმართ განკუთვნილი მუხლები, რომლებიც მათ უფლება-მოვალეობებს შეეხებოდა.

”კათალიკოსთა სამართალის” მე-7 მუხლში წერია: ეპისკოპოსი თუ ოცდღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ეკლესიაში არ იმყოფება ისე, რომ მეფეს ან კათალიკოსს არ გაუგზავნია, ან არ არის თავის სამწყსოში დასათვალისწინებლად, ან არ ყოფილა ავად, ანდა სისტემატურად ქორეპისკოპოსს არ აგზავნის თავის სამწყსოში სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად, კერძოდ, სჯულის, მღვდელ-მონაზვნების და ეკლესიის საკითხს რაც შეეხება, არ იცავს ეკლესიას, მის ქონებას, რთავს ნებას იმაზე, რაც სჯულის კანონსა შიგან არ წერია და თუ ვინმეს „საკანონოს“ აართმევს, ასეთი ეპისკოპოსი „შწრუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონმსაცა ქუეშე არის წმიდათა მოციქულთასა, და მისი საყრდისაგან ექსორია იქმნას“.

#### §4. ჯარიმა

ტერ-არაქელამ მეფესთან იჩივლა იმის შესახებ, რომ უცნობი პირები საყდრის გალავანს ნეხვით ავსებდნენ და გზებსაც აფჭებდნენ.

მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით, „რამდენჯერაც იმ ეკლესიის გალავანში და გზაზედ ნეხვი დაყაროს, იმდენჯერ იმ უბანს კომლზედ აბაზი აღიბეგამ წართოს ჯარიმად“. ყორღანანთ შვილი აღიბეგა იასაულია<sup>86</sup>.

1789წ. ტერ-მოსე და ტერ-სარქისა იულონ ბატონიშვილთან უჩივიან ტერ-არაქელას ეკლესიის სამღვლეები მრავალი განილო ეკლესიიდანო საქმეს არჩევენ ახპატის არქიეპისკოპოსი დავითი, მილახვარი ლუარსაბი და მდივანი სიმონი. რომელთაც ეხმარებათ მორდალი უთრუთ.

მორდალმა უთრუთმა და ტერ-ისაიამ აღწერეს ეკლესიის ქონება.

ტერ-არაქელას მრავალი ნივთი აღწერის გარეშე ჰქონდა დატოვებული.

აბესალმანთ მოქალაქემ სვინაქსარი შესწირა ეკლესიას და მუხლებსა და მუხლედში თავიანთი სახელი ჩაწერეს მოსახსენებლად.

ტერ-არაქელას „ეს უფრო ძნად ხელსაყოფელი ვნება შესვლია, რომ მიცვალებულთ სახელი ამოუხოციათ და თავისი ჩაუწერია. და ეს კაცის კვლის მისგავსებული არის, რომ იმათ თავიანთ სახელი ეკლესიაში საუკუნოდ მოსახსენებლად დასდევს. და ეს კი მიეოდა, იმათი სახელი აღმოხოცა და თავისი შთაწერა.

ეს ზემოხსენებული სვინაქსარი, რომ თავისად გამოაცხადა და ამათი სახელი კი დაფარა და ეკლესიის ხსენებიდამ განილო, ეს ხომ კაცის კვლის შეემსგავსეთ. მაშ ღირსი არის, რომ კაცის კვლის კანონით განიკანონოს და კიდევ განიკანონება“<sup>87</sup>.

ტერ-არაქელას ნაჭურდალს დააბრუნებინებდნენ, მაგრამ სარგებელსაც გადაახდევინებდნენ (ყოველ თუმანზედ ორი შაური).

<sup>86</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტომი VII, 1981 თბილისი, გვ 709

ამგვარი სასჯელები დამამცირებელი ხასიათისა იყო<sup>88</sup>. მათ მიზანს წარმოადგენდა დამნაშავეის პიროვნების დამცირება და მისთვის მძიმე ზნეობრივი ტანჯვის მიყენება.

ქურდობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დანაშაულია, რომელსაც ყველგან ეზღვდებოდა. ის განსაკუთრებით ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ლამბერტი წერს: „თუმცა ეს საშინელი სენი – ქურდობა ქვეყნიერებაზე ყველგან გავრცელებულია, მაგრამ განსაკუთრებით სამეგრელოშია გავრცელებული, თითქოს აქ პოვა კარგი ნიადაგიო. მეგრელები თითქო ბუნებით არიან ქურდები. ყველანი ცდილობენ თავის წინაპრებს არ ჩამორჩნენ ამ ხელობაში. მთელ კოლხიდაში არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომ ოდესმე ამ ხელობაში არ ევარჯიშოს. ღარიბი და მდიდარი, პატარა და დიდი, მაღალი წოდება და დაბალი ხალხი, ერი და ბერი სულ ქურდები არიან. სასჯელის შიშსაც ვერ შეუღამავს ისინი; და ხშირად შეხედები, რომ ქურდობისათვის უკვე სასჯელმობდილი, როგორც კი შემთხვევას ნახავს, ველარ მოითმენს და ხელახლა ჩაიდენს ქურდობას; მაგ: ქურდობისათვის ცალფეხმოჭრილი მიკოჭლობს და მიდის ქურდობაზე; და თვალმოთხრილი, სხვაფრივ თუ არ შეუძლია დახმარება, რჩევით მაინც ეხმარება ქურდს. ქურდებს ვერ აკაეებს ვერც ის ზარალი, რომელიც მოსდით მათ, თუ ქურდობაში დაიჭერენ – მათ უნდა გადაიხადონ თხუთმეტჯერ მეტი ფასი ნაქურდალისა, ამასთან, გადახდის შემდეგ კიდევ უფრო ეტანებიან ქურდობას, რათა ერთი ორად შეაესონ ის ფული, რაც გადაუხდიათ ხაზინისათვის...

უკუეთუ ქურდს მხოლოდ ერთი ძროხა ან ერთი ხარი, ერთი ღორი, ან ერთი ცხენი და ან ერთი სხვა ამისთანა რამ მოუპარავს, დაჭერისთანავე მას დაუყოვნებლივ სასჯელი დაედება. ეს სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გადაიხადოს ნაქურდალის ფასი თხუთმეტჯერ მეტი, რომლისგანაც ხუთი

<sup>87</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 1974, გვ. 473

<sup>88</sup> იქვე. მათ განაწილებული სასჯელები ეწოდება ცანწილება-გერცხენის დამართება).

ნაწილი პატრონს ერგება, ხუთი – ხაზინასა და ხუთი იმ მოხელეთა გასამრჯელოდ, ვინც სასჯელს დაადებს დამნაშავეს.”

როგორც ვნახეთ, ეკლესიაში ქურდობისათვის კათალიკოსთა სამართლის მესამე მუხლით გათვალისწინებული იყო ნაქურდალის დაბრუნება და კაცის „დაშავება“, ანუ, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, დაშავება ე.ი. კაცის ხეიბრად შექმნა, რასაც გვიდასტურებს ლამბერტი.

ქურდობას შეეხება „კათალიკოსთა სამართლის“ მე-7 მუხლიც, სადაც ქურდობისათვის სასჯელად „რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისე გარდაახდევინონ“-ო, ბრძანებს კანონმდებელი. ჩვენ კი ვნახეთ, რომ ქურდობისათვის თხუთმეტმას ახდევინებდნენ.

„სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნში“ ცოდვისათვის საზღაური, გადასახადი ჩადენილი ცოდვის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება. ის ძირითადად მატერიალურ კომპენსაციას გულისხმობს, რაც პირუტყვის სახით განისაზღვრებოდა. მაგალითად: მე-5 მუხლის მიხედვით, ისეთ დანაშაულზე, როგორიც არის ცოლის გაშვება და რომლის მიხედვითაც კათალიკოსთა სამართლის XXII მუხლით დამნაშავე სიკვდილით უნდა განიპატიოვოს, კანონმდებელი ადგენს – „ხუთი ძროხა დააურვოსო“. მე-4 მუხლით კი: „უკეთუ კაცი მოკლას ვინმე მკვლელმა, ხუთი ხარი მიართვას და მკვდრის პატრონმა ერთი“. ასე რომ, ცოდვისათვის კანონმდებელი – ცხრაძმისხევის კრებული და მამასახლისობა, მატერიალურ გადასახადს აწესებს სამთავნელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ. სწორედ ამ კანონზეა საუბარი კათალიკოსთა სამართალშიც, რომელიც კრძალავს მის გამორთმევას.

## §5. ბაზანოვიანური სასჯელები

გამაწილებელ სასჯელებს ჰქონდათ როგორც ძირითადი, ასე დამატებითი სასჯელის მნიშვნელობა. სამართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ გამაწილებელ სასჯელს მრავალი სახე ჰქონდა: ბრალის საჯაროდ აღიარება და პატიების გამოთხოვნაში დაზარალებულის წინაშე დამამცირებელი სამოსელით გატიტვლება, კისერზე თოკის მობმა, წვერ ულვაშის მოპარსება, გაკრეჭა, ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, ბაზარში შერცხვენა და სხვა.<sup>89</sup>

„ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს გამაწილებელი სასჯელის ერთი სახე-თავზე ნაცრის დაყრა. დავით VI-ემ 1301 წელს გამაწილებელ სასჯელს უფარდებს განდგომისა და მონგოლთა მიმხრობისათვის თავის ხელისუფალს შალვა ეგენიფნეველს. მეფემ მოითხოვა, რომ ძველი ხალხური სასჯელის მიხედვით თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაული ეღიარებინა. ისიც დათანხმდა თურმე და ჟამთააღმწერელის სიტყვით, შალვა ეგენიფნეველმა გადაიყარა თავს ნაცარი და იტყოდა: „ესეცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასაო“.<sup>90</sup>

გამაწილებელ სასჯელთა სახეებიდან ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალში აღნიშნულია ე.წ. „ჩათრევა“ თუ თავდასხმის შემთხვევაში, ოჯახის აკლების და შერცხვენის გამო დაზარალებული კანონით გათვალისწინებული სისხლის მიღებაზე უარს იტყოდა და დამნაშავეს მიმართ გამაწილებელი სასჯელის შეფარდებას მოითხოვდა, მაშინ დამნაშავეს ქვედა საცვლის ამარა, გატიტვლებულს სანეხვეზე მიიყვანდნენ და იქ საჯაროდ გაშოლტავდნენ

„ნიფხვით ოდენ გამიშვლებულად ზოლთა შეიღთა ბიჭთა ჩაათრიონ და მას კაცსა მე(რემან სამი შოლტი ამოკრასო). გამაწილებელ სასჯელს

<sup>89</sup> სამართალი ბერძნული 34 მუხლი: ქ. ფამან ანუ აზატანა ქარამან ვინძე ქრისტიანეთა ქრისტიანეთშილი დაატყუოს, დაიჭირონ ის, გაკრიჭონ, ხცენ ბეერი, ლაფი დაახან და ორივე ხელები დასჭრან 56 მუხლით მოსამართლის გინებისათვის დამნაშავე ვირზე უნდა შესხან და გააგდონ. გამაწილებელ სასჯელებს შეიცავენ ბერძნული სამართლის შემდეგი მუხლები 77-ე, 80-ე, 233-ე, 259-ე, 382-ე, 383-ე ქართული სამართლის მუხლები ტ. I

<sup>90</sup> ივ. ჯავახიშვილი ქართული ერის ისტორია, წიგნი III, XIII-XIV სს. 1941 წ. გვ 136

სიმბოლური ხასიათი აქვს. ბოროტმოქმედი დაესხა ოჯახს შერცხვენისა და დამცირებისათვის, საწბილოდ, ამიტომ დაზარალებული მოითხოვს, რომ დაძნაშავესაც გამაწბილებელი და დამამცირებელი მსასჯელი შეეფარდოს. თელის ჩათრევას მძიმე გამაწბილებელ სასჯელად, კანინმდებელი იძლევა რჩევას, ანუ მიმართავენ ამ სამარცხვინიო სასჯელის შეფარდებას, როგორც სამაგიერო დამცირების საშუალებას, რადგან ასეთი სასჯელის შეფარდებით ბოროტმოქმედს „საუკუნო სირცხვილის საქმე წაეკიდების“-ო.

ასეთივე ხასიათის სასჯელს ითვალისწინებს ბექას სამართლის 23-ე მუხლი, რომლის მიხედვით თუ ცოლშვილიანი კაცი ქმარშვილიან ქალთან მრუშობს- „მოყივნებას“-ჩაიდნეს და ეს გამყდავდება, დაძნაშავე ქალის ქმარს სრული სისხლი უნდა დაუურვოს და ამავე დროს პატრონმა დაძნაშავე „ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელსაბლიანი უბანთა განჭირებული მოაელოს“. თუ დაძნაშავე მოისურვებდა და დაძნაშავეც თანახმა იქნებოდა, ეს სამარცხვინო სასჯელი „გაშშველება“ და „გაუპატივება“-შექდლო გამოესყიდა ორკეცი სისხლის დაურვებით.

ამ მაგალითების განხილვიდან გამომდინარე, გამაწბილებელი სასჯელები სიმბოლური ხასიათისაა და დაძნაშავეს მიესჯება დაზარალებულის დამცირებისათვის.

ჩვენ მიერ განხილული დანაშაულისათვის – კაცის გაყიდვისათვისაც სწორედ გამაწბილებელი სასჯელი არის დანიშნული ერთ-ერთ სახედ. ადამიანის მონად გაყიდა მისი პიროვნების შელახვა და დამცირებაა, რისთვისაც კანონმდებელმა გაითვალისწინა სჯულდების გამოცდილებანი და დაძნაშავეს დაუწესა „განდეგილი“-ყოსო, რათა დარღვეული მორალური დამცირება მეტნაკლებად გაეთანასწორებინა.

„ლაშქართა შიგან არშეშეება“, როგორც გამაწბილებელი სასჯელი ცნობილი იყო ფეოდალურ საქართველოში. იგი ნახსენებია ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“, (წიგნი მე-2, ნაკვ. 2.).

1263 წლის საეკლესიო კრების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ვინცა ვინ დაკრულვილა, რაითაც მიზეზით და საქმითა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან „შერისხულა“, მამული დასჭირვია და ლაშქართა შინა არ შეშუებულა“. ეს სასჯელი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ითვლებოდა თავისუფალი ადამიანისათვის სამხედრო და რაინდული უფლებების აღკვეთად. ის გამოიყენებოდა როგორც დამატებითი დასჯითი ღონისძიება ეკლესიის მხრივ შეჩვენებულისათვის და იგი უქადდა ქონებრივ გაღატაკებას და სამოქალაქო სიკვდილს.<sup>91</sup>

<sup>91</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 6, ბგ. 148-149

## §6. ასოთღაპაზიანაზელი სასჯელი

გიორგი III-ის 1170 წლის შიომღვიმის ერთიან სიგელში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნათქვამი აქვს: „თუ (დამნაშავე ან ბრალდებული) გარაიხუეწოს სხვაგან სდევნიდნენ ჩუენნი ჩენილნი“-ო.

ეს რაც შეეხებოდა კაცის სყიდვისათვის კანონმდებლობით გათავალისწინებულ სასჯელებს, ხოლო თუ ვინმე ქრთამს აიღებს და დამნაშავეს არ ჩამოახრჩობს „შეჩვენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცაქუეშე არის წმიდათა მოციქულთას“. წმინდა მოციქულთა კანონი კი ქრთამის აღებისათვის ზიარებისაგან სრულიად მოკვეთას ითვალისწინებს.

არქანჯელო ლამბერტი ამგვარი სასჯელების შესახებ წერს: „სასჯელები კი სხვადასხვანაირია დანაშაულობის მიხედვით: ქურდებს ჩვეულებრივ მოსჭრიან ხელს, ან ფეხს და ან ყურს; მკვლელებს ხელს სჭრიან, მაგრამ თუ მკვლელი მეთად გაბოროტებულია და მრავალი კაცის მკვლელია და ავაზაკობა ჩაუდენია, იმ შემთხვევაში იმას თვალებს დასწევენ; ასეთივე სასჯელია მუშობითათვის: რომელთაც გარდა ამისა სჭრიან ცალხელს და ცალ ფეხს: თუ ვინცობაა ვინმე ცოდვა ჩაიდინა სასახლის რომელიმე ქალთან, მათ ორთავე ცხვირს მოსჭრიან და აიძულებენ შეირთონ ერთმანეთი.

ჩამოთვლილ სასჯელთა შორის ყველაზე სასტიკ სასჯელად მიაჩნიათ დაბრმავება ცეცხლის მეშვეობით. ამიტომაც მრავალნი სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე თვალის სინათლის დაკარგავს. ამბობენ, რომ ვინც მოკვდება, ის ტანჯვასაც გადარჩება და ბრმა კაცი კი მუდამ ტანჯვაშიაო. თვით ამ სასჯელის აღსრულების დროს ისე იტანჯება დამნაშავე, რომ სიკვდილის დროსაც არ იტანჯება იმდენად. ჩაასობენ მიწაში ოთხ სარს, რომელზედაც დამნაშავეს ხელებით და ფეხებით მიაკრავენ ისე მაგრად, რომ განძრევა არ შეუძლია; აიღებენ ორ რგვალს და პრტყელს რკინის ნაჭერს თვალზე ცოტა უფრო დიდებს, წამოაცმევენ ორ გრძელ რკინაზე; ამ გრძელ რკინებს

შეაერთებენ ხის ტართ, შემდეგ რკინებს ძალიან გაახურებენ, მაგრად მიაღებენ თვალბზე და ასე უჭირავთ, ვიდრე სიმბურვალე არ გამოაშრობს თვალის სისოვლეს. დამნაშავე საშინლად იტანჯება ცეცხლის გამო, რომელიც მყისვე ისე უსიებს პირსახეს, ყელს და მთელს გულს, რომ სამი-ოთხი დღის განმავლობაში ვეღარ მიეკარება ვერავითარ საჭმელს.

ხელს და ფეხს სჭრიან გახურებული ნაჯახით, რათა ცეცხლით შეაჩერონ სისხლი, რომელიც ბლომად გამოდის ძარღვებიდან ჭრილობის ადგილზე. მოსჭრიან ფეხებს და ხელებს სახსრის ზევით და შემდეგ ძელიდან ჯოხით ამოიღებენ თინის, რათა შიგ არ დაღუპეს<sup>92</sup>.

„დავაკონკრეტოთ ამ დანაშაულის კლასიფიკაცია. „როცა ბოროტმოქმედნი მოვლენ ტყუენვად და ხოცად და ანგარებისათს და მოხევეჭისა უცხოთა საფასეთასა მოკვლენ კაცთა უბრალთა ამას მეკობრეობა და ავაზაკობა ერქვა, ხოლო ამის მოქმედ პირს – მეკობრე და ავაზაკი, დაზარალებულს კი მიმძღავრებელი ეწოდებოდა“<sup>93</sup>.

ქართულ პავიოგრაფიულ ძეგლში „მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა“, რომელიც დაწერილია VI საუკუნის 70-იან წლებში, ნათქვამია: „ამის კაცის პატიჟი მე არა რა ხელმეწიფებისო, არცა აღბმა ძელისა, არაცა მპყრობილება.“<sup>94</sup> ე.ი. ამ კაცის დასჯა მე არ შემძლია, არც ჩამორჩობა, არც დაპატიმრებაო. მაშასადამე, აქ „პატიჟი“ ნიშნავს, დასჯას. ქართული ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ნათქვამია: „საუკუნო პატიჟთა დაუსრულებელთა“ ან „პატიჟსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის.“<sup>95</sup>

გიორგი ბრწყინვალის (1318-1348) ძეგლის დადება III და XV მუხლებში აწესებს „გაპატიჟებას“.

<sup>92</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. 1938წ. გვ.68

<sup>93</sup> ივ. ჯავახიშვილი. ტ. VII. 1984წ. გვ. 48

<sup>94</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. უზანეთის მიერ. ტ. I. 1964წ. გვ. 45

<sup>95</sup> იქვე გვ. 101

კათალიკოზთა სამართლის მე-5 მუხლის მიხედვით, ვინც უდანაშაულო კაცს, ან მგზავრს, ან მცველს მოკლავს ქურდობისათვის, უნდა განიპატიოსნოს ე.ი. დაისაჯოს. აქ კონკრეტულ სანქციაზე მითითება არ არის (ალბათ სასჯელი ძველი კანონმდებლობის მიხედვით დაედებოდა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ). ამ ტერმინის ძველში კიდევ სხვაგანაც ვხვდებით. (მაგ. 17 მუხლის თანახმად, მეფის დალატისათვის, ხოლო 23-ე მუხლის მიხედვით, უბრალოდ ცოლის გაგდებისათვის, როგორც ავღნიშნეთ დამნაშავე უნდა სიკვდილით განიპატიოსნოს ე.ი. სიკვდილით დაისაჯოს. აქ კანონმდებელი კონკრეტულ სასჯელს მიუთითებს).

„აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით გაპატიება დამასახიჩრებელი სასჯელის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო<sup>96</sup>, მაგრამ განსვენებული მეცნიერი უნდა ცდებოდეს, „გაპატიება“ ძველად და უფრო გვიანდელ პერიოდშიც, დასჯას ნიშნავდა საერთოდ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბაგრატ კურაპალატის ამართალში (მუხ:152,162,167) და „კათალიკოზთა სამართალში“ (მუხლი:3,4) „ასოთა მოკუეთა“ ანუ დამასახიჩრებელი სასჯელები ცალკეა აღნიშნული. მასადაამე „გაპატიება“ საზოგადო სახელია და დასჯას ნიშნავს, ხოლო დასჯის ფორმები და საშუალებები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: სიკვდილით დასჯა ანუ „სიკვდილით გაპატივება“, სამუდამო გაძევება, კანონგარეშე გამოცხადება, ასოთა მოკუეთა და სხვა.<sup>97</sup>“

კათალიკოსთა სამართლის III მუხლით: ვინც ეკლესიაში შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ე.ი. ეკლესიიდან მოიპაროს საქონელი (საქონელი-უსულო ხვასტაგი (2 ნეშტ 32, 29) საქონელი და საყოლელი (სულხან-საბა ორბელიანი), ეკლესიას მისი საქონელი მიეზღოს და კაცი დაშავდეს.

<sup>96</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, ტII, ნაკვეთი მეორე, გვ.291. 518

<sup>97</sup> ი.ლოლიძე. ძველი ქართული სამართალი გვ 267

ახლა განვიხილოთ ისეთი მძიმე დანაშაული, როგორც არის მკვლელობა, რომელსაც კათალიკოსთა სამართლის IV მუხლი შეეხება: „ვინცა ძმა მოკლას, ანუ მამა, ხელი მოეკეთოს და მამულისაგან განვარდეს.“

ხელის მოკვეთა ყოფილა გათვალისწინებული ძმის ან მამის მკვლელისათვის. ძველ ქართულ სამართალში ისეთ სასჯელებს, რომლებითაც სხეულის რომელიმე ორგანო, ანუ ასო უნდა მოკვეთოდა – „ასოთა მიღება“ ეწოდებოდა.

დამასახიჩრებელი სასჯელები თამარ მეფის წინა ხანას მიეკუთვნება. ამიტომ მცდარია უკანასკნელ დროს გავრცელებული, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში“ გათვალისწინებულ სასჯელთა წარმოშობისა და მისი მკაცრი ხასიათის შესახებ. სასჯელის ეს მეტისმეტად მკაცრი ზომები ბექასა და აღბუღას კანონთა კრებულში შეტანილია მონღოლური სამართლის ველურ პირობათა უდავო გავლენით. უკანასკნელმა დიდი ზეგავლენა მოახდინა იმდროინდელ კანონმდებლობაზე, მთელ რიგ სისხლის სამართლებრივ დებულებებზე, რომლებიც კანონთა კრებულში შექმნიდათ<sup>98</sup>.

აღნიშნული სასჯელები გათვალისწინებულია ბაგრატ კურაპალატიისა და კანონიკური სამართლის სხვა ძეგლებითაც, რომლებზედაც, ცხადია, მონღოლები ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ.“

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ არ იცნობს დამასახიჩრებელ სასჯელებს – „ასოთა მოკვეთასა“ და „თვალთა დაწეას“. კათალიკოსთა სამართალში ამ სასჯელს ეხვდებით III და IV მუხლებში.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი ასოთმაზიანებელ სასჯელს ითვალისწინებს მხოლოდ ხუთიოდე მუხლში და თანაც მიუთითებს, რომ ასეთი სასჯელის

<sup>98</sup> ბ ფურცხვანიძე, აღმანიის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1949, გვ

შეუფარდება „ხელმწიფეს მოახსენოს და მისის დასტურით უყოს“. დამასახიჩრებელ სასჯელს ვახტანგის სამართალი „გახეიბრებას“ უწოდებს.

ასოთა მოკვეთას ანუ დამასახიჩრებელ სასჯელებს ფართოდ იყენებს ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია – „სამართალი ბერძნული“. იგი შემდეგ დამასახიჩრებელ სასჯელებს იცნობს: ერთი ან ორივე ხელის მოჭრა, ენის მოკვეთა, თვალის მოთხრა და სხვა. სასჯელის სახე განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ორივე ხელის მოჭრა უნდა შეეფარდოს დანაშაულებს გააზატებული კაცის გაყიდვისა ან გაჩუქებისათვის, ქრისტიანი კაცის თვითნებური დაპატიმრებისათვის – ხელ-ფეხის მოჭრა. ორივე თვალის მოთხრაა გათვალისწინებული კაცისმკვლელ მეკობრეთა მეთაურის, რეციდივისტი ქურდის და ეკლესიის მკრეხელთა მიმართ.

ასეთ დამაზიანებელ სასჯელებს იცნობს მხითარ გოშის სამართლის წიგნიც. დამასახიჩრებელი სასჯელის ფორმას სომხურ სამართალში „თვალის მოთხრა“ და „ხელის მოჭრა“ წარმოადგენს (მუხლები: 52-ე, 155-ე, 178-ე, 208-ე, 209-ე, 234-ე, 289-ე, 413-ე, 414-ე, 416-ე).<sup>99</sup>

ეს რაც შეეხებოდა ასოთდამაზიანებელ სასჯელებს, კათალიკოსთა სამართლის ამავე IV მუხლის მიხედვით გათვალისწინებულია სხვა დამატებითი სასჯელიც. კანონი ძმის ან მამის მკვლელს ხელის მოკვეთასთან ერთად შეუფარდება – „მამულისაგან განვარდეს“-ო.

ამ სახის სასჯელს ვხვდებით ბაგრატ კურაპალატის სამართლის 150-ე მუხლში, სადაც აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლის შემთხვევაში „დამნაშავე სამ წელწადს მამულისაგან გააყენონ“ და მამული მოკლულის მკვიდრი ძმის მფლობელობაში უნდა გადასულიყო, ხოლო მეოთხე წელწადს მამულიდან განყენებულ პირს უკან უნდა დაუბრუნონ თავისი საკუთრება მხოლოდ იმ პირობით, რომ დამნაშავემ ნათესავეებს სისხლი უნდა უზღოს.

<sup>99</sup> Мхитаря Гоша, Армянский судебник, 1954 г., ст. 65

ჩვენ მიერ განხილული ძეგლის მე-4 მუხლში ეს სასჯელი შეეფარდებათ მეტად მძიმე დანაშაულისათვის – მამის ან ძმის მკვლელობისათვის და, ბუნებრივია, დამნაშავე სამუდამოდ უნდა გარიდებოდა მამულს, რადგან მას არავითარი მორალური უფლება არ ჰქონდა იქ გაჩერებისა და თანაც მისი იქ ცხოვრება შეიძლება გამხდარიყო შურისძიების მიზეზი.

## §7. სიკვდილით დასჯა

სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა სამართალი ბერძნული, რომელიც ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულშია მოთავსებული მოთავსებული. სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახე გულისხმობს დამნაშავეის ისეთი საშუალებით დასჯას, რაც დაკავშირებულია მეტად მძიმე ტანჯვა-წამების მოყენებასთან. ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია „სამართალი ბერძნული“ სიკვდილით დასჯის არაკვალიფიციურ სახედ აწესებს თავის მოკვეთას და წყალში ჩახრჩობას, რომელსაც ფართოდ იყენებს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობათა გამო<sup>100</sup>. სასიკვდილო განაჩენის აღსრულება თავის მოკვეთა ხდება ხმლით. „დამნაშავეს ხმლით მოეჭრას თავი“.

ვახტანგის კანონთა კრებულში „სამართალი სომხური“, რომლის პირველი ნაწილი (მუხ.1-150) სირიულ-რომაული სამართლის წიგნს, ხოლო მეორე ნაწილი (151-431) XII საუკუნის დამლევს მხითარგომის მიერ შედგენილ „სომხური სამართლის წიგნს“ წარმოადგენს. იგი სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეებიდან იცნობს მხოლოდ „ანძაზედ აცმას“ ანუ „ანძის კურას“. (მუხ:370).

ქართული ფეოდალური სამართლის საკანონმდებლო ძეგლები იცნობენ სიკვდილით დასჯის მხოლოდ ორ არაკვალიფიციურ ფორმას: თავის მოკვეთასა და ჩამოხრჩობას. ევსტათი მცხეთელის მარტიულობაში ჩამოხრჩობას „აღბმა ძელსა“, ხოლო გიორგი III-ის 1070 წლის სიგელში „ძელსა ზედა დამოკიდება“ ეწოდება.

მაშასადამე ქართველი კანონმდებლები არასოდეს არ იყენებდნენ სიკვდილით დასჯის ისეთ სახეებს, რომლებიც დამნაშავეის საღისტურ მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ეს მიუთითებს ქართველი ერის

<sup>100</sup> სამართალი ბერძნული მუხ:31,32,33, 48,49,60,107,380,381 და სხვა

ჰუმანურობასა და მაღალკულტურულ დონეზე. გამონაკლისი არ გამხდარა კათალიკოზთა სამართალიც, სადაც სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით განისაზღვრება. შეგახსენებთ, რომ ძეგლის იმ ნაწილს, სადაც საერო ხასიათის დანაშაულებია, მათთვის სასჯელებს სახელმწიფო ხელისუფლება აღასრულებს.

სიკვდილით დასჯის სხვა კვალიფიციური ფორმები ძეგლში არ გვხვდება. ქართული სამართლის მიხედვით სიკვდილით დასჯა და ასოთა მოკვეთა მეფის სასამართლო კომპეტენციას შეადგენდა. ვახტანგის სამართლის წიგნის 95-ე და 258-ე მუხლებიც მიუთითებენ, რომ „უხელმწიფოდ კაცს თავისისა ყმისა სიკვდილი და გახებირება არავის ხელ-ეწიფების“. ე.ი. სიკვდილით დასჯა და ასოთა მოკვეთა მეფის იურისდიქციას შეადგენდა. ამავე დებულებას შვიცავს ბაგრატ კურაპალატის 152-ე მუხლიც.

ვის ჰქონდა განაჩენის აღსრულება მოკუდუნა საერთოდ ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ გიორგი III 1170 წლის სიგელშია განსაზღვრული, რომ გამოუსწორებელი ქურდი „ჩამოარჩონ ჩვენთა ჩენილთა“-ო. მაგრამ შესაძლებელია აქაც ჩენილებად ის მოსამართლენი იგულისხმებოდნენ, რომელთაც ვითარცა სამპარავთმძებლო სასამართლოს წევრებს, მპარავთა გასამართლებისა და სასჯელის მისჯის უფლება ჰქონდათ მინიჭებული და ზემოთ მოყვანილ ცნობაშიც სწორედ ამ უფლებაზე იყოს საუბარი. ერთი სიტყვით, ჯალათის არსებობის შესახებ არსად არაფერი ჩანს. მხოლოდ წმინდა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში ამის აღსანიშნავად „მე მღე“ არის ნახმარი. მაგრამ ეს ძეგლი, რასაკვირველია წმინდა ისტორიული წყარო არ არის.

საერთოდ ბრალდებულთა შესაპყრობად საგანგებო მოხელეები ჰყავდათ, რომელთაც, როგორც ვთქვით ჩენილნი ეწოდებოდათ. ეს ჩენილნი უფროს მოხელეებს, მპარავთმძებნელთ ექვემდებარებოდნენ და საქმის ვითარების გამოსარკვევად და დამნაშავეის აღმოსაჩენათ ყველგან შესვლის და ჩხრეკის უფლება ჰქონდათ. თუ დამნაშავე პსუხისმგებლობისა და სასამართლოსაგან თავის დასახსნელად სადმე მიიმალებოდა და სხვაგან გადაიხვეწებოდა ჩენილნი

ვალდებულნი იყვნენ ასეთ გაქცეულ ბოროტმოქმედს დასდევნებოდნენ, რომ აღმოჩინათ და შეეპყროთ.

საქართველოში მეკობრეობა ოდითგანვე დიდ ბოროტებად ითვლებოდა და კანონი მკაცრად სჯიდა დამნაშავეს. რასაკვირველია ქვეყნის აშლილობის და მტრების შემოსევის დროს ამგვარი ბოროტება უფრო გახშირებული იქნებოდა, ვიდრე სახელმწიფოს მშეიდობიანობის დროს, როდესაც ერის ზნეობრივი მდგომარეობაც უფრო განსპეტიკებული უნდა ყოფილიყო და მთავრობაც მოცლილი იქნებოდა მეკობრეებთან და მპარავეებთან საბრძოლველად.

XII საუკუნეებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად დამშეიდებულია, დამყუდროებულია და დაწინაურებულია, რომ თურმე პარვა-აეაზაკობა უკვე იშვიათი მოვლენა ყოფილა. თამარ მეფის ისტორიკოი გაზიადებით მოგვითხრობს კიდევ: „ჟამთა მისტა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავე“-ო. მაგრამ ასეთი მყოდროება საქართველოში გიორგი III-ის დროს მოწვეული საკანონმდებლო კრების მიერ მკაცრი სასჯელების დაწესებას დაუმყარებია. (ამაზე ვარდანს თავის მსოფლიო ისტორიაში შემდეგი საგულისხმო ცნობა აქვს: “619 წელს (1170წ) გიორგი (მეფემ თავის) ქვეყანაში მპარავე და მეკობრე მოსპო, რადგან ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწულოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბა და ჩინებულთაგან მრავალი ძელზე ჩამოახრჩვეს ნაპოვნი ნიეთი კი, მიპქონდათ და სასჯელის ძელზე ჰკიდებდნე...<sup>101</sup>“

სამართალი შემდეგშიაც მკაცრად ეპყრობოდა მეკობრეებს. აეაზაკს მისაგებლად ის სასჯელი ენიშნებოდა, „ძველისა სჯულისა რომელი ძეს აეაზაკთა ზედა-ძელსა ზედა ჩამორჩობა“ (ბასილ ეზოს მოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი). ყურადსაღებისა ის ფაქტი, რომ თამარ მეფის დროს ყოველგვარი დანაშაულობისათვის სასჯელი შემცირებული იყო, სიცოცხლის

<sup>101</sup> ივ. ჯავახიშვილი. ტ. VIII 1984წ. გვ. 48

მომსპელი და ადამიანის დამსახვირებელი მისაგებელი ამოკვეთილი. მხოლოდ მეკობრეობისათვის სუფევდა კელაინდებურად მკაცრი სასჯელი, იმდენად მიუტყვებელ ბოროტმოქმედებად სთვლიდა საქართველოს მთავრობა ავაზაკობას.<sup>102</sup>

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ კათალიკოსთა სამართლის მიხედვით, მეკობრეობისათვის კანონი ბრძანებდა „განიპატიფოს“-ო. ძველ ქართულ სამართალში პატიფი (პატიჯი) სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება. ამ გაგებით ეს ტერმინი სომხურადაც არსებობს, მაგრამ მისი ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის. სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს: საშჯელი-სამართალი. საშჯელი უკუე არს სიტყუა მოვლინებული არა ქმნისათვის, ხოლო პატიფთა (პატიფითა) ბრძანებულთა ქარმსმენელთათს ე.ი. საჯელი ანუ სამართალი გაჩენილა ჩასადენელთა არ ჩადენისათვის; იგი პატიფია, თუ უსმენ, ხოლო თუ უგულებელსყოფდადგენილ წესს, იგი პატიფია...მამსასადამე სასჯელი ძველ ქართულში სამართალს ნიშნავს, ხოლო პატიფი-სასჯელს, თანამედროვე ქართულად.

კათალიკოსთა სამართლის II მუხლი შეეხება ეკლესიათა ძარცვას. არქანჯელო ლამბერტი ამის შესახებ წერს: „სიკვილით დასჯაა დაწესებული ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნიეთებს მოიპარავენ ან გადაწვავენ. სხვა ყოველივე დანაშაულობა შეიძლება მთავარმა აპატიოს ფულის გადახდევინებით. ან ვისიმე მფარველობის გამო და რაც შეეხება მკრეხელობას, ამის ჩამდენი ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ დასჯილი უნდა იქნეს სიკვილით. ჩემსობას სხვადასხვა ეკლესიაში მოიპარეს რამდენიმე ოქროს და ვერცხლის ხატი სხვადასხვა ძვირფასი ქვებით შემკული და აგრეთვე სხვა ძვირფასი ნიეთები, რომლებიც იქ ინახებოდა. ბევრი ეცადეს. მაგრამ ქურდები დიდხანს ვერ იპოვნეს. ბოლოს კი ბევრი ძებნისა და დიდის

მეცადინეობის შემდეგ, ავაზაკები ხელში ჩაიგდეს, თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაულობა ჩაიდინეს”<sup>103</sup>.

რა თქმა უნდა, მთელ რიგ მძიმე ხასიათის დანაშაულებებს საერო და საეკლესიო ხელისუფლება ხელიხელჩაკიდული ებრძოდა. ამ შემთხვევაში დამნაშავეს შეეფარდებოდა როგორც საეკლესიო, ასევე სახელმწიფო სასჯელიც. მაგრამ გვიანი შუა საუკუნეების „საქართველოში“, სამეფო ხელისუფლების შესუსტებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა მიზეზებით, ხშირად საეკლესიო სამართლის ძეგლებში ეხედებით სახელმწიფო სასჯელების შეფარდების მოთხოვნასაც. „სამართალი კათალიკოზთა“, რომელშიც ვკითხულობთ: „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს შერყენებულშიც არს წმინდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“.

„ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან რძალი შეირთოს შერყენებულშიც არს ღვთისაგან მისთა წმინდათაგან და შუიდთა კრებათაგან და მკირაენი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იქნენ“.

წყარო ასეთი დადგენილებებისა, როგორც ეს კათალიკოსთა სამართალშიც არის აღნიშული, უნდა იყოს სჯულისკანონი. ერთგან კათალიკოსთა სამართალში იკითხება: „ვინცა კათალიკოზს და ეპისკოპოზსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რარიგადაც სჯულისკანონში ეწეროს, იმ რიგად განიპატიჟოს“. ტყვის გაყიდვისათვის „კათალიკოზთა სამართალი“ აწესებს „წმინდათა კრებულთაგან შერყენებას და განხდას“. გარდა ამისა, ზსენებული დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ.

ეკლესიის მკრეხელთათვის სიკედილით დასჯა იყო გათვალისწინებული. ასე რომ, „კათალიკოზთა სამართალში“ საჯარო, სახელმწიფო სასჯელები საესებით აშკარად იყო გამოხატული.

<sup>103</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამგერულოს აღწერა, 1938 წ. გვ. 70.

კათალიკოსთა სამართლის მე-16 მუხლი მეფის ღალატს შეეხება, რომლისთვისაც კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.

„როდესაც სახელმწიფოში პოლიტიკური ერთობა და მყუდროება ირღვეოდა და შინაური ბრძოლა იწყებოდა, ამას „განდგომილება“, „ურთიერთას დანდგომილება“, „აშლილობა“, „შფოთი“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგრამ ხშირად განდგომილება მხოლოდ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას წარმოადგენდა. პოლიტიკური დანაშაულობა „განდგომა“ და „ღალატი“ იშვიათი არ იყო შუა საუკუნეების საქართველოსათვის.

განდგომა და ღალატი ორნაირი ხასიათისა იყო: შინაური, როცა განდგომილნი ადგილობრივ ასპარეზზე მოქმედებდნენ და მარტოოდენ ადგილობრივი ძალისა და თანამგრძნობთა მოხვეჭით კმაყოფილდებოდნენ, ან კიდევ გარეშე ძალის დახმარებით, როდესაც განდგომილნი, თავის ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად, უცხო, მოსაზღვრე სახელმწიფოს დახმარებას სთხოვდნენ ხოლმე და მათი მოშველებით და თანადგომით თავიანთ სამშობლოსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდნენ.

„განდგომილებაში“ და „ღალატში“ სამართალი დამნაშავეთ რამდენიმე ჯგუფად ჰყოფდა: 1) ისინი, რომელთაც „განიზრახეს“ ერთმანეთს ან სხვას და საქმის აღმსრულებელნი „განაჩინეს“, „გამზრახნი“ ანუ „განზრახეამებულნი“. 2) ისინი, რომლებიც განდგომილთა ჯგუფს შეუდგნენ და „მიუერთდნენ“, ანუ „რომელნი დგეს თანა, მაშველნი და თანამდგომნი“ და 3) იყვნენ, ესე იგი რომელნიც, ვითარცა მეფესთან დაახლოებულნი, განზრახული საქმის განხორციელებას უნდა დახმარებოდნენ.

ჩვენს მიერ განხილულ ძეგლში კონკრეტული ჩამონათვალი არ გვაქვს ამ ყოველივეს შესახებ, ე.ი. კვალიფიკაცია არ ეძლევა დანაშაულის ხარისხს; აქ მხოლოდ, ვისაც „მეფის ღალატი გამოაჩნდეს, მნიშვნელობა არა აქვს დიდებული იქნება, თავადი, აზნაური თუ ვინც გინდა და საქმის გარჩევის, გამოკითხვის-გამოძიების შედეგად დამნაშავის ბრალი დადასტურდება.

რარიგადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისკანონს შიგან ეწეროს – სიკვდილით განიპატიყოს.” ამ შემთხვევაში კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ სიკვდილის რა სახეობით უნდა დასჯილიყო.

კათალიკოსთა სამართლის 22-ე მუხლი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს რძლის შერთვისათვის და ადგენს: „კაციცა და დედაკაციც გაღმა გამოღმა დაკირონო“.

კანონი მკაცრად ებრძვის ნათესაობრივ აღრევას და მკაცრად სჯის მის დამრღვევებს, მაგრამ ისეთი დანაშაული, როგორიც არის რძლის შერთვა – ეს ოდიტანვე დიდი ცოდვა იყო: „არ შეხვიდე სასირცხო კავშირში ხორციელ ნათესაეთან“ (ლევიტ. 18,6). „მცნებაი სასჯულო“, რომელიც 1470-1474 წლებშია შედგენილი საქართველოში, მე-9 მუხლი ამ საკითხთან დაკავშირებით ადგენს: „ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოსისა ურჩად უხვედრი ცოლი შეირთოს, ანუ ხუცის ცოლსა ცოდოს, ანუ დიაკვნის ცოლსა თანა ცოდოს, ანუ მთავარ დიაკვნის ცოლისა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დაიწვინოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სულითა და ხორცითა. ამინ.“

მაგრამ ამჯერად კანონმდებელი მარტო შიჭვენებას აღარ დასჯერდა და სახელმწიფო ხელისუფლებამ ასეთ დანაშაულებს სიკვდილით დასჯა, გაღმა-გამოღმა ჩამოკიდება შეუფარდა.

განსაკუთრებულ შენიშენას იწვევს 23-ე მუხლი, რომელიც მხოლოდ ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის დანაშაუვე ქმრის სიკვდილით დასჯას და საეკლესიო შიჭვენებას ითვალისწინებს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ კანონთა ნუსხებში 23-ე მუხლი მიწერილია „ხელრთვის“ შემდეგ. მაშასადამე, კრების მონაწილეთა მიერ სჯულდების დამტკიცება და სანქცირება ამ მუხლზე არ ვრცელდება. იგი კანონმდებლის მიერ არ უნდა იყოს შედგენილი და, ამრიგად, მას ავთენტური ძალა არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართული სამართლის არც ერთ საკანონმდებლო ძეგლში ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის არაა გათვალისწინებული განსაკუთრებულად ასეთი მკაცრი სასჯელები. ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის 29-ე მუხლი ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის მხოლოდ ნახევარი სისხლის გადახდას ითვალისწინებს.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადების“ 21-ე და 25-ე მუხლებიც ასეთივე სასჯელს აწესებენ. ვახტანგის სამართლის 72-ე მუხლი კი დამნაშავე ქმარს ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის მთელი სისხლის ზღვევას აკისრებს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, კათალიკოსთა სამართლის 23-ე მუხლი მერმინდელ დანართად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ალბათ მოქმედი სამართალი არ იყო.

ქრისტიანული ეკლესიის იდეებს დასაველეთ ევროპაში თავისებური, აღმოსავლეთისაგან განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ნიადაგი დახვდა. დასაველეთის თანამედროვე ხალხების ზნეობრივი და გონებრივი განვითარების დონესთან ერთად ამ გარემოებასაც თავისი ღრმა ბეჭედი დაასვა იქ მიღებულ საეკლესიო სასჯელების სისტემას. დასაველეთში საეკლესიო სასჯელების ცნება თავისებურად გადამუშავდა, შეეწყო და შეეზარდა იქ არსებულ ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ისე, რომ ამ უკანასკნელის მიხედვით, დაძნალების მონანიებას კი არა, მისთვის სამაგიეროს მიზღვას ეძლეოდა მნიშვნელობა, ეს მათთვის გაცილებით გასაგები და ბუნებრივი იყო.

აღმოსავლეთისა და დასაველეთის ქრისტიანული ეკლესიების პრაქტიკაში სასჯელთა სისტემა და სახეები სავსებით იდენტური არ ყოფილა. აღმოსავლეთის ეკლესიის პრაქტიკაში, განსხვავებით დასაველეთისაგან, სასჯელები, ასე თუ ისე, უფრო მსუბუქი იყვნენ. რა თქმა უნდა, სწორი არ არის ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომელნიც პრინციპულად უპირისპირებენ ერთმანეთს მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიის სასჯელთა სისტემას. რა თქმა უნდა, სწორი არ არის ზაოზერსკიც, რომელიც ცამდე ადიდებს აღმოსავლეთის ეკლესიის შეცოდებულთა კანონებს მათი ჰუმანური ხასიათისა და დაძნალებითა მიმართ ღმობიერებისათვის, ხოლო ამ ეკლესიასა და რომის ეკლესიის სასჯელებს კი ბარბაროსული სიმკაცრის ნიმუშად თვლის. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა თავისი მოსაზრება და მიუთითა, რომ „აღმოსავლეთის ეკლესიის მხრივ, შეცოდებულთათვის სასჯელის შემცირება და შემსუბუქება იმდენად კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობებით არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც ცხოვრების უკუღმართობისა და პოლიტიკის თვალსაზრისით“, რადგან აღმოსავლეთში მძიმე სასჯელის მქონე დაძნალების

მიმართ იოანე მმარხველის ნომოკანონში ხშირად ვხვდებით სასჯელთა შემსუბუქებაზე მსჯელობას.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებშიც ძველი მკაცრი სასჯელების შემსუბუქების აუცილებლობა თანასწორად ჰქონიათ შეგნებული და მათ სიმძიმის შემცირებაზე უზრუნიათ. თუმცა ბერძენთა ეკლესია კაცთმოყვარეობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სასჯელთა სისტემის შემსუბუქების ნამდვილი მიზეზი და მაიძულებელი გარემოება — ეს თეორიული და განყენებული პრინციპი გრძნობა კი არ იყო, არამედ ის მწარე გამოცდილება, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გამო შეცოდებულნი და დამნაშავენი თავიანთ ბრალეულობას მალავდნენ და სამსჯავროს გაურბოდნენ.

რაც შეეხება განსხვავებას სახელმწიფო სასჯელსა და საეკლესიო სასჯელს შორის, ის შემდგომში მდგომარეობს: მიუხედავად იმისა, რომ ორივე იყენებს პენიტენციურულ საწყისებს, საკმარისია მოვიყვანოთ ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ასწორებს რა დამნაშავეს, მოქმედებს არა დამნაშავისათვის. ენაიდან ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ დამნაშავე საშიში აღარაა საზოგადოებისთვის, ხოლო ეკლესიას მხედველობაში ჰყავს რა თვითონ დამნაშავის პიროვნება, იბრძვის ამ პიროვნების სულის გადარჩენისათვის. როგორც ცნობილია, ეკლესიაში არსებობს გარკვეული წესრიგი და ამ წესრიგის დარღვევის დროს მიმდინარეობს ეკლესიის დამსჯელობითი მოღვაწეობა, რაც ითვალისწინებს დარღვეული წესრიგის აღდგენას. სახელმწიფოც დამსჯელობით ქმედებებს ჩადის დარღვეული წესრიგის აღდგენის მიზნით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ეკლესია ითვალისწინებს ცალკეულ ინდივიდს, სახელმწიფო უგულებელყოფს მას ეკლესიაში თითოეული პიროვნება, როგორც ასეთი, არასდროს არ კარგავს თავის ფასს. ქრისტეს მისია ყველასთვის ერთნაირია, თითოეული ადამიანი ძვირფასი უნდა იყოს ეკლესიისათვის.

ასეთია ეკლესიისა და სახელმწიფოს დამსჯელობითი მოღვაწეობა, რომელთა საფუძველს წარმოადგენს პენიტენციარული საწყისები. არ შეიძლება არ მივაღვენოთ თვალი იმ გარემოებას, რომ დამსჯელობითი საშუალებები, რომლებითაც სარგებლობენ ეკლესია და სახელმწიფო, აშკარად გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან. სახელმწიფოში მაღლის ჩამორთმევა დამნაშავეისათვის სანქციონირებულია კანონით, ეკლესიაში კი იმ მაღლის ჩამორთმევა ხდება, რომელსაც იგი გასცემს.

ამგვარად, ეკლესიის დამსჯელობითი მოღვაწეობა ითვალისწინებს ერთი მხრივ, დანაშაულს, მეორე მხრივ, განსხვავდება მოღვაწეობის ისეთი სფეროსაგან, როგორიცაა განმანათლებლობა, ღვთისმსახურება და ა.შ.

სახელმწიფო და საეკლესიო სამართალი დანაშაულს სხვადასხვაგვარად უფარდებს იძულებით ღონისძიებებს. ეს განსხვავება კარგად ჩანს მთელი რიგი წერილობითი ძეგლების საფუძველზე. თუ სახელმწიფო მიზნად ისახავს დამნაშავეის მკაცრი სასჯელებით დაშინებას და ამ მიზნით დანაშაულის აღმოფხვრას – ეკლესია ცდილობს დამნაშავეის გამოსწორებას.

იოანე მმარხველის ნომოკანონში, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელმა გადამუშავებული სახით თარგმნა, მოცემულია შეხედულება სასჯელის სახეების ისტორიულ განვითარებაზე. ეს შეხედულება, რასაკვირველია, აგებულია წმინდა წერილის საფუძველზე. სასჯელის ფორმების, მისი მიზნების, დანიშნულების ისტორიული ცვალებადობა, შეფარდებული ქრისტიანული ეკლესიის მსოფლმხედველობასთან, ღვთის ნებითაა ახსნილი.

ღმერთს სურს არა სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მისი მოქცევა და გამოსწორება. ამიტომ ადამ და ევას, რომლებმაც დაარღვიეს მისი მცნება, გამოსწორების მიზნით მან გამოაგდო სამოთხიდან, მაგრამ, ვინაიდან ადამიანმა დაკარგა ღვთის შიში – ღმერთმა მოუვლინა წარღვნა, ხოლო როდესაც უკეთურება გამრავლდა, ცეცხლით დაწვა რამდენიმე ქალაქი. რადგან ამ უკიდურესმა ზომებმაც ვერ შეძლეს ადამიანთა სინანული და “ცოდვისაგან

დაცხრობაი”, მისცა კაცობრიობას „ძველის სჯულისკანონი“, მოსეს მიერ დაწერილი და „ბრძანა ხორციელთა ტანჯვათა წუთხრათ მოქმედთა, ცოდვისათა რამცა შიშითა მით ტანჯვისათა დაცხრეს უკეთურება კაცთა და ცოდვისა მიმართ წარმდებობა“, დააწესა ხორციელის სასჯელი იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნეს სიბოროტე და ცოდვისადმი მიდრეკილება, ხოლო როცა ამოწურული იყო ყველა გამასწორებელი საშუალება ადამიანთა სიბოროტისაგან სიკეთისადმი მოქცევისა, “ღმერთმა მოდრიკნა ცანი და გარდამოვიდა ქვეყნად” და “აიხუნა ცოდვანი ჩვენნი”.

კლასიკური პერიოდის მეორე გამოჩენილი მოღვაწის ეფრემ მცირის შეხედულება სასჯელის ისტორიულ განვითარებაზე კანონიკურ ლიტერატურაში მიღებულს არ ეთანხმება. ეფრემ მცირის აზრით, პირველ საფეხურზე დანაშაულისათვის შურისძიება, სამაგიეროს მიზლეა ან, როგორც იგი ამბობს, “ადლებით სისხლისათა ქმნილი განძვინება.”.

როგორც აღვნიშნეთ, საერო კანონმდებლობაში დანაშაულისათვის დაწესებულია მკაცრი სასჯელები, რომელთა მეშვეობითაც ვარაუდობდნენ ამა თუ იმ დანაშაულის აღმოფხვრას. მაგრამ მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სასჯელის გამკაცრებას შედეგი არ მოაქვს და იგი სისტემატურად საჭიროებს კონტროლ-წესრიგის დაცვას. საეკლესიო კანონები გამომდინარეობენ “დიდი სჯულისკანონიდან” და ფაქტობრივად იგივეს იმეორებენ. აქ სასჯელის რაიმე გამკაცრებას ადგილი არა აქვს. იგი მიზნად ისახავს ფიზიკურად მიუწვდომელი კანონების მრევლისათვის გაცნობას.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიის შეხედულებით, სასჯელი არ არის კერძო შურისძიება. ამ საკითხში საეკლესიო მოძღვრება ემიჯნება ადრეკლასობრივ პრიმიტიულ შეხედულებებს სასჯელზე, როგორც დაზარალებულის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სასჯელი ისეთი რელიგიურ-სოციალური ხასიათის მისაგებელია, რომლის შეფარდებაც ღმერთის საქმეა. მხოლოდ უფალს ხელეწიფება სამაგიეროს მიზლეა. ღმერთის

სასჯელი ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობის ისტორიაში იგი ახორციელებს თავის უმაღლეს და მარადიულ მიზნებს.

სახელმწიფო კანონმდებლობა და სასამართლო დღესაც არ უარყოფს, დაეხმაროს ეკლესიას მისი სასამართლო სასჯელების აღსრულებაში. ეს პროცესი მიმდინარეობს ყველგან, სადაც არსებობს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლება იწონებს და აღიარებს საეკლესიო სასამართლო სასჯელებს და ამ სასჯელების დაკისრებისას მის თავისუფალ ქმედებას, მაგრამ ფრთხილობს, რომ სასჯელის დადების დროს არაფერი იყოს პირადი ინტერესით გამსჭვალული. მხოლოდ მის დადგენილ კანონებს უნდა ეფუძნებოდეს, რათა არ დაირღვეს ქრისტიანობის მთავარი პრინციპი – სიყვარული მოყვასისადმი. ამიტომ სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება ეკლესიას. ხოლო ეკლესია, აღჭურვილი თავისი კანონებით, ცდილობს შეინარჩუნოს ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები – სიყვარული, გულმონყალება, ადამიანური დახმარება და თავისუფლება, ძირითადად რისი მატარებელიცაა ეკლესია.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნი, 1985 წ;
2. მ. გორაჩაკოვი, სასულიერო სასამართლოს დასაწყისი და ფორმები, 1874 წ;
3. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლიძემ, გ. ნინუამ, "მეცნიერება", 1975 წ;
4. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, III, IV, V. თბილისი, 1963წ., 1970 წ;
5. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თსუ, 1953 წ;
6. აღ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1964 წ;
7. ა ლაბერტი, სამეგრელოს აღწერა, მეორე გამოცემა, თბილისი, 1938 წ.
8. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან, ტ. I, 1966 წ.
9. ე. ლორია, ბ. გელაშვილი, მ. ბენდელიანი, სახელმწიფო და რელიგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002 წ.
10. ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 1995 წ.
11. გ. ნადარეშილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 1986 წ.
12. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 1991 წ.
13. ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970 წ.
14. ბ. ფურცხვანივიძე, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1949 წ.
15. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, ტექნიკური, 2001 წ.

16. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბზ. ტ. II, VI, VII, 1929 წ.
17. Албовъ И., Краткий курсъ по церковного праву, Сиб. 1882 г.
18. Архим Иоаннь, Опыт курса церковного законовѣдения, Т. II, выпуск сиб., 1851 г.
19. Алексей архиеп. литовский, Предполагаемая реформа церковного суда, 2 вып., Сиб., 1873 г.
20. Бердников О., Краткий курс церковного права православной Греко-российской церкви, 1888 г.
21. Бердников И., Новое государство в его отношениях к религии, Казань, 1888 г.
22. Пресв. Макарий. Бесѣд. опоякаян. Догмат. богосл., Т. II, 1890 г.
23. Богдановский, Развитие понятий о преступлении и наказаний в русском праве до Петра Великого, Москва. 1857,
24. Бого М., Курсъ общаго церковного права, 1885 г.
25. Богословский М. Г., Курсъ общаго церковного права, 1885 г.
26. Горский А. , О сане епископском в отнешении к монашеству въ церкви восточной Моск., 1862 г.
27. Гош М., Армянский судебник, 1954 г.
28. Ейкен Г., История и система средневекового миросозерцания, СПб., 1907. перевод с немецкого.
29. Забелинъ В., Право и обязанности пресвитеров по основновъ законамъ христіанской церкви, 2 книга, Киев, 1884-1885 г.
30. Заозерский Н., Право православной церкви как предмет специальной юридической науки, Москва, 1888 г.
31. Заозерский Н., О священной и правительственной власти по формахъ устройства православной церкви, Москва, 1891 г.

32. Заозерский Н., Церковный суд в первые три века христианства, Кострома, 1878 г.
33. Заозерский Н., Хаханов А., Номоканон Иоанна Постника, М., 1902, 1920. гг.
34. Заозорский Н., О священной и правительственной власти по формах устройства православной церкви, Москва, 1891 г.
35. Иером Павел, О должностях и учреждениях по церковному управленію въ древней восточной церкви, Сиб. 1857 г.
36. Кипарисов В., О свободе совести, Москва, 1883 г.
37. Красножень М., Толкователи канонического права восточной церкви, Москва, 1892 г.
38. Крименецкий Н., Христианское учение о церковной власти, Мысли митр. Московского Филарета, Москва, 1888 г.
39. Крименецкий Н., Христианское учение о царской власти Мысли митр. Московского Филарета, Москва, 1888 г.
40. Курганов О., Отношения между церковью и гражданской властью, Казань, 1881 г.
41. Куранов О., Устройство управления в церковном королевстве греческого, Казань, 1871 г.
42. Лашкаревъ Н., Право церковного вѣго основахъ. Видахи источниках. Киев, 1886 г.
43. Лашкаревъ Н., Об отношении древней христианской церкви к римскому государству, Киев, 1887 г.
44. Любимов И., Обзорение способов содержания христианского духовенства от времени апостольских до XVIII века, Сиб., 1851 г.

59. Прот, Скворцевъ, Записки по церковному законоведению. Изд. II, Киевъ 1857 г.
60. Суворовъ С., Курс церковного права, 2 том, Яросл., 1889-90 г.
61. Сулеймани А., Семья в сасанидском государстве, Известия, Ак . Наук Азербайджанской ССР, Серия обществен . наук, №3, 1961 г.
62. Чижевский И., Церковноеписаниеводство, Собрание правил, постановлений и формъ к правильному ведению онаго. 2 изд. Харьков. 1881 г.
63. Чижевский И. Церковное письмоведство. Собрание правил, постановлений и формъ к правильному веденію онаго, 2 изд. Харьков, 1881 г.
64. Шаргородский М.Д., Наказание по уголовному праву , М., 1957 г.
65. *Церковноистор.кн.М. Христианючтениеза1848г.*
66. Lehrbuch des deutsch, Kirhenrechtes, Cöttingen, 1869.

ჟურნალ - გაზეთები

67. გ. ნადარეშილი, საეკლესიო სასჯელების მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, "მაცნე", ეკონომიკა და სამართლის სერია, 1983, №3| გვ. 103-116.
68. გ. ნადარეშილი, იურიდიული ტერმინი "შეხვეწილი", "ლიტერატურული საქართველო", 1999 წ., №37.

69. გ. ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული სამართლის მიხედვით, იხ., კრებული "ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", აღმანახი 2000 წ., №14, გვ. 52-69.
70. გ. ნადარეიშვილი, ზომიერება, ჟურ., "სამართალი", №3-4, 1996 წ., გვ. 46.
71. ქ. საგინაშვილი, საეკლესიო სამართლის წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა – ჟურნალი "სამართალი", №3-4, თბილისი, 1997 წ., გვ. 55-59.
72. ქ. საგინაშვილი, საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები და მათი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ჟურ., "სამართალი", №11-12, თბილისი, 1997 წ., გვ. 70-73.
73. ქ. საგინაშვილი, სასჯელთა სისტემა საეკლესიო სამართალში – ჟურნალი "სამართალი", №3, თბილისი, 1999 წ., გვ. 61-64.
74. ქ. საგინაშვილი, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე – "ადამიანი და კონსტიტუცია", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1, თბილისი, 2001 წ., გვ. 14-20.
75. ქ. საგინაშვილი, საეკლესიო სასჯელების ისტორია, "ადამიანი და კონსტიტუცია", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №3, თბილისი, 2002 წ., გვ. 17-22.